

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედეა ქოჩორაძე

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, მეთოდოლოგია და  
ფუნქციონირება  
(საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან  
მიმართებაში)

საერთაშორისო ურთიერთობებში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ზურაბ დავითაშვილი

თბილისი

2008



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## სარჩევი

<b>შესავალი</b>	<b>4</b>
<b>თავი I</b>	<b>13</b>
<b>საგარეო პოლიტიკის კვლევის თეორიული წინამძღვრები</b>	<b>13</b>
1.1 საგარეო პოლიტიკის კვლევის მიმართება საერთაშორისო ურთიერთობათა და შიდაპოლიტოლოგიურ კვლევასთან	13
1.2 საგარეო პოლიტიკის კვლევის მეთოდოლოგიების მიმოხილვა	14
1.3 საგარეო პოლიტიკის სისტემური ანალიზი	21
1.3.1 საგარეო პოლიტიკის სისტემის კონცეპტუალური და ოპერაციული განსაზღვრება	21
1.3.2 საგარეო პოლიტიკის სისტემის პარამეტრები და ცვლადები	22
1.3.3 საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების გარემო	27
1.3.3.1 საერთაშორისო სისტემა	30
1.3.3.2 შიდაპოლიტიკური სისტემა	37
1.3.3.3 ობიექტი სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია	40
1.3.4 გარემოს კონცენტრული მოდელი	40
<b>თავი II</b>	<b>42</b>
<b>აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი</b>	<b>42</b>
2.1 პრეამბულა	42
2.2 საერთაშორისო გარემო	42
2.2.1 კომუნიზმის დამარცხება	43
2.2.2 არასტაბილურობის ახალი კერები	46
2.2.3 ახალი საფრთხეების განვითარება	48
2.2.4 ახალი ეკონომიკური ცენტრების შექმნა	51
2.2.5 სახელმწიფოებს შორის მზარდი ურთიერთ-დამოკიდებულება	53
2.3 აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემო	58
2.3.1 სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.	58
2.3.1.1 ეკონომიკური ზრდის ტემპი	59
2.3.1.2 ბიუჯეტის შესრულება	60
2.3.1.3 სავაჭრო ბალანსი	62
2.3.2 აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის რეაგირება სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის პარამეტრებზე.	63
2.3.3 კორელაცია საერთაშორისო გარემოს პარამეტრებს და შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს შორის	68
2.3.4 იდეოლოგიური სტრუქტურა	70
2.3.4.1 პოლიტიკური პარტიები	70
2.3.4.2 საზოგადოებრივი აზრი და მასმედია	78
2.3.4.3 ინტერესთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები	83
2.3.4.4 პოლიტიკური ისტებლიშმენტი	86

<b>თავი III</b>	<b>97</b>
<b>აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან მიმართებაში</b>	<b>97</b>
3.1 „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი	<b>98</b>
3.1.1 „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის ურთიერთქმედებები საერთაშორისო გარემოს შრეზე	98
3.1.1.1 ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა	99
3.1.1.2 საკავშირო ხელშეკრულება	101
3.1.1.3 პუტჩი	102
3.1.2 „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის ურთიერთქმედებები შიდაპოლიტიკურ შრეზე	104
3.1.2.1 მასმედია და საზოგადოებრივი აზრი	104
3.1.2.2 სპეციალური ინტერესები	107
3.1.2.3 პოლიტიკური ისტებლიშმენტი	113
3.1.2.4 პოლიტიკური პარტიები	127
3.1.3 აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების შედეგები „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ცვლადთან“ მიმართებაში	132
3.2 პროგნოზის ფუნქცია	<b>136</b>
<b>დასკვნა</b>	<b>139</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>152</b>
<b>დანართები</b>	<b>170</b>

## შესავალი

პრობლემის აქტუალობა. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის შესწავლის თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა აუცილებლობა იმისა, რომ ემპირიული კვლევის შედეგები ახლებურად აისახოს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში.

ძირითადი პრეტენზია, რომელიც გამოითქმის პოლიტიკის ცალკეული დარგების, მათ შორის საგარეო პოლიტიკის, კვლევის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ამ ტიპის გამოკვლევები, თავისი კონკრეტული ფოკუსირების გამო, ვიწროა და თავს არიდებს ზოგადპოლიტოლოგიური თეორიების შემუშავებას. აღინიშნება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის კვლევები, ერთი მხრივ, სასარგებლოა შესაბამისი დარგის პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისათვის და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციას შესაძლო ინდუქციური თეორიების ასაგებად, თვით პოლიტიკური მეცნიერების თეორიის თვალსაზრისით, მათ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ (Sabatier, 1991, p. 265-266). ავლნიშნავთ, რომ ამგვარი ბრალდებები ძირითადად მომდინარეობს პოლიტოლოგებისაგან, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების კვლევის ძირითად საგნად შიდაპოლიტიკურ პროცესებს მიიჩნევენ. თუმცა, საგარეო პოლიტიკის შემთხვევაშიც, სადაც ძირითადად მიჩნეულია, რომ საგარეო პოლიტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს სახელმწიფოთა ურთიერთქმედება, რომელიც მიმართულია მათი ეროვნული ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე (იქნება ეს აბსოლუტური თუ შედარებითი ხარისხით, როგორც ამას განასხვავებენ რეალიზმის თუ ლიბერალური სკოლის მიმდევრები) და ნაკლებად არის ორიენტირებული შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, თანამედროვე მკვლევარები (ორივე სკოლის ფარგლებში) მიუთითებენ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალ აქტორებზე (პოლიტიკურ ძალებზე, სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ცალკეულ ინდივიდებზე და სხვა), რომლებიც სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენენ საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის თანამედროვე კვლევა უნდა ესწრაფოდეს ზოგადპოლიტოლოგიური პრინციპების შემუშავებას, რომლებიც საფუძვლად დაედება ამგვარ მრავალფაქტორიან ანალიზს.

უშუალოდ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე კვლევათა მოცულობა, რომელიც განხილულია ჩვენს მიერ, შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

-- აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ცალკე აღებული ერთი სახელმწიფოს ან რეგიონის მიმართ, რომელიც ეფუძნება აშშ-ის კონკრეტულ სტრატეგიულ ინტერესებს (მაგ. : უკრაინის ბირთვული იარაღის გაუნებელყოფა; თანამშრომლობა რუსეთთან მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებზე; ჩინეთის ბაზარის ათვისება ამერიკული ექსპორტისათვის, პარტნიორობა ინტეგრირებულ ევროპასთან და სხვა (Atwood, 1990; Starostenko, 1998; Chen, 1998; Beck, 1998, Granieri, 2006; Huliaras, 2006; Polat, 2007; Daly, 2008) ;

-- აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებები (საგარეო დახმარება, „იძულებითი დიპლომატია,“ არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკონომიკური სანქციები და სხვა) (Castillo, 1998; Easley, 1999; Mills, 1999; Javrik, 2007, Cumings, 2007; Adelman, 2007; Rarick, 2008);

-- საერთაშორისო სისტემა, აშშ-ის ეროვნული ინტერესები და ეროვნული იდეოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიები (პოლიტიკური რეალიზმის ამერიკული სკოლა), როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები (Schonberg, 1998; Dai, 1999, Lahneman, 1999; Gentry, 1999, კაკაჩია, 2002);

-- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცალკეული ასპექტები (Ripley, 1990; Frelich, 1998);

-- აშშ-ის ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მონაწილეობა სამშვიდობო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში (Elston, 1998; Wright, 1998; Davis, 1998; Ronayne, 1999; Hamilton, 1999; Kupchan, 2004; Simon, 2004; Topic, 2004);

-- აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ახალი გამოწვევები (ფუნდამენტალისტური ისლამი, ტერორიზმი და სხვა) (Logan, 1998; K. Lieber and R. Lieber, 2002, Hassig R. C. and Kongdan Oh, 2005; Sokolski H., 2005; Oxford Analytica, 2008).

თანამედროვე პერიოდის აღნიშნული ნაშრომები იკვლევენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტს, თუმცა არ ესწრაფვიან ზოგადპოლიტოლოგიური თეორიული პრინციპების შემუშავებას, რაც ერთი მხრივ, ცალმხრივად წარმოადგენს მიღწეულ შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ, ართულებს მათ დაკავშირებას ერთიან თანმიმდევრულ კონცეპტუალურ სისტემაში. ზოგიერთი

ავტორი მიუთითებს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში საგარეო პოლიტიკის ემპირიულ კვლევათა შედეგების ახლებური ასახვის აუცილებლობაზე (Beck, 1998), მაგრამ ამგვარი მითითებები იშვიათია და კვლავ არ ეფუძნება ერთიან კონცეპტუალურ ჩარჩოს.<sup>1</sup>

ამავე დროს, ამგვარი კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში აშშ-ის, რეალური საგარეო პოლიტიკის ანალიზის თვალსაზრისით, არამედ მისი შემდგომი პროგნოზირების და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევის თვალსაზრისითაც იმ სახელმწიფოთათვის, რომელთა მიმართაც ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკა.

წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს საგარეო პოლიტიკის კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიის შემუშავების მცდელობაში, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ცალკეულ სახელმწიფოთა (ჩვენს შემთხვევაში აშშ-ის) საგარეო პოლიტიკის ანალიზს, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური მეცნიერების თეორიის განვითარებას. შემუშავებული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების გამოყენება, ამავე დროს, სასარგებლო უნდა იყოს განსხვავებულ ინსტიტუციონალურ პირობებში მიმდინარე პოლიტიკური ქცევის ანალიზისთვისაც.

კვლევის ობიექტი და საგანი. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის ანალიზის ზოგადი მეთოდოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის კვლევას, ხოლო მეორე მხრივ, -- პოლიტიკური მეცნიერების ზოგადი თეორიის განვითარებას.

ჩვენი კვლევის საგანს, როგორც ზემოთ აღნიშნული კვლევის ობიექტის ცალკეული ასპექტების გამოვლინებას რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოადგენს კონკრეტული სახელმწიფოს, კერძოდ აშშ-ის, საგარეო პოლიტიკის კონკრეტული დროითი და სივრცითი რეალიზაციის ანალიზის მეთოდოლოგია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია:

საგარეო პოლიტიკის კვლევის შემუშავებული ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე, ვუჩვენოთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირება,

<sup>1</sup> მაგალითად, ერთ-ერთი წამყვანი ევროპული კვლევითი ცენტრი -- „საგარეო პოლიტიკის ცენტრი“ -- რომლის გაცხადებული მიზანიცაა საგარეო პოლიტიკის კვლევის არატრადიციული მიდგომების

რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა საქართველოს სუვერენიტეტის დამკვიდრების როგორც ერთ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, ასევე მისი სამომავლო განვითარების შესაძლო ტენდენციებთან მიმართებაში.

აღნიშნული მიზანი განსაზღვრავს კვლევის შემდეგ ამოცანებს:

1. ჩამოვაყალიბოთ საგარეო პოლიტიკის კვლევის ზოგადმეთოდოლოგიური მოდელი.

მოცემული ამოცანა, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

-- განვსაზღვროთ საგარეო პოლიტიკის კვლევის მიმართება, ერთი მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევასთან და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური პროცესების კვლევასთან და, შესაბამისად, გავაანალიზოთ საგარეო პოლიტიკის კვლევის არსებული მეთოდოლოგიები;

-- განვსაზღვროთ საგარეო პოლიტიკის სისტემის კონცეპტუალური და ოპერაციული მხარეები;

-- განვსაზღვროთ საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების გარემოს კონცეპტუალური და ოპერაციული მხარეები;

-- ჩამოვაყალიბოთ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ოპტიმალური მოდელი.

2. შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ვუჩვენოთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირება საქართველოს მიმართ (საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ საკითხთან -- დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხთან მიმართებაში).

3. წარმოვაჩინოთ შემუშავებული მეთოდოლოგიის შემეცნებითი, პროგნოზის და სარეკომენდაციო ფუნქციები შესაბამისი აქტორებისთვის.

მეცნიერული წვლილი და პრაქტიკული ღირებულება. დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა საშუალებას მოგვცემს შევიტანოთ გარკვეული წვლილი პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში სამი ასპექტით, რომელიც მოიცავს: 1. საგარეო პოლიტიკის კვლევის თეორიულ საკითხებს; 2. საერთაშორისო

ურთიერთობათა დისციპლინის თეორიულ საკითხებს; და 3. საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის თანამედროვე ემპირიულ საკითხებს.

კვლევის პრაქტიკული ღირებულების განსაზღვრისას, პირველ რიგში ამოვალთ არსებული თვალსაზრისიდან, რომლის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია, ხსნის რა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს, ამავე დროს თვითონაც წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკის შემადგენელ ნაწილს, რადგანაც ხშირად იმისდა მიხედვით, თუ რა თეორიული სქემებისა და შეფასებების მეშვეობით განიხილება საერთაშორისო ვითარება, განისაზღვრება ის რაციონალური სქემები და შეფასებები, რომლებიც საფუძვლად ედება გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამის აქტორებს შორის ურთიერთქმედების პროცესს.

წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, სისტემურ პრინციპებზე აგებული საგარეო პოლიტიკის კვლევის ზოგადმეთოდოლოგიური მოდელი იტვირთავს სამ ძირითად ფუნქციას -- შემეცნებით, პროგნოზის და რეკომენდაციის გაწევის ფუნქციას, -- რომელიც უზრუნველყოს შესაბამისი ანალიზის წარმოებას როგორც საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი „სუბიექტი“ სახელმწიფოს (ჩვენს შემთხვევაში აშშ-ის), ასევე „ობიექტი“ სახელმწიფოს (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს) მიმართ.

კერძოდ, შემეცნებითი ფუნქციის განხორციელება უზრუნველყოფს: 1. ობიექტური და სუბიექტური სახის სტრუქტურირებულ ინფორმაციას „სუბიექტი“ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გარემოს მრავალმხრივი რეალობის თაობაზე; 2. ობიექტური და სუბიექტური სახის სტრუქტურირებულ ინფორმაციას „ობიექტი“ სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია „სუბიექტი“ სახელმწიფოს მოკლე და გრძელვადიან ინტერესებთან მიმართებაში.

პროგნოზის ფუნქციის განხორციელება უზრუნველყოფს: 1. „ობიექტი“ სახელმწიფოს გარკვეული საკითხების „სუბიექტი“ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საკითხებად ჩამოყალიბების პროცესის ანალიზს; 2. აღნიშნულ საკითხებზე „სუბიექტი“ სახელმწიფოს პოლიტიკის განვითარების შესაძლო მიმართულებების ანალიზს.



რეკომენდაციის გაწევის ფუნქცია წაადგება „ობიექტი“ სახელმწიფოს პოლიტიკურ ლიდერებსა და ანალიტიკოსებს, ვინაიდან საშუალებას მოგვცემს გაწეული იყოს: 1. მოკლევადიანი ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციები, რამდენადაც გაანალიზებული რეალობის ფრაგმენტი კონკრეტულ დროით და სივრცით ჩარჩოებშია მოქცეული; 2. გრძელვადიანი სტრატეგიული ხასიათის რეკომენდაციები, რამდენადაც გაანალიზებული რეალობის ფრაგმენტი, შედარების, ანალოგიის თუ ექსტრაპოლაციის გზით, შეიძლება „დაიდოს“ დროისა და სივრცის უფრო ვრცელ მონაკვეთზე.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.

ჩვენი კვლევის თეორიული მიზნებისათვის შესწავლილი იყო საგარეო პოლიტიკის ანალიზის არსებული მეთოდოლოგიები, რომელთა შორისაც, ანალიზის ამოსავალი თვალსიზრისის საფუძველზე, სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: საერთაშორისო ურთიერთობათა, შიდაპოლიტოლოგიური და სისტემური ანალიზის მიმართულებები.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ასევე გამოიკვეთა ძირითადი ტენდენცია, რომელიც ანალიზის ამოსავალ თვალსაზრისად სწორედ „საერთაშორისო ურთიერთობათა“ თვალსაზრისს მიიჩნევს და რეალურად ისტორიულ-აღწერილობით მეთოდს იყენებს. ამ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია კ. კისინჯერის, ს. ჰუკის და ჯ. სპანიერის, ს. ამბროუზის და დ. ბრინკლის, ჯ. ჩეისის, თ. პატერსონის და დ. მერილის და სხვათა გამოკვლევები.

„პოლიტოლოგიური“ მიმართულების ანალიზისას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არის ფოკუსირებული და მხედველობაში იღებს, როგორც კოგნიტურ, ასევე ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, ჩვენ დავეყრდენით რ. სნაიდერის, კ. ბრუკის, ბ. საპინის, ჯ. როზენაუს, ჯ. მარჩის და ჯ. ოლსენის და სხვათა პუბლიკაციებს.

ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა საგარეო პოლიტიკის კვლევის სისტემური მიდგომის - როგორც საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის საშუალების უპირატესობა. ამ მიმართულების ფარგლებში, ჩვენ დიდწილად დავეყრდენით რ. ჰოფერბერტის, ჯ. კინგდომის, პ. საბატიერის და სხვათა კვლევებს. სისტემური მიდგომის ფარგლებში, შევეცადეთ რა შეგვემუშაებინა საგარეო პოლიტიკის

სისტემის გარემოს სტრუქტურა და ანალიზის ერთეულები, ჩვენს მიერ გაანალიზებული იყო ჰაროლდ და მარგარეტ სპრაუტების, კ. ფერანდისის, დ. ისტონის და სხვათა ნაშრომები.

უშუალოდ ემპირიული კვლევის მიზნებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი წყაროები: -- ამერიკული პრესა (New York Times Current Events Edition, USA Today, Washington Post, Los Angeles Times, და სხვა); -- აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ისტებლიშმენტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები და განცხადებები (Congressional Quarterly, U.S. Department of State Dispatch, Electronic Journal of the U.S. Department of State და სხვა); -- აშშ კონგრესის მოსმენების გამოქვეყნებული ტექსტები; -- აშშ კონგრესის „ვეროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის“ მოსხენებები; -- ამერიკელი და ქართველი ავტორების (ვ. ოლომი და რ. დუჟარიკი, დ. დარჩიაშვილი და თ. პატარაია, მ. მაცაბერიძე და სხვები) ანალიტიკური გამოკვლევები საქართველოს უსაფრთხოების საკითხებზე. ნაშრომში ასევე გამოყენებული იყო პირადი ინტერვიუები ამერიკული ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლებთან ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების საკითხებზე.

კვლევის მეთოდები. ჩვენი კვლევის ზემოაღნიშნული მიზნის და ამოცანების გადაჭრის მიზნით ჩვენს მიერ გამოყენებული იყო პოლიტოლოგიური კვლევის მეთოდები, რომელთა შესაბამისმა ადაპტაციამ ასევე შესაძლებელი გახდა მათი გამოყენება საგარეო პოლიტიკის კვლევისათვის. კერძოდ, გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები:

1. სისტემური მეთოდი, რომელმაც სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მიდგომაზე დაყრდნობით, საშუალება მოგვცა განგვეხორციელებინა საგარეო პოლიტიკის სისტემური წარმოდგენა იმ მრავალგანზომილებიანი პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც მონაწილეობენ მის ფორმირებაში. კერძოდ, აღნიშნულ მეთოდზე დაყრდნობით გავაანალიზეთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის სტრუქტურები, მათი კომპონენტები, აღნიშნული კომპონენტების შესაბამისი პარამეტრები და საბოლოოდ, ამ პარამეტრების ზემოქმედება საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების რეჟიმებზე.

2. შედარებითი მეთოდი, რომელმაც ანალიზის საგნის ვარიაციების დადგენის გზით საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ჩვენი კვლევის მიზნებისათვის საინტერესო ის სპეციფიური ნიშანთვისებები, რომლებიც სხაგვარად შეიძლება დაფარული ყოფილიყო პირდაპირი კვლევისას. კერძოდ, ჩავატარეთ შეპირისპირება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებისა საქართველოს მიმართ მის ფუნქციონირებასთან სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკის - სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართ, აღნიშნულ სახელმწიფოთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხთან მიმართებაში. აღნიშნული შეპირისპირებითი ანალიზის ჩატარებისას, ამოვედით დაშვებიდან, რომ სამხრეთ კავკასია, თავისი სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილებით, პერსპექტიული მიზნებით, შესაძლებლობებითა და ზოგადი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით, მეტნაკლებად ერთიან ერთეულს წარმოადგენს აშშ-ის პოლიტიკური აზრისა და მისი სტრატეგიული თუ ეკონომიკური ინტერესებისათვის. ამ მიმართებით, მისი მნიშვნელობაც, როგორც ერთიანი რეგიონისა, გაცილებით უფრო მეტია ვიდრე ცალ-ცალკე აღებული სამივე სახელმწიფოს მნიშვნელობა. შესაბამისად, დაეუშვით, რომ რეგიონის მიმართ გატარებული შედარებით ერთიანი მიზნების და საშუალებების მქონე საგარეო პოლიტიკის პირობებში, ერთი ცალკეული სახელმწიფოს მიმართ წარმოებული პოლიტიკის განმასხვავებელი ნიშნები ყველაზე კარგად სწორედ დანარჩენ სახელმწიფოთა მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან შედარებაში წარმოჩინდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მიმართ წარმოებული აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების შეპირისპირებამ მის ფუნქციონირებასთან სამხრეთ კავკასიის დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ, საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა მთლიანად რეგიონში აშშ-ის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ზოგადი მოდელები.

3. ნორმატულ-ღირებულებითი მეთოდი, რომელმაც გარკვეული მოვლენების არსებულ შეფასებათა გამოვლინებით, საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის მონაწილეთა შესაბამისი ღირებულებითი პოზიციები. აღნიშნული მეთოდის ამოსავალ პოზიციას წარმოადგენს დაშვება, რომ პოლიტიკური აქტორები თავის შეფასებებში ეყრდნობიან გარკვეულ საყოველთაო თუ სუბიექტურ ეთიკურ ნორმებს, რაც ამ მეთოდის ობიექტურობას ხშირად

საკამათოს ხდის. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ის ღირებულებითი შეფასებები, რომლებიც წამოწეული იყო ჩვენს მიერ საქართველოსთან მიმართებაში სანდოა და მნიშვნელოვანწილად აისახა საგარეო პოლიტიკის შესაბამის გადაწყვეტილებებში.

4. ემპირიული კვლევის მეთოდი, რომელმაც საგაზეთო პუბლიკაციების, აკადემიური გამოცემების, ოფიციალური დოკუმენტების და კონგრესის მოსმენების ტექსტების ანალიზზე დაყრდნობით საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა, როგორც საგარეო პოლიტიკის სისტემის მონაწილეთა ზემოთ აღნიშნული შეფასებები და პოზიციები, ასევე საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე მიღებული დეკლარაციული თუ ოპერაციული დონის შედეგები.

## თავი I

### საგარეო პოლიტიკის კვლევის თეორიული წანამძღვრები

1.1 საგარეო პოლიტიკის კვლევის მიმართება საერთაშორისო ურთიერთობათა და შიდაპოლიტოლოგიურ კვლევასთან

1948 წ. „იუნესკოს“ რეზოლუციის კლასიფიკაციით, საგარეო პოლიტიკის კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფარგლებშია მოქცეული და გამიჯნულია პოლიტოლოგიის ძირითადი საკითხებისაგან (Ujyxfhjd^ Ujynfhtdf^ 1996). დღეს გავრცელებული თვალსაზრისით, ზღვარი საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებასა და საგარეო პოლიტიკის კვლევას შორის ანალიზის სხვადასხვა დონეზე გადის (Singer, 1969). ვიზიარებთ რა ამ ორი დარგის კვლევის საგანთა გამიჯვნას, ანალიზის დონის კრიტერიუმს არ მივიჩნევთ ამ გამიჯვნის ამოსავალ წერტილად. ვთვლით, რომ ანალიზის მაკრო დონე, რომელიც გლობალურ არენას მოიცავს და საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებას არის მიკუთვნებული, უცილობლივ გასათვალისწინებელია ცალკეული საერთაშორისო აქტორების საგარეო პოლიტიკის კვლევისას. საგარეო პოლიტიკა, თავის მხრივ, დინამიური საერთაშორისო სისტემის ნაწილს წარმოადგენს და ყოველ მოცემულ ეტაპზე განსაზღვრავს მის შინაარსს. ურთიერთობა მათ შორის შეიძლება დაგახასიათოთ „ნაწილისა და მთელის“ ტერმინებში, სადაც ისინი ერთმანეთს კომპლემენტარულობის პრინციპით უკავშირდებიან.

„იუნესკოს“ ზემოთმოყვანილი რეზოლუციის შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის კვლევა ხშირად გამიჯნულია წმინდა პოლიტოლოგიური კვლევისაგან და მისი ფოკუსი მოქცეულია საერთაშორისო აქტორის გარე სამყაროზე ორიენტირებულ ქმედებებზე. მეორე მხრივ, ის გამოკვლევები, რომლებიც სწავლობენ გაცხადებული საგარეო პოლიტიკის მიზეზებს, ყურადღებას ამახვილებენ როგორც საერთაშორისო, ასევე შიდაპოლიტიკურ გარემოზე. საგარეო პოლიტიკა აქ მოიაზრება, როგორც ხელისუფლების ძირითადი ინსტიტუტის,

სახელმწიფოს, ირგვლივ კონცენტრირებულ სოციალურ ურთიერთქმედებათა შედეგი.

ჩვენი ინტერპრეტაციით, საგარეო პოლიტიკის დამოკიდებულება შიდაპოლიტიკურ სისტემასთან მისი საერთაშორისო სიტემისადმი დამოკიდებულების ანალოგიურია, სადაც შიდაპოლიტიკური სისტემა საგარეო პოლიტიკის ფუნქციონირების გარემოს წარმოადგენს. საგარეო პოლიტიკა, პირველ რიგში, ხომ მოცემული საზოგადოების ღირებულებებთან მიმართებაშია რელევანტური. თავის მხრივ, საგარეო პოლიტიკა ქვეყნის შიდაპოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს.

დებორა გერნერის დახასიათებით, საგარეო პოლიტიკის მეცნიერება პოლიტიკური მეცნიერების „საკმაოდ უცნაურ დარგს წარმოადგენს“, რომელიც ეხება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პოლიტიკურ არენას და „ხტის“ ანალიზის ინდივიდუალური დონიდან სისტემურ დონეზე (Gerner, 1991, p.125). ჩვენ ვიზიარებთ საგარეო პოლიტიკის კომპლექსურ დახასიათებას, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს როგორც ქვეყნის საზღვრებს შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, ასევე მის საზღვრებს გარეთ განვითარებულ საერთაშორისო მოვლენებს და, ჯეიმს როზენაუს თქმით, წარმოადგენს „დამაკავშირებელ ხიდს“ საერთაშორისო და საშინაო საკითხებს შორის (ibid).

საგარეო პოლიტიკის კვლევის საგნის მოცემული ინტერპრეტაცია შესაბამისად განსაზღვრავს კვლევის მეთოდოლოგიასაც. ქვემოთ მოკლედ დავახასიათებთ ძირითად თეორიულ თვალსაზრისებს, რომლებიც თანამედროვე გამოკვლევების მეთოდოლოგიურ კონტექსტს შეადგენენ და შესაბამისად განსაზღვრავენ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ აპარატსაც.<sup>1</sup>

## 1.2 საგარეო პოლიტიკის კვლევის მეთოდოლოგიების მიმოხილვა

საგარეო პოლიტიკის კვლევის არსებულ მეთოდოლოგიებს დავახასიათებთ მათი ძირითადი ამოსავალი თვალსაზრისის მიხედვით. კერძოდ, გამოვყოფთ:

<sup>1</sup> საერთაშორისო ურთიერთობების მეთოდოლოგიური საკითხების თაობაზე იხ. დავითაშვილი, ზ., „მეთოდის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას“, ქართული დიპლომატია, წელიწადეული 6, თბილისი 1999, გვ. 255-261

საერთაშორისო ურთიერთობათა, პოლიტოლოგიურ და სისტემურ თვალსაზრისებს, რომლებიც, თავის მხრივ, საგარეო პოლიტიკის ანალიზის მრავალმხრივ მიდგომებს განსაზღვრავენ (ბუკია, 2002, გვ. 78-83).

საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისით განხორციელებული საგარეო პოლიტიკის ანალიზი ფოკუსირებულია სახელმწიფო ქმედებაზე, რომელიც მის საზღვრებს გარეთ არის მიმართული და მოტივირებულია მისი ეროვნული ინტერესების დასაცავად. ამ თვალსაზრისის ჭრილში ხასიათდება ტრადიციული ე.წ. ისტორიულ-აღწერილობითი (ან ისტორიულ-იურიდიული) მეთოდი. იგი ფაქტობრივად სწავლობს სახელმწიფოსთან გაიგივებული ლიდერების საერთაშორისო ქცევას და ძირითადად უგულებელყოფს შიდასახელმწიფოებრივ ფაქტორებს (Dobson and Marsh, 2006; Basevich, 2003; Hook and Spanier, 2000; Ambrose and Brinkley, 1997; Paterson and Merrill, 1995; Kissinger, 1994; Chace, 1992). თუმცა, ამგვარი ანალიზის ფარგლებში ასევე ფიგურირებს საერთაშორისო სისტემა, როგორც გარემო, რომლის ცვალებადობაზეც რეაგირებს სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სუბიექტი (Pettman, 1975, p.41; Green and Twining, 2008). ეს მიდგომა, რომელსაც ჯოზეფ ნაი „სახელმწიფო-ცენტრულ რეალიზმს“ (Nye, ციტირებულია: White, 1995, p.11) უწოდებს, საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს ქცევას პოლიტიკური რეალიზმის ტერმინებში ხსნის.

საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისს ეფუძნება ომისა და მშვიდობის ბევრი თანამედროვე თეორიაც. ჯაკ კუგლერი ამ თეორიების დიდ ნაწილს აერთიანებს პარადიგმაში, რომლის ძირითად ნიშანს სახელმწიფოთა შორის ძალაუფლების განაწილება წარმოადგენს (Kugler, 1991, pp. 187-208). ამ თეორიების ჭრილში ასევე დაცულია ტრადიციული მეთოდის იურიდიული ასპექტი, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი სუბიექტის სტატუსს საერთაშორისო ურთიერთობების აღიარებულ სტრუქტურაში. ამავე თვალსაზრისს შეიძლება მივაკუთვნოთ მიდგომა, რომლის თანახმად ქვენი საგარეო პოლიტიკის წარმატება დიდწილად განაპირობებს მისი საშინაო პოლიტიკის წარმატებასაც, სადაც საგარეო და საშინაო პოლიტიკის დიალექტიკურ ერთიანობაში, „საგარეო პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტა უპირველესი

მნიშვნელობისაა მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სისტემაში“ (ბარათაშვილი, 1999, გვ.10).

შესაძლებელია მტკიცება, რომ თანამედროვე სახელმწიფო-ცენტრული თეორიები, თავის მხრივ, ეყრდნობა ახალი მიმართულების შედარებით ისტორიულ სოციოლოგიას და პოლიტიკურ ეკონომიას. შედარებითი ისტორიული სოციოლოგია წინა პლანზე წამოწევს სახელმწიფოს, როგორც ერთიანი აქტორის, დამოუკიდებელ როლს არა მარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ თვით ქვეყნის შიგნითაც (Booth and Smith, 1995, p.24). მსგავსად, თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის მიდგომა, სახელმწიფოს განიხილავს, როგორც საკუთარი რესურსების, ინტერესების და ეკონომიკური იდეოლოგიის მქონე დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც თავისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მიზნით ურთიერთქმედებაში შედის შესაბამის ადგილობრივ სოციალურ ჯგუფებთან (Papava, 2006, pp.657-667).<sup>1</sup>

დ. გერნერის, ბ. მუნის და სხვათა აზრით, სახელმწიფოს, როგორც უნიტარული მოქმედი პირის, როლს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს საგარეო პოლიტიკის შემდგომ გამოკვლევებში, ვინაიდან საგარეო პოლიტიკის გაგება შეუძლებელია იმ მიზნების, პრიორიტეტების, და შეზღუდვების გარეშე, რომლებიც წარმართავენ სახელმწიფო ქცევას. ამდენად, საგარეო პოლიტიკის ნებისმიერი თეორია ამავედროულად უნდა შეიცავდეს თვით სახელმწიფოს თეორიასაც (Gerner, 1991, p. 167; Moon, 1983, pp. 315-340).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სახელმწიფო-ცენტრულ თეორიებში ასევე გამოსჭვივის წმინდა პოლიტოლოგიური თვალსაზრისიც. მაგალითად რ. რუმელის ინტერპრეტაციით, სახელმწიფო ქმედების ანალიზისას უნდა გათვალისწინებული იყოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს სახელით მოქმედი „ავტორიტეტული“ ელიტის უკან დგანან ინდივიდუალური პირები, რომლებიც მოქმედებენ შესაბამისი პოლიტიკურ, ბიუროკრატიულ და საზოგადოებრივ ძალთა ბალანსის გარემოში (Rummel, 1979); ხოლო ჯორჯ მოდელსკის, უილიამ ტომსონის, ჩარლზ დორანის და სხვათა არგუმენტაციით, საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზები სახელმწიფოთა შიდაპოლიტიკურ დინამიკაში უნდა ვეძიოთ და არა

<sup>1</sup> მგტფქეკწმუ მუფგკუიმუ შოეწკმდმ თწმწდწაშთ ვგ ზწდშემღკმ ულწტწშთ მუწკშუიშთ ქმქწმდმგ შჩქშ Geddes, Barbara, "Paradigms and Sand Castles in Comparative Politics of Developing Areas", Comparative Politics, Policy, and International Relations, Northwestern University Press, Evanston, Illinois, 1991, pp. 59-62



სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაში (Modelsky, 1987, Thompson, 1988, Doran, 1990, ციტირებულია: Kugler, 1991, p.209).

საგარეო პოლიტიკის ანალიზის „პოლიტოლოგიური“ თვალსაზრისი კვლევის ამოსავალ წერტილად ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სისტემას მიიხსენებს, სადაც ანალიზის ძირითადი ობიექტი არის არა სახელმწიფოს აბსტრაქცია, არამედ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ინდივიდების ქცევა (Wallace, 1971, p.7). ამ მიდგომის ჭრილში შეისწავლება ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და მოიცავენ, როგორც ფსიქოლოგიურ (კოგნიტური პროცესები), ასევე სოციოლოგიურ (სოციალური სტრუქტურა და სოციალური ჯგუფები) ასპექტებს. აღნიშნული მიდგომა, რომელიც თავდაპირველად გამოიკვთა რ. სნაიდერის, ჰ. ბრუკის, ბ. საპინის პუბლიკაციაში (Snyder, Bruck, Sapin, 1954, ციტირებულია: Gerner, 1991, pp.134-135) და ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „გადაწყვეტილების მიღების მიდგომა“, ვითარდებოდა პოლიტიკურ მეცნიერებაში ბიჰევიორიზმის ბუმის ფონზე.

გადაწყვეტილების მიღების ემპირიული ანალიზის თვალსაზრისი ასახულია „შედარებითი საგარეო პოლიტიკის“ მიმართულებაში, რომელიც ამავე დროს ცდილობს შეიმუშავოს საგარეო პოლიტიკის ახსნის ზოგადი თეორია. კერძოდ, ჯეიმს როზენაუს შემოაქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის არსებითი ფაქტორების კატეგორიები, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ, როლურ, სამთავრობო, საზოგადოებრივ და სისტემურ ფაქტორებს და რომელთა რანგირებაც შესაძლებელია კონკრეტული სახელმწიფოს მახასიათებლების და საგარეო პოლიტიკის კონკრეტული საკითხების მიხედვით (Rosenau, 1966, ციტირებულია: Gerner, 1991, pp.135-136). აღნიშნული კატეგორიების შემოღება, პირველ რიგში, წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორების ტიპოლოგიზაციის მცდელობას, რომლის მიზანია განხორციელდეს ერთზე მეტი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კვლევა. ამ მიმართულების ფარგლებში მუშავდება აგრეთვე „მოვლენათა მონაცემთა ბაზები“ (CREON-Comparative Research on the Events of Nations; COPDAB-Conflict and Peace Data Bank, ICBD - International Crisis Behaviour Datasets), რომლებიც აღწერენ აქტორების ქმედებებს შიდა და

საერთაშორისო ასპარეზზე.<sup>1</sup> ამგვარ მონაცემთა ბაზებს აკრიტიკებენ არასრულყოფილების და შერჩევის სუბიექტური კრიტერიუმების გამო, თუმცა მივიჩნევთ, რომ აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს (გარდა იმისა, რომ იგი სცილდება ერთი კონკრეტული კულტურულ-ისტორიული სოციუმის ფარგლებს) წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკისა და საერთაშორისო პოლიტიკის გადაკვეთის წერტილების ძიება, რაც თავის ემპირიულ გამოხატულებას სწორედ რომ მრავალმხრივ მონაცემთა ბაზებში პოულობს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიდგომა წმინდა აღწერილობითი ხასიათისაა და ისეთი ფაქტორები, როგორც არის ევოლუციური პროცესები და სისტემური ცვლილებები მის ფარგლებს გარეთ რჩება.

მაშინ როდესაც შედარებითი საგარეო პოლიტიკის მიდგომა ცდილობს ჩამოაყალიბოს საგარეო პოლიტიკის ანალიზის ზოგადთეორიული მოდელი, ლიტერატურაში გამოიკვეთება პოლიტოლოგიური ანალიზის ცალკეული მიდგომებიც, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესის გარკვეულ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. ამ მიდგომებს შორის გამოვყოფთ: „რაციონალური აქტორის“ ქმედების ანალიზის მიდგომას (March, Olsen, 1984; Posner and Vermeule, 2007); კოლექტიური ქმედებისა და ბიუროკრატიული პროცესის ანალიზის მიდგომას (Art, 1973; Fabbrini and Sicurelli, 2008); გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არასახელმწიფოებრივი აქტორების გავლენის შესწავლის მოდგომას (Moore, 1974; East, 1978; Schwarz, 2008); კოგნიტური პროცესების და ინდივიდის შესწავლის მიდგომას (Alexander, 1969; Kalaitzidis, 2007; Kaarbo, 2008); და გადაწყვეტილების მიღების ანალიზს კრიზისულ სიტუაციებში (Holsti, North and Brody, 1964; McClelland, 1972; Williams, 1982). უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი მიდგომები საზოგადოებრივ კონტექსტს (ბუნებრივია, განსხვავებული ინტერპრეტაციით) გადაწყვეტილების მიღების სიტუაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად განიხილავენ, თუმცა თვით ამ კონტექსტის განმსაზღვრელი პარამეტრები მათი ყურადღების მიღმა რჩება.

<sup>1</sup> მონაცემთა ბაზების მიმოხილვა იხ: Gerner, Deborah J. "Foreign Policy Analysis: Renaissance, Routine, or Rubbish?" Comparative Politics, Policy, and International Relations, Northwestern University Press, Evanston, Illinois, 1991. pp.157-161

სისტემური თვალსაზრისი ეყრდნობა პოსტულატს, რომ საგარეო პოლიტიკის ანალიზი რეალურად ჰკვეთს ორი დისციპლინის, საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტოლოგიის საზღვრებს და მხედველობაში იღებს, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდაპოლიტიკურ პროცესებს, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება შესაბამისი ინფორმაციის გადამუშავება და გადაწყვეტილების მიღება.

სისტემური ანალიზის ოპონენტების მტკიცებით, რომლებიც ეხმიანებიან თავის დროზე ბიჰევიორისტული კვლევებისადმი გამოთქმულ კრიტიკას, სისტემური ანალიზი დაიყვანება რაოდენობრივ სიდიდეებზე და თავს არიდებს პოლიტიკური ცხოვრების აბსტრაქციებს (Bull, 1966). თუმცა აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ პოლიტიკური პროცესების სისტემური კვლევა, ჩვენი რწმენით, პირველ რიგში, წარმოადგენს, ამ პროცესებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მკვლევარის შეხედულების წარმოდგენის ხერხს. ამავე დროს, სისტემური ანალიზისათვის არ არის უცხო განზოგადოებული კატეგორიებით აპელირება.

1974 წ. რიჩარდ ჰოფერბერტმა შეიმუშავა პოლიტიკური პროცესის კონცეპტუალური ჩარჩო, სადაც გატარებული პოლიტიკის შედეგები წარმოდგენილია დამოკიდებული ცვლადების სახით და განიხილება, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფუნქცია (Hofferbert, 1974, ციტირებულია: Sabatier, 1991, pp. 273-285). აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ შიდაპოლიტიკური პროცესების კვლევას იგი წარმართავს საზოგადოებათმცოდნეობის დარგთაშორისი შესწავლის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, მასში არ არის გახსნილი სახელისუფლებო ინსტიტუტების ქცევის შიდა მექანიზმები, ისევე როგორც პოლიტიკის შედეგების უკუქმედება მოცემულ ფაქტორებზე.

ჯონ კინგდომის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა პოლიტიკის შემუშავების პროცესისადმი ასევე მრავალსპექტიანია და მოიცავს სამ „ნაკადს“: 1. პრობლემათა ნაკადს; 2. პოლიტიკური ანალიზის ნაკადს; და 3. თავად პოლიტიკურ ნაკადს (Kingdom, 1984, ციტირებულია: Sabatier, 1991, pp. 278-279 ). კინგდომის თანახმად, მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლიტიკაში ხორციელდება მაშინ როდესაც სამივე ნაკადი ერთდროულად იყრის თავს. კინგდომის მიდგომა, ითვალისწინებს რა

პოლიტიკური პროცესის მრავალ გარეშე ფაქტორს, ფართოა და სცდება ინსტიტუციონალიზმის თუ ინდივიდუალური სუბიექტივიზმის ცალსახა თვალსაზრისებს. თუმცა, კინგდომის მიმართ გამოთქმული ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმ პირობების განუსაზღვრელობაში, როდესაც ადგილი აქვს აღნიშნული სამივე ნაკადის თანხვედრას.

საბატიერის მიერ შემოთავაზებული შიდაპოლიტიკური პროცესის ანალიზის კონცეპტუალური ჩარჩო აერთიანებს ზემოთ მოყვანილი მიდგომების ბევრ ელემენტს. პოლიტიკის ცვლილებას გარკვეული დროის პერიოდში იგი განიხილავს როგორც ფაქტორების სამი სიმრავლის -- მეტოქე კოალიციების ურთიერთქმედების, გარეშე ცვლილებების და სტაბილური სისტემური პარამეტრების -- ფუნქციას. დინამური და სტაბილური ელემენტების შერწყმა ნიშანდობლივია საბატიერის ანალიზისთვის (Sabatier, 1991, pp. 279-280).

საგარეო პოლიტიკის სისტემური ანალიზის ერთ-ერთი პირველი მცდელობა განხორციელებულია ისრაელის მაგალითზე მაიკლ ბრეხერის მიერ (Brecher, 1972), რომლის მიერ შემოთავაზებული სქემა ითვალისწინებს: საგარეო პოლიტიკის ოპერაციულ გარემოს, ფსიქოლოგიურ გარემოს (პოლიტიკური ელიტის მიდგომებსა და გარეშე სამყაროს ხატებს), გადაწყვეტილების მიღების პროცესს და საბოლოო შედეგებს. ბრეხერის სისტემა კომპლექსური ფორმით წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპს, თუმცა მასში არ ჩანს თითოეული ეტაპისათვის გამოყოფილი ფაქტორების ურთიერთქმედების პირობები. ამავე დროს, ბრეხერის სქემა გამოყოფს ზოგად მახასიათებლებს, რომელთა დადგენაც არსებითი უნდა იყოს საგარეო პოლიტიკის სისტემური წარმოდგენის ნებისმიერი მცდელობისათვის.

აღნიშნული ანალიზის ხერხები პოლიტიკური პროცესის უეჭველად მრავალფაქტორიან სურათს წარმოაჩენს, მაგრამ მათში არ არის ნაჩვენები გამოყოფილი ფაქტორების მიმართება პოლიტიკური პროცესის ეტაპებთან, თუ რა ფუნქციას ასრულებენ კონკრეტული ფაქტორები პოლიტიკური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და როგორია კორელაცია თვით ამ ეტაპებს შორის. აღნიშნულ მიდგომებში, ასევე ნაკლები ყურადღება ექცევა თვით პოლიტიკური პროცესის შედეგებსა და მათ უკუქმედებას აღნიშნულ ფაქტორებზე.

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის მიზნებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ საგარეო პოლიტიკის სისტემური ანალიზის მიდგომა, რომელიც საკმაოდ ფართო და მოქნილია, რათა მოიცვას ის მრავალგანზომილებიანი პროცესები, რომლებიც მონაწილეობენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში.

### 1.3 საგარეო პოლიტიკის სისტემური ანალიზი

1.3.1 საგარეო პოლიტიკის სისტემის კონცეპტუალური და ოპერაციული განსაზღვრება

სისტემური ანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებლის დევიდ ისტონის დახასიათებით, „პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს ურთიერთქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ღირებულებების ავტორიტეტული მიკუთვნება საზოგადოებისადმი“ (Easton, 1979, p.21). თუკი პოლიტიკური სისტემის ისტონისეულ დეფინიციას განვაგრძობთ საგარეო პოლიტიკის სისტემისათვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგარეო პოლიტიკის სისტემის ურთიერთქმედებების შედეგად ხდება მისთვის დამახასიათებელი ღირებულებების პროექცირება გარეშე საზოგადოებრივ სისტემაზე. ამავე დროს, თუ შიდაპოლიტიკური სისტემის მიერ შემუშავებული ღირებულებები მეტ-ნაკლებად სავალდებულოა მოცემული სახელმწიფოს საზოგადოებისათვის, ამგვარი ვალდებულება არ არსებობს იმ გარეშე საზოგადოებისათვის, რომელზეც მიმართულია შესაბამისი საგარეო პოლიტიკა.

ამგვარად, კონცეპტუალურ დონეზე, საგარეო პოლიტიკის სისტემას ჩვენ დავახასიათებდით, როგორც ურთიერთქმედებების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც ხდება ღირებულებების არა-აუცილებელი მიკუთვნება მოცემული სისტემის გარეთ მდებარე საზოგადოებისადმი. ოპერაციულ დონეზე, საგარეო პოლიტიკის სისტემა წარმოდგენილია, როგორც დროითი და სივრცითი ურთიერთქმედებების ერთობლიობა, რომელიც ფუნქციონირებს შესაბამის გარემოში და რეაგირებს ამ გარემოსათვის დამახასიათებელ შესაბამის პარამეტრებზე და მათ შემადგენელ ცვლადებზე. ამგვარი დინამიური სისტემა ტრადიციულად შეიცავს სამ ძირითად ეტაპს: შესავალს, პროცესს და გამოსავალს. გამოსავალზე მიღებული შედეგები თავის მხრივ აისახება სისტემის გარემოში და კვლავ

გარდაიქმნება იმ შესავალ ფაქტორებად, რომლებზედაც რეაგირებს სისტემა. ამავე დროს, საგარეო პოლიტიკის სისტემური წარმოდგენა გულისხმობს შემდეგი დებულებების გათვალისწინებას: 1. სისტემა ეფუძნება პარამეტრებს, რომლებიც შედგება შესაბამისი ცვლადებისგან. 2. სისტემა მოცემულია ერთ მთლიანობაში 3. სისტემა ასახავს დინამიურ პროცესს. 4. სისტემა ფუნქციონირებს შესაბამის გარემოში (Clarke, 1989, pp. 27-55).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საგარეო პოლიტიკის სისტემის სქემის ჩამოყალიბება მოითხოვს შემდეგი ნაბიჯების განხორციელებას: 1. სისტემის განმსაზღვრელი პარამეტრების და ცვლადების გამოყოფის კრიტერიუმების დადგენა; 2. სისტემის განმსაზღვრელი პარამეტრების და ცვლადების გამოყოფა; 3. გამოყოფილ პარამეტრებს შორის არსებული მიმართებების დადგენა; 4. სისტემასა და მისი ფუნქციონირების გარემოს შორის ურთიერთქმედების დინამიკის ჩვენება.

### 1.3.2 საგარეო პოლიტიკის სისტემის პარამეტრები და ცვლადები

#### სისტემის პარამეტრების და ცვლადების გამოყოფის კრიტერიუმები

საგარეო პოლიტიკის სისტემის პარამეტრების და ცვლადების განსაზღვრისას, ჩვენ ამოვდივართ შემდეგი კრიტერიუმებიდან: 1. სისტემა ფუნქციონირებს გარკვეული პარამეტრების მიხედვით, რაც განაპირობებს სისტემის ფუნქციონირების რეჟიმებს. 2. ვინაიდან საგარეო პოლიტიკის სისტემას ჩვენ განვიხილავთ, როგორც დროის მოცემულ მონაკვეთში მოქმედ დინამიურ სისტემას, მის პარამეტრებად მივიჩნევთ ფაქტორებს (პროცესებს), რომლებიც დროის მოცემულ მონაკვეთში გამოირჩევიან შედარებითი მდგრადობით და ზემოქმედებენ სისტემაზე. 3. სისტემის ცვლადებად მივიჩნევთ ფაქტორებს (მოვლენებს), რომლებიც დროის მოცემულ მონაკვეთში გამოირჩევიან შედარებითი დინამიურობით და განსაზღვრავენ სისტემის პარამეტრების შინაარსს. 3. სისტემის შემადგენელი ცვლადის, როგორც სისტემის ფუნქციონირების რეჟიმის განმსაზღვრელი პარამეტრის შემადგენელი ნაწილის, არსებითი შეცვლა იწვევს სისტემის გამოსავალზე მიღებული შედეგების არსებით შეცვლას.

#### საგარეო პოლიტიკის სისტემის შემადგენელი ცვლადების დახასიათება

1. პოლიტიკურ სისტემაზე გარემოს ზემოქმედების სტრუქტურირების მიზნით ლიტერატურაში მიღებულია სისტემის „შესავალი“ ფაქტორების ცნება. დევიდ

ისტონის განმარტებით, შესავალი ფაქტორები წარმოადგენენ „ჯამურ ცვლადებს“, რომლებშიც კონცენტრირებული სახით ასახულია სისტემის ოპერირებისათვის არსებითი ყველა გარეშე მოვლენა. ისტონი შესავალ ფაქტორებს ორ ფართო კატეგორიაში -- მოთხოვნათა ფაქტორების (demands) და მხარდაჭერის ფაქტორების (support) კატეგორიაში აერთიანებს, რომელთა ცვალებადობის შედეგად, გარემოს მოვლენები „გადაეცემა“ პოლიტიკურ სისტემას (Easton, 1979, pp.27-128).

სისტემის შესავალი ფაქტორების ანალოგიურ წარმოდგენას იძლევა მაიკლ კლარკიც. სისტემის შესავალზე არსებულ მკაფიოდ გამოკვეთილ ფაქტორებს კლარკი ახასიათებს, როგორც გარკვეულ ზეწოლას გადაწყვეტილების მიმღები პირების მიმართ, ხოლო ნაკლებად გამოკვეთილი ფაქტორებს, - როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირების მხარდაჭერას, ან უბრალოდ, როგორც არსებულ ტრადიციას (Clark, 1989, pp.27-55).

ვეთანხმებით რა გარემოს ფაქტორების ძირითად დიქტომიას, მიგვაჩნია, რომ სისტემის შესავალ სტადიაზე ფაქტორების დაყოფა „მოთხოვნების“ და „მხარდაჭერის“ კატეგორიებად ნაადრევია. შესავალი ფაქტორები ამგვარ კატეგორიებად შეიძლება ჩამოყალიბდნენ მხოლოდ მას შემდეგ რაც ისინი ურთიერთქმედებაში შევლენ პოლიტიკური სისტემის ოპერირების მეორე ეტაპის, გადაწყვეტილების მიღების ეტაპის, ფაქტორებთან, ანუ მხოლოდ მას შემდეგ რაც ისინი ურთიერთქმედებაში შევლენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელ ბიუროკრატიულ და პოლიტიკურ აპარატთან და გაივლიან ინტერპრეტირებისა და შეფასების პროცესს. ხოლო, მანამ სანამ აღნიშნული ფაქტორები არ დაექვემდებარებიან ლეგიტიმური ბიუროკრატიული და პოლიტიკური ხასიათის ფორმალურ თუ არაფორმალურ დამუშავებას, მიგვაჩნია, რომ მათი დახასიათება უფრო მართებული იქნებოდა შედარებით „ნედლი“ სტიმული-ცვლადების სახით. შესაბამისად, გამოვყოფდით ორი ტიპის ცვლადებს: ცვლადები, რომლებიც შესავალ ეტაპზევე გარკვეული ხარისხით ორიენტაციას უცვლიან პოლიტიკურ სისტემას და უბიძგებენ მას თვისობრივად ახალი ტიპის შედეგების მიღებისაკენ; და ცვლადები, რომლებიც არ უბიძგებენ სისტემას ამგვარი ქმედებისაკენ. პირველი ტიპის, ასე ვთქვათ, „რადიკალური“ ცვლადები, ბუნებრივია, ხასიათდებიან განსხვავებული ინტენსივობით, სადაც ზემოქმედება

შეიძლება იყოს სრულიად ერთმნიშვნელოვანი და ინტერპრეტირების მხოლოდ უმნიშვნელო არჩევანს ტოვებდეს, ან სადაც მიუხედავად გარკვეული ზეწოლისა, ინტერპრეტირების შესაძლებლობები საკმაოდ ფართოა. მეორე ტიპის, ასე ვთქვათ, „ლიბერალური“ ცვლადები არ უბიძგებენ სისტემას თვისობრივად ახალი რეჟულტატებისკენ და მას საშუალებას აძლევენ მეტ-ნაკლებად იგივე „რეჟიმში“ გააგრძელოს ფუნქციონირება. თავისი ინტენსივობით ლიბერალური ცვლადები ასევე შეიძლება განსხვავდებოდნენ, იმის და მიხედვით, თუ რა ხარისხით იძლევიან ისინი არსებული რეჟიმის შენარჩუნების საშუალებას.

2. საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე დევს ფაქტორები, რომლებიც ასევე შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ჯამური ცვლადები“, რომლებშიც კონცენტრირებული სახით ასახულია სისტემის შიდა პროცესის დასრულებისას მიღწეული შედეგები. ლიტერატურაში ამ ფაქტორებს ძირითადად ახასიათებენ, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა ქმედებებს და ხშირად უგულებელყოფენ მათ კავშირს იმ პოლიტიკურ პროცესებთან, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ გადაწყვეტილების მიღების ეტაპს; ან დაჰყავთ ისინი სახელმწიფო ქმედებათა სიმრავლეზე, რომლის კლასიფიკაცია არ ეფუძნება რაიმე ერთიან კრიტერიუმებს და ხშირად ურთიერთგადაამფარავია.

გვინდა დავაზუსტოთ, რომ საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესის უშუალოდ მომდევნო ეტაპზე, პირველ რიგში, დევს სისტემის მოქმედების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება „რეალიზებული“ იყვნენ შესაბამისი დოკუმენტების სახით. გამოსავალი ეტაპის ამ პირველ დონეს ჩვენ ვუწოდებთ „დეკლარაციულ“ დონეს და მას მივაკუთვნებთ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხორციელდება აღწერითი, ბრძანებითი, ინსტრუქციული, პროტოკოლური, თუ საკუთრივ დეკლარაციული დოკუმენტების სახით. სისტემის წინარე ეტაპების ზემოქმედების შედეგად, დეკლარაციული დონის შედეგებს, შესაძლებელია მოჰყვეს შემდგომი, უფრო ინტენსიური ძალისხმევით მიღწეული „ოპერაციული დონის“ შედეგები. ოპერაციულ შედეგთა კატეგორიაში ჩვენ ვაერთიანებთ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამის ქმედებებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს დიპლომატიურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ხასიათის. სისტემის ფუნქციონირების დეკლარაციულ და ოპერაციულ შედეგებს შორის არ არის



ცალსახა დამოკიდებულება. რეალური ქმედება უშუალოდ შეიძლება მხოლოდ გარკვეული ტიპის გადაწყვეტილებებს მოსდევდეს, რომლებიც, თავის მხრივ, სისტემაზე „რადიკალური“ ცვლადების ზემოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდნენ. დეკლარაციული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი არ საჭიროებს რაიმე ქმედების შესრულებას (მაგალითად, აღწერითი ან საკუთრივ დეკლარაციული ტიპის დოკუმენტები). ამ ტიპის გადაწყვეტილებებს ლიტერატურაში „თვით-განხორციელებად“ გადაწყვეტილებებსაც უწოდებენ (Clark, Smith, 1989, p. 170). თუმცა, ამ ტიპის გადაწყვეტილებების გავლენა საერთაშორისო სისტემაზე, რა თქმა უნდა, შეიძლება ძალზე ძლიერი იყოს. ამ ორ ზღვრულ შესაძლებლობას შორის შეიძლება არსებობდეს გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი ქმედებების ურთიერთმიმართებათა მრავალრიცხოვანი ვარიაციები, რომლებიც თანმიმდევრულობის ხარისხის მიხედვით ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის შეიძლება განსხვავებული იყოს. მეორე მხრივ, არსებობს ასევე გარკვეული შეუსაბამობის პრობლემა პოლიტიკოსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მათ განხორციელებას შორის, რასაც ლიტერატურაში „ჩანაცვლების“ მოვლენასაც უწოდებენ (Clark, Smith, 1989, pp. 163-183). აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ ოპერაციული შედეგები, ყველაზე თვალნათლივ წარმოაჩენენ სახელმწიფოს ქცევას საერთაშორისო სისტემის კონტექსტში, და სწორედ ისინი განაპირობებენ ყველაზე მკაფიოდ სხვა სახელმწიფოთა შესაბამის რეაგირებას. ამდენად, საგარეო პოლიტიკის კვლევაში ურთიერთმიმართებას დეკლარაციულ და ოპერაციულ შედეგებს შორის დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს.


3. სისტემის შესავალსა და გამოსავალს შორის დევს გადაწყვეტილებების მიღების რთული პროცესი, რომელსაც ლიტერატურაში ხშირად „შავ ყუთს“ უწოდებენ. მაიკლ კლარკი გვთავაზობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შემდეგ სქემატურ ეტაპებს: პირველ ეტაპზე ადგილი აქვს შესავალზე არსებული ფაქტორების ინტერპრეტაციას, რომლის პროცესშიც ერთმენეთთან ურთიერთქმედებენ სისტემის ბიუროკრატიული მანქანა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ფაქტორები. მეორე ეტაპზე, ამგვარად ინტერპრეტირებული ფაქტორები უკვე ყალიბდება საგარეო პოლიტიკის საკითხებად, რომელთაც

გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვთ. დასკვნით ეტაპზე, გამოკვეთილი საკითხები, კვლავ გაივლიან რა ადაპტაციას სისტემის ბიუროკრატიულ და ფსიქოლოგიურ ქსელში, ყალიბდებიან, მაქსიმუმ, როგორც საგარეო პოლიტიკის მიზნები და, მინიმუმ, როგორც საკითხები, რომლებიც არ მოითხოვს რაიმე რეაგირებას.

ზოგადად ვიზიარებთ რა კლარკის მიერ გამოყოფილ ეტაპებს, მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, გარდა ბიუროკრატიული და ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, ზეგავლენას ახდენს მთელი წყება ფაქტორებისა, რომლებიც სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემის სტრუქტურით არიან განპირობებულნი. ამავე დროს, საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების განხილვისას, ამოსავალ პოსტულატად მივიჩნევთ, რომ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი აპარატი, მასზე ზემოქმედების ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ძირითადი ორიენტირით -- ქვეყნის ეროვნული ინტერესებით. ეროვნული ინტერესების ცნებისა და მისი სხვადასხვა ტიპების ლიტერატურაში არსებული ანალიზის გათვალისწინებით (მაცაბერიძე, 1992, გვ.17-30; ოთინაშვილი, 2002, გვ.2-25; რონდელი, 1996, გვ. 90), განზოგადოებული ფორმით ჩამოვყალიბებთ, რომ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები მოიცავს მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის გრძელ- თუ მოკლევადიან ამოცანებს, რომლებიც ყოველი მოცემული ისტორიული პერიოდისათვის განისაზღვრება არსებული საერთაშორისო სისტემისა და სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემის მდგომარეობით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ როგორც საგარეო პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ორიენტირი, ეროვნული ინტერესები განისაზღვრება სწორედ რომ იგივე ფაქტორებით, რომლებიც დევს საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე, თუმცა, როგორც იდეალური კატეგორია, ნაკლებად ექვემდებარება ბიუროკრატიულ თუ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას. ამავე დროს, სასიცოცხლო მნიშვნელობის, გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს განვიხილავთ, როგორც სისტემის შედარებით მდგრად პარამეტრებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სისტემის შესავალ ეტაპზე. მეორეხარისხოვან და მოკლევადიან ეროვნულ ინტერესებს განვიხილავთ, როგორც სისტემის ცვლადებს, რომლებიც

განსაკუთრებით ქმედითია სისტემის შუალედური, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე.

ამგვარად, საგარეო პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების პროცესი შემდეგი გამარტივებული სქემის სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



### 1.3.3 საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების გარემო

პოლიტიკური სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების ანალიზისას, ხშირად აპელირებენ ე.წ. „ეკვილიბრიუმის“ მოდელით, რომლის თანახმად, პოლიტიკური სისტემა, რეაგირებს რა გარემოს მადესტაბილიზირებელ ზეგავლენაზე, იღწვის წონასწორობის შესანარჩუნებლად. ამგვარად, სისტემის რეალური ამოცანა გაგებულება, როგორც სტაბილური გარემოს შენარჩუნება. ჩვენ ვერ დავეთანხმებით სისტემისა და გარემოს ურთიერთქმედების ამგვარ ინტერპრეტაციას. ერთი მხრივ, სისტემის მიზანი შეიძლება იყოს არსებული წონასწორობის რღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ სისტემა, და კერძოდ საგარეო პოლიტიკის სისტემა, არა მხოლოდ რეაგირებს გარემოს გარეშე სტიმულებზე, არამედ შეუძლია თვითონაც მოახდინოს გარემოზე ზემოქმედება, რათა თავისი მიზნების შესაბამისად გარდაქმნას მისთვის არასასურველი გარეშე ფაქტორები.

და მაინც, რამდენად განსაზღვრავს გარემო საგარეო პოლიტიკის ფორმირებას და მის მიმართულებას?

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში გამოკვეთილია დეტერმინისტული თვალსაზრისი, რომლის თანახმად, საგარეო პოლიტიკა მთლიანად განისაზღვრება არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა გარემოთი. ეს თვალსაზრისი აერთიანებს ძალთა ბალანსის, საერთაშორისო ეკონომიკურ

ურთიერთობების და ე.წ. „დამოკიდებულების“ თეორიებს. რა თქმა უნდა, ძნელია იმის უარყოფა, რომ ბევრ შემთხვევაში სახელმწიფს საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება არსებული გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთმიმართებებით. ამავე დროს, როგორც აღნიშნავენ ჰაროლდ და მარგარეტ სპრაუტები, მართალია საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები შეზღუდულნი არიან თავიანთ არჩევანში, მათი გადაწყვეტილებები არ არის აბსოლუტურად დეტერმინირებული გარეშე სტრუქტურების მიერ (Sprout, 1965, ციტირებულია: Clark, White, 1989, p.98). ავტორები აღნიშნავენ გარკვეული შუალედური მდგომარეობების ამსახველ თვალსაზრისებს, მათ შორის: 1. „გარემოს ალბათობის“ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, გარემო განსაზღვრავს გარკვეული პოლიტიკური შედეგების მიღების ალბათობას; და 2. „კოგნიტური ბიჰევიორიზმის“ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მათ მიერ გარემოს აღქმის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების საკმაო თავისუფლება აქვთ. კრისტოპერ ფერანდსი გარემოსა და საგარეო პოლიტიკას შორის დამოკიდებულების თაობაზე არსებულ თვალსაზრისებს თავს უყრის სქემატური სამკუთხედის სახით, რომლის წვერებზეც განლაგებულია: „თავისუფალი არჩევანი“, „კოგნიტური დეტერმინიზმი“ და „ექსტრა-სტრუქტურული დეტერმინიზმი“ და რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მკვლევარის თვალსაზრისი იმის და მიხედვით, თუ როგორია მისი პოზიცია ამ სამი მიდგომის მიმართ (Farrands, 1989, p. 99).

სისიტემური ანალიზის თვალსაზრისით, როგორც ავღნიშნეთ, გარემო განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებას, იმდენად რამდენადაც მისი ფაქტორები წარმოადგენენ სისტემის შესავალზე არსებულ ფაქტორებს (პარამეტრებსა და ცვლადებს), ხოლო სისტემის გამოსავალზე მიღებული ფაქტორები (შედეგები) კვლავ უბრუნდებიან გარემოს წიაღს.

არსებობს თვით გარემოს ანალიზისა და მისი კატეგორიზაციის სხვადასხვა მიდგომებიც.

დევიდ ისტონის თანახმად, პოლიტიკური სისტემის გარემო მოიცავს „შიდა-საზოგადოებრივ“ და „გარე-საზოგადოებრივ“ გარემოს. „შიდა-საზოგადოებრივი“ გარემო შეიცავს ეკოლოგიურ, ბიოლოგიურ, პიროვნებათა და სოციალურ

სისტემებს. „გარე-საზოგადოებრივი“ გარემო შეიცავს ყველა იმ სისტემას, რომელიც მოცემული საზოგადოების გარეთ ძვეს, წარმოადგენს საერთაშორისო „ზესაზოგადოების“ ფუნქციონალურ სეგმენტებს და აერთიანებს: საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას, საერთაშორისო ეკოლოგიურ სისტემას და საერთაშორისო სოციალურ სისტემას. თავის მხრივ, თვითოეული გამოყოფილი სისტემა ცალკეული ქვესისტემებისაგან შედგება. ისტონის განმარტებით, გარემოს ეს ორი კატეგორია, ზემოქმედებს რა პოლიტიკური სისტემის არსებულ მდგომარეობაზე, მას შეიძლება „სტრესის“ მდგომარეობაში აქცევედეს, თუმცა სტრესის უკუგდება, ამავე დროს, სისტემის თანამავალი თვისებაცაა (Easton, 1979, p.22-25). გარემოს ისტონისეული დახასიათება ეხმაურება ზემოხსენებულ „ეკვილიბრიუმის“ მოდელს, სადაც წინა პლანზე წამოწეულია „ჭიდილი“ სისტემასა და გარემოს შორის. თუმცა, ვთვლით, რომ გარემოს ეგზომ ფართო წარმოდგენა მოუხერხებელია პოლიტიკური სისტემის რომელიმე კონკრეტული ტიპის, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სისტემის, ანალიზის პრაქტიკული მიზნებისათვის.

მიღებულია აგრეთვე საერთაშორისო და ადგილობრივი გარემოს გამოყოფა, სადაც ძირითად განმასხვავებელ ნიშნად ხელისუფლების კონცენტრაციის სხვადასხვა ხარისხია მიჩნეული. ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე მიღებულია დიქტომია, სადაც ერთი მხრივ, გამოყოფენ ფსიქოლოგიურ გარემოს, ხოლო, მეორე მხრივ, ოპერაციულ გარემოს. ფსიქოლოგიური გარემო ყალიბდება გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ მათ ირგვლივ არსებული სამყაროს აღქმის შესაბამისად, ხოლო ოპერაციული გარემო, გულისხმობს რა პოლიტიკის ობიექტურ სამყაროს, თავის მხრივ შეიცავს გარემოთა ისეთ სახეობებს, როგორცაა: სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურა და კულტურა, შიდა ეკონომიკური გარემო, ფიზიკური გარემო, და ბოლოს, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, როგორც ურთიერთვალდებულებათა ერთობლიობა.<sup>1</sup>

გარემოს ამგვარი მრავლობითი ტიპების გამოყოფა ხშირად არ იძლევა მათი ერთმანეთისაგან მკაფიო გამიჯვნის საშუალებას, რადგანაც მათი თვისობრივი

<sup>1</sup> თფფკუწ ზწდშემლშო ჰგკუქწო ეშხუიშო ღღფთშაშღფსშუიშო ქშქწწშღმფ შწშღუქშწFarrands C., The Context of Foreign Policy Systems: Environment and Structure, in Clarke M., White, B., Understanding Foreign Policy, Edward Elgar Publishing Limited, 1989, pp. 84-107.

მასხასიათებლები საკმაოდ ურთიერთგადაამფარავია. ანალიზის პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების ერთიანი გარემოს გამარტივებული მოდელის წარმოდგენა, რომლის შემადგენლობაშიც შევა განსხვავებული ფაქტორების ურთიერთქმედებაზე დაფუძნებული ქვესისტემები. უხეშად გამოვეყოფთ სამ ასეთ ქვესისტემას: 1. საერთაშორისო სისტემას, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს როგორც საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი „სუბიექტი“ სახელმწიფო, ასევე აღნიშნული საგარეო პოლიტიკის „ობიექტი“ სახელმწიფო. 2. „სუბიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა. 3. „ობიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ამ ქვესისტემების დამახასიათებელი ის ფაქტორები, რომლებიც დროის მოცემულ მონაკვეთში არ ექვემდებარებიან მნიშვნელოვან ცვლილებას, განხილული იქნება როგორც გარემოს „მუდმივი“ პარამეტრები. აღნიშნული პარამეტრები, დროის მოცემული მონაკვეთისათვის, თავისი შინაარსობრივი დატვირთვით განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმებს. ხოლო გარემოს ის ფაქტორები, რომლებიც დროის მოცემულ მონაკვეთში მეტი ცვალებადობით ხასიათდებიან და თავიანთ ერთობლიობაში შეადგენენ შესაბამის პარამეტრებს, განხილული იქნება, როგორც გარემოს ცვლადები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზემოქმედებენ საგარეო პოლიტიკის სისტემაზე. როგორც ავლნიშნეთ, ე.წ. „რადიკალური“ ცვლადები უბიძგებენ სისტემას თვისობრივად ახალი შედეგების მიღებისაკენ, ხოლო „ლიბერალური“ ცვლადები საშუალებას აძლევენ სისტემას მეტ-ნაკლებად ჩვეულ „რეჟიმში“ განაგრძოს მუშაობა.

### 1.3.3.1 საერთაშორისო სისტემა

ჩვენი მოდელის თანახმად, საგარეო პოლიტიკის სისტემის გარემოს პირობითად პირველ უმნიშვნელოვანეს შრეს წარმოადგენს საერთაშორისო სისტემა. ლიტერატურაში აღინიშნება საერთაშორისო სისტემის მრავალნაირი მახასიათებლები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ კრიტერიუმებს ეფუძნება.

მაგალითად, ქვინსი რაიტი გამოყოფს ექვს ანალიტიკური ტიპის მახასიათებელს, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო აქტორების ურთიერთმიმართებებს საერთაშორისო სივრცეში. ეს მახასიათებლებია: ეკონომიკური განვითარების ხარისხი; პოლიტიკური დეცენტრალიზაციის ხარისხი; სიძლიერის ხარისხი; საერთაშორისო ვაჭრობისა და კომუნიკაციის განვითარების ხარისხი; ტექნოლოგიური განვითარების ხარისხი; და რესურსების მისაწვდომობის ხარისხი (ციტირებულია: Rummel, 1979). რ. რუმელი საერთაშორისო სისტემას, ან მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებას, წარმოადგენს შემდეგ თვისებებზე დაყრდნობით: -- საერთაშორისო საზოგადოება წარმოადგენს კონფლიქტისა და ძალაუფლების თანაფარდობას; -- საერთაშორისო საზოგადოება ემყარება გაცვლით ურთიერთობებს; -- საერთაშორისო საზოგადოება იმართება ლიბერტარული პოლიტიკური ზესისტემის მეშვეობით (ibid). შეიძლება ითქვას, რომ როგორც რაიტის ასევე რუმელის მიერ გამოყოფილი მახასიათებლები ფაქტიურად დაიყვანება კონფლიქტისა და თანამშრომლობის მახასიათებლებზე. გამოკვეთილია საერთაშორისო სისტემის დახასიათების სხვა აქცენტებიც. კერძოდ, რაიმონ არონი გვთავაზობს საერთაშორისო სისტემის ისეთ ძირითად თვისებას, როგორცაა სამხედრო ძალის გამოყენების ლეგიტიმურობა (განსხვავებით სახელმწიფოს შიდა სისტემისაგან, სადაც ძალის გამოყენება თითქოსდა არალეგიტიმურია) (Aron, 1967, ციტირებულია: Rummel, 1979). არსებობს თვალსაზრისიც, რომელიც საერთაშორისო სისტემას ქაოტურობის ნიშნით ახასიათებს. კერძოდ, სტენლი ჰოფმანი საერთაშორისო სისტემას, განსხვავებით შიდაპოლიტიკური სისტემისაგან, წარმოადგენს როგორც მაღალი განუსაზღვრელობის ხარისხის მქონე სივრცეს (Hoffmann, 1965, ციტირებულია: ibid).

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად კრიტერიუმების მრავალფეროვნებისა, აღნიშნული საერთაშორისო სისტემის მახასიათებლები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი წყვილი კატეგორიების მიხედვით: მოწესრიგებულობა-მოუწესრიგებლობა, სტაბილურობა-არასტაბილურობა და ინტეგრაცია-იზოლაცია. აღნიშნული მახასიათებლები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან, მაგრამ საერთაშორისო სისტემას განსხვავებული ასპექტებით წარმოადგენენ. განვიხილოთ თითოეული მახასიათებელი და ის არგუმენტები, რომელთაც დავეყრდნობით მათი გამოყოფისას.

მოწესრიგებულობა-მოუწესრიგებლობა. აღნიშნული მახასიათებლების გამოყოფა ეფუძნება მტკიცებას, რომ საერთაშორისო სისტემაში გამოიკვეთება როგორც ანარქიის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტენდენციები. მოვიყვანოთ აღნიშნული მტკიცების ორივე მხარის დამასაბუთებელი არგუმენტები.

პირველი, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს ერთიანი მმართველი და განმსჯელი ორგანო, ან კოლექტიური უსაფრთხოების გლობალური სისტემა, როგორც ეს უზრუნველყოფილია ცალკეული სახელმწიფოს ფარგლებში სახელმწიფო აპარატის მიერ. ამდენად, საერთაშორისო სისტემა ანარქიული სისტემაა, სადაც დომინირებს ძალა და ავტორიტეტი. მეორე, წესრიგის და კონსენსუსის მიღწევას საერთაშორისო სისტემაში ხელს უშლის ის დაპირისპირებაც, რომელიც იმთავითვე არსებობს სტატუს ქვოსა და ცვლილების შესაძლებლობას შორის. როგორც აღნიშნავს დევიდ ალენი, მსოფლიოში არსებობს მუდმივი კონფრონტაცია იმათ შორის ვინც დაინტერესებულია ცვლილებები შეიტანოს არსებულ სისტემაში და ვისი ინტერესებიც საუკეთესოდ არის დაცული არსებული მდგომარეობით (Allen, 1989, p. 81). მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც აწესრიგებს სახელმწიფოთა ქცევას საერთაშორისო სისტემაში. პირველ რიგში, ეს არის ევროპული ქვეყნების მიერ შემუშავებული დიპლომატიური პროტოკოლის წესები, რომლებიც ამარტივებს დიალოგს სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოებს შორის (ibid, p. 81). მეორე, სახელმწიფოები ძირითადად იცავენ საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც ერთი მხრივ, მათ ანიჭებს სუვერენული თანასწორობის უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, აკისრებს კონკრეტულ ვალდებულებებს (ალექსიძე, 2001, გვ. 26-52). მესამე, გლობალური მასშტაბის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის არარსებობის პირობებში, უძლიერესი სახელმწიფოები, როგორც გლობალურ ასევე რეგიონალურ დონეზე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სისტემის წარმართვაში (რონდელი, 1996, გვ. 222). ნეორეალიზმი გლობალურ სტრუქტურაში წამყვან ადგილს სწორედ სახელმწიფოთა ალიანსებს ანიჭებს, რომელთა ფარგლებშიც აღებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოებს ძვირად უჯდება (Farrands,



1989, p.95). მეოთხე, საერთაშორისო სისტემის მოწესრიგებულობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ზემოაღნიშნულ ალიანსებში გამოკვეთილი იერარქია, რომლის მთავარი განმსაზღვრელი პრინციპი კვლავ სახელმწიფო ძლიერებაა (Smith, 1989, pp. 185-212). არსებობს შეხედულებაც, რომლის თანახმად დღევანდელ მსოფლიოში იმდენი იერარქიული სტრუქტურაა, რამდენი საერთაშორისო საკითხიც არსებობს (Allen, 1989, p. 69). მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკის საკითხებში პიტერ ტარნოფი წერდა: "როდესაც საქმე გვაქვს აშშ-სთვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ სხვადასხვა ქვეყნები გვიჭერენ მხარს და სხვადასხვა ქვეყნები გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ" (Tarnoff, 1996, pp 5-8). მეხუთე, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების და ტრანსნაციონალური კომპანიების გაზრდილი როლი ასახავს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის სწრაფვას მოწესრიგებულობისკენ, ამავე დროს, აღნიშნული საერთაშორისო სტრუქტურები ქმნიან ე.წ. „ინტელექტუალურ ინფრასტრუქტურას,“ რომელიც ხელმისაწვდომი ხდება საერთაშორისო სისტემის ყველა მონაწილისათვის (Farrands, 1989, p. 95). მეექვსე, ცალკეული სახელმწიფოები, სახელმწიფოთა ალიანსები და საერთაშორისო ორგანიზაციები შეადგენენ ერთიან გლობალურ სტრუქტურას, რომელიც აღნიშნული კომპონენტებითა და მათ შორის არსებული კავშირებით, ალბათ, საერთაშორისო სისტემის მოწესრიგებულობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისტემის მოწესრიგებულობის სასარგებლო არგუმენტები, ერთი შეხედვით, უფრო მრავალრიცხოვანია, ვერ ვიტყვით, რომ თანამედროვე ეტაპზე, აღნიშნული წყვილი მახასიათებლები ასიმეტრიულია, თუმცა სავარაუდოა, რომ მსოფლიო განვითარების სამომავლო ტენდენცია, სწორედ რომ მოწესრიგებულობის მიმართულებით წარიმართოს.

სტაბილურობა-არასტაბილურობა. მოწესრიგებულობა-მოუწესრიგებლობის მახასიათებლები მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო სისტემის სტაბილურობა-არასტაბილურობის მახასიათებლებს, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ რეალიზმის ძალთა ბალანსის კონცეფციაში გამოიკვეთება. კ. მორგენტაუს თქმით, „ძალთა წონასწორობა და მისი შენარჩუნებისკენ მიმართული პოლიტიკა სუვერენულ

სახელმწიფოთა საზოგადოებაში არის არა მხოლოდ გარდაუვალი, არამედ არსებითი მასტაბილიზირებული ფაქტორი“ (Morgenthau, 1948, p. 161.). თუ რამდენად არის ძალთა წონასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა სტაბილიზაციის ფაქტორი საკამათო საკითხია, ვინაიდან ყოველ მოცემულ ეტაპზე არსებული ძალთა ბალანსი იმთავითვე შეიცავს ცვლილებისა და კონფრონტაციის პოტენციალს. თანამედროვე პოლიტიკოსები ბოლო დროს უკვე უარყოფენ მსოფლიოში გავლენის სფეროების დანაწილებისკენ სწრაფვას (სოლანა, 1997). მაგრამ მიუხედავად აღნიშნული თვალსაზრისისა, ძალთა ბალანსის პოზიციას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც ლიტერატურაში, ასევე რეალურ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში. ფ. ჰარტმანის თქმით, დღევანდელ „დეცენტრალიზებულ“ საერთაშორისო სისტემაში თითოეული სახელმწიფო დგას ე.წ. „ძალის პრობლემის“ წინაშე, სადაც ძალისმიერი აგრესია სრულიად დასაშვები მოვლენაა (Hartman, 1994, p. 3).

პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის რ. არონის აზრით, ყველაზე უფრო სტაბილური ჰეგემონური ტიპის საერთაშორისო სისტემაა, სადაც ჰეგემონი სახელმწიფო ურიგდება პატარა ქვეყნების არსებობას და „არ შთანთქავს მათ“ (Aron, 1968, p.100,). დღევანდელ ბირთვულ ეპოქაში დამკვიდრდა შეხედულებაც, რომ ბიპოლარული სისტემა, მისთვის დამახასიათებელი ძლიერი შეკავების მექანიზმებით, უფრო სტაბილურია ვიდრე ნებისმიერი მულტიპოლარული სისტემა. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს რომ თანამედროვე ეტაპზე, ბიპოლარული სისტემის რღვევისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების განმტკიცებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება რეალიზმის ძალისმიერი ლოგიკისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და სწრაფვა ერთიანი, უსაფრთხო, ეგალიტარული სივრცეებისადმი.

ინტეგრაცია-იზოლაცია. მიუხედავად ზემოხსენებული არგუმენტისა საერთაშორისო მონაწილეთა ერთიანი სივრცისკენ სწრაფვის თაობაზე, საერთაშორისო სისტემის ინტეგრაცია-იზოლაციის მახასიათებლებიდან, დღესდღეობით, წინა პლანზე ალბათ მაინც იზოლაციის მახასიათებელი უნდა იყოს წამოწეული, ვინაიდან საერთაშორისო სისტემის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებად კვლავ სუვერენული სახელმწიფოები რჩება, რომლებიც

ასორციელებენ ინდივიდუალურ საგარეო პოლიტიკას, თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

მეორე მხრივ, მსოფლიოში სულ უფრო ღრმავდება ინტეგრაციული პროცესები, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელია. მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკოლოგიური კავშირები აისახა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიაში (რონდელი, 1996, გვ. 132-141). ამ თეორიის თანახმად, სუსტი და ძლიერი სახელმწიფოები ერთნაირად მონაწილეობენ გლობალური ინტეგრაციის პროცესში, რომელშიც ეროვნული უსაფრთხოების ცნება სრულებით ახალ დატვირთვას იძენს, ხოლო პირველ პლანზე თანამშრომლობის საკითხები გამოდის. ამ მიმართებით, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია „საერთაშორისო რეჟიმი“, როგორც სახელმწიფოთა თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზებული ფორმა, რომლის სტაბილურობაც, თავის მხრივ, მის მონაწილეთა ინტერესების სტაბილურობას ეფუძნება (Goldstein, 2003, pp. 199-207). ეკონომიკური კავშირების საერთაშორისო სისტემაში, როგორც ცნობილია, გამოყოფენ დასავლეთის, ჩრდილო-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვესისტემებს; და თუმცა თითოეული მათგანი ეფუძნება სპეციფიურ სავაჭრო-საფინანსო ურთიერთობებს, ისინი არ არიან ერთმანეთისგან იზოლირებულნი (რონდელი, 1996, გვ. 157). როგორც აღინიშნება, რაც უფრო დიდია ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სისტემის მონაწილეთა შორის, მით უფრო ინტენსიურია მათ შორის ურთიერთქმედებაც. დევიდ ალენი საერთაშორისო ურთიერთქმედებათა სამ ტიპს გამოყოფს (Allen, 1989, pp. 60-83): 1. სამთავრობათშორისო, რომელიც გულისხმობს ურთიერთქმედებას სახელმწიფოთა მთავრობებს შორის. 2. ტრანს-სამთავრობო, სადაც ცალკეული სამთავრობო უწყებები (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ.) უშუალოდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან გარკვეული ინტერესების შესაბამისად. 3. ტრანს-ნაციონალური, სადაც საერთაშორისო მონაწილენი უშუალოდ ურთიერთქმედებენ როგორც ერთმანეთთან, ასევე შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობებთან. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემის ინტეგრაცია-იზოლაციის დერძზე, ინტეგრაციის პროცესი არ გულისხმობს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის შემუშავების და

გატარების გამარტივებას, ვინაიდან კომუნიკაციის დამატებითი არსების წარმოქმნა დამატებით სირთულეებს წარმოშობს.

\*\*\*\*\*

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საერთაშორისო სისტემის მდგომარეობა შეიძლება დახასიათებულ იქნეს იმ ტენდენციების მიხედვით, რომლებიც წარმოიქმნება და ცვალებადობს გამოყოფილი წყვილი მახასიათებლების -- მოწესრიგებულობა-მოუწესრიგებლობის, სტაბილურობა-არასტაბილურობის და იზოლაცია-ინტეგრაციის ღერძებზე. შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლები საერთაშორისო სისტემას წარმოადგენენ ორი ძირითადი ქვესისტემის სახით, სადაც ერთი ქვესისტემა მოიცავს მოუწესრიგებულ, არასტაბილურ და გათიშულ სამყაროს, ხოლო მეორე -- მოწესრიგებულ, სტაბილურ, ინტეგრაციულ პრინციპებზე აგებულ სამყაროს. ბუნებრივია, რეალურ სამყაროში, აღნიშნული ქვესისტემები არ არსებობენ სუფთა სახით და მნიშვნელოვნად ფარავენ ერთმანეთს. ამავე დროს, აღნიშნული წყვილი მახასიათებლები და შესაბამისი ქვესისტემები განსაზღვრავენ მოცემული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებასაც. დროის მოცემულ პერიოდში, აღნიშნული მახასიათებლები განაპირობებენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებას, ერთი მხრივ, მოუწესრიგებულ, არასტაბილურ და იზოლაციონისტურ სამყაროში სახელმწიფოს მიერ თავისი ადგილის მოსაპოვებლად და, მეორე მხრივ, მოწესრიგებულ, სტაბილურ, ინტეგრაციულ სამყაროში სახელმწიფოს მიერ თანასწორუფლებიანი მონაწილეობის დასამკვიდრებლად.

#### საერთაშორისო სისტემის პარამეტრები და ცვლადები

საერთაშორისო სისტემის იმ ფაქტორების განსაზღვრისას, რომლებიც საგარეო სისტემის შესავალზე არსებული პარამეტრების და ცვლადების როლს ასრულებენ, ამოვდივართ შემდეგი წანამძღვრებიდან:

-- საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული საერთაშორისო სისტემის პარამეტრები წარმოადგენენ გარკვეულ ფართო პროცესებს, რომლებიც დროის მოცემული პერიოდისათვის შინაარსობრივად განსაზღვრავენ საერთაშორისო სისტემის გამოყოფილ მახასიათებლებს. ამგვარი შედარებით

მუდმივი პარამეტრები განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმებს იმისდა მიხედვით თუ რამდენად უახლოვდებიან ისინი გამოყოფილი მახასიათებლების ზღვრულ მნიშვნელობას.

-- ცვალებადობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე კონკრეტული მოვლენები, რომლებიც დროის მოცემული პერიოდისთვის კონკრეტულ შინაარსს ანიჭებენ საერთაშორისო სისტემის გამოყოფილ პარამეტრებს ჩვენს მიერ განიხილებიან, როგორც საერთაშორისო სისტემის ცვლადები. თავიანთი „რადიკალურობის“ ხარისხით, ანუ იმის და მიხედვით თუ რამდენად უახლოვდებიან ისინი გამოყოფილი პარამეტრების ზღვრულ მნიშვნელობას, ცვლადები ზემოქმედებენ და სახეს უცვლიან საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებას.

-- საერთაშორისო სისტემის ყველა მოვლენა არ არის ერთნაირად რელევანტური ცალკეული სახელმწიფოსათვის. საერთაშორისო სისტემის მოვლენები რელევანტურია კონკრეტული სახელმწიფოსათვის იმდენად რამდენადაც ისინი უკავშირდებიან აღნიშნული სახელმწიფოს შიდა პროცესებს. ამგვარად, საერთაშორისო სისტემის მოვლენა იქცევა მოცემული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებულ ცვლადად, თუკი იგი რელევანტურია აღნიშნული სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური თვალსაზრისითაც.

-- კონკრეტული სახელმწიფოს ურთიერთქმედებების განხილვისას, როგორც გლობალური, ასევე რეგიონალური მასშტაბით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ მოცემული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული ცვლადები შეიძლება იცვლებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ დანარჩენი ცვლადების რა კომბინაციაში იყრიან ისინი თავს.

### 1.3.3.2 შიდაპოლიტიკური სისტემა

ჯონ კენედიმ თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში აღნიშნა, რომ განსხვავება პრეზიდენტის დამარცხებებს შორის ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში ისეთივე დიდია, როგორც განსხვავება „კანონპროექტის ჩავარდნასა და ქვეყნის განადგურებას შორის“ (Sorensen, Th., 1965, p.509). დღეს, კონტრასტი ტრადიციულ შეხედულებასთან, რომლის თანახმად ქვეყნის საშინაო პოლიტიკა მის საზღვრებთანავე წყდება, სულ უფრო მკაფიო ხდება. დავამატებდით, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, პირველ რიგში, აისახება ურთიერთქმედება ქვეყნის

შიდაპოლიტიკურ საკითხებსა და საერთაშორისო მოვლენებს შორის. აღნიშნული თვალსაზრისი ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ძირითად ორიენტირს წარმოადგენს.

ჩვენი მოდელის თანახმად, საგარეო პოლიტიკის სისტემის გარემოს პირობითად მეორე უმნიშვნელოვანეს შრეს სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა წარმოადგენს. ზევით ჩვენ უკვე ავღნიშნეთ საგარეო პოლიტიკის ანალიზის „პოლიტოლოგიური“ თვალსაზრისი, რომელიც სწავლობს საგარეო პოლიტიკის შიდაპოლიტიკურ დეტერმინანტებს. აღნიშნული თვალსაზრისის გაზიარებით, გამოვეყოფთ შიდაპოლიტიკური სისტემის ორ ძირითად სტრუქტურას -- სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას და იდეოლოგიურ სტრუქტურას. თითოეულ მათგანში თავის მხრივ, გამოვეყოფთ რიგ კომპონენტებს, რომლებიც რელევანტურია საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა. სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე და სტაბილურობის ხარისხი უშუალოდ აისახება მის საგარეო პოლიტიკაზე. აღიარებულია, რომ ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში ჭარბობს უსაფრთხოების საკითხების პრიორიტეტი, რომელთაგანაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უსაფრთხოების ეკონომიკურ ასპექტებს ენიჭებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, უსაფრთხოების სამხედრო ასპექტებია პრიორიტეტული. ვიზიარებთ ასევე ედვარდ მორსის დებულებას, რომლის თანახმად სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესები განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ საგარეო პოლიტიკაზე (მოყვანილია: Farrands, 1994, p.90).

გამოვეყოფთ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სამ ძირითად მაკროეკონომიკურ კომპონენტს: ეკონომიკური ზრდის ტემპს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დონეს და სავაჭრო ბალანსს. აღნიშნული მაჩვენებლები, ისევე როგორც მათი შემადგენელი უფრო ვიწრო მნიშვნელობის ინდიკატორები (როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, უმუშევრობის დონე, მოსახლეობის შემოსავლის მაჩვენებელი, და სხვა) განსაზღვრავს სახელმწიფოს კეთილდღეობის/სიღარიბის დონეს და გამოიყენება ეკონომისტების და პოლიტიკოსების მიერ სახელმწიფოს მთლიან ეკონომიკურ

მდგომარეობაზე დასაკვირვებლად. ეს კომპონენტები ასევე პირველ რიგში აისახება საგარეო პოლიტიკის სისტემაზე, იმ პოლიტიკური კურსების მეშვეობით, რომელთაც ახორციელებს მთავრობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ანუ თუ ამოსავალ პოსტულატად მივიღებთ, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად მოტივირებულია მისი ეკონომიკური გაძლიერებით, მივიჩნევთ, რომ შიდა დებატები ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის კურსების ირგვლივ, ისევე როგორც მათი განხორციელება, აისახება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც, იქნება იგი დაკავშირებული საგარეო დახმარებასთან, საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობასთან, თუ სავაჭრო და უსაფრთხოების თანამშრომლობასთან.

სახელმწიფოს იდეოლოგიური სტრუქტურა. სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურა პირველ რიგში ეფუძნება მის იდეოლოგიას, რომელსაც ლიტერატურაში ხშირად ახასიათებენ, როგორც ღირებულებათა ერთობლიობას საზოგადოებაში მთავრობის როლისა და მიზნების თაობაზე.<sup>1</sup> დავამატებდით ასევე, რომ სახელმწიფოს იდეოლოგიური სტრუქტურა მოტივაციას უქმნის მისი საგარეო პოლიტიკის მიზნებს და განსაზღვრავს პოლიტიკის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმებს. იდეოლოგია განაპირობებს აგრეთვე, თუ რამდენად მოქნილად რეაგირებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, როგორც მისივე საზოგადოების შიდა მოთხოვნებზე, ასევე საერთაშორისო სისტემის გარეშე ზეწოლაზე (Farrands, 1989, pp 84-107).

გამოვეყოფთ იდეოლოგიური სტრუქტურის ძირითად კომპონენტებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ახასიათებენ რა მის არსებით ასპექტებს, ამავე დროს უშუალო ზემოქმედებას ახდენენ დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სისტემაზე. ეს კომპონენტებია: პოლიტიკური პარტიები; საზოგადოებრივი აზრი; მასმედია; ინტერესთა ჯგუფები; არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები; და პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

ქვემოთ ჩვენ გავაანალიზებთ იმ პარამეტრებსა და ცვალებებს, რომლებიც ახასიათებენ საკუთრივ აშშ-ის შიდაპოლიტიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური სტრუქტურების გამოყოფილ კომპონენტებს და,

<sup>1</sup> პოლიტიკური იდეოლოგიების თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ იხ.: ომარ გოვიაშვილი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, 2004; ვალერიან ჭანია, პოლიტოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2000

წარმოადგენენ რა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებულ პარამეტრებსა და ცვლადებს, განსაზღვრავენ მისი ფუნქციონირების რეჟიმებს.

### 1.3.3 ობიექტი სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია

ჩვენი მოდელის თანახმად, საგარეო პოლიტიკის ფუნქციონირების გარემოს მესამე უმნიშვნელოვანეს შრეს წარმოადგენს იმ „ობიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია, რომლის მიმართაც ხორციელდება შესასწავლი „სუბიექტი“ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა. კვლევის მიზნების შესაბამისად, პირველ რიგში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის ფაქტორები, რომლებიც სპეციფიური იქნება კონკრეტული „ობიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო მიმართებებისათვის.

### 1.3.4 გარემოს კონცენტრული მოდელი

ამგვარად, საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების გარემოს წარმოავადგენთ კონცენტრული მოდელის სახით, სადაც გამოყოფილი ქვესისტემები და მათი სტრუქტურები შეადგენენ ერთმანეთის მიმართ თანმიმდევრულ და ურთიერთშედწევად შრეებს.

როგორც ავღნიშნეთ, კონცენტრული მოდელის, პირობითად, ყველაზე გარე, პირველ შრეს წარმოადგენს საერთაშორისო სისტემა; შემდგომ შიდა, მეორე შრეს - საგარეო პოლიტიკის „სუბიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური სტრუქტურის შრეებს; ხოლო მესამე შრეს წარმოადგენს „ობიექტი“ სახელმწიფო, რომელიც შეიცავს მისი შიდაპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შრეებს (იხ. დანართი 1).

თითოეული შრის პარამეტრები და ცვლადები, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დატვირთვის შესაბამისად, კორელაციაში არიან



ერთმანეთთან და განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმებს.

ამგვარ მოდელზე დაყრდნობით, მივიჩნევთ, რომ საგარეო პოლიტიკის გარკვეული საკითხი შეიძლება წამოიჭრას სისტემის ფუნქციონირების გარემოს ნებისმიერ შრეზე. აღნიშნული საკითხი სისტემის შესავალზე თავდაპირველად განიხილება, როგორც სისტემის კონკრეტული ცვლადი, რომელიც ურთიერთქმედებაში შედის გარემოს მოცემული შრეების პარამეტრებთან და ცვლადებთან. ამგვარი ურთიერთქმედების შედეგად აღნიშნული ცვლადი სწორედ რომ ყალიბდება, როგორც საგარეო პოლიტიკის საკითხი, რომელიც შემდგომ უკვე ურთიერთქმედებს სისტემის ფუნქციონირების შესაბამის რეჟიმებთან. საბოლოოდ, მოცემული საკითხი, გაივლის რა სისტემის შუალედურ -- ინტერპრეტაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის -- ეტაპს, ყალიბდება როგორც სისტემის გამოსავალზე მიღებული შედეგი (იხ. დანართი 2).

## თავი II

# აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი

### 2.1 პრეამბულა

წინამდებარე თავის მიზანია, განვიხილოთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელის საფუძველზე. ვინაიდან ჩვენი მოდელი საგარეო პოლიტიკის სისტემას წარმოადგენს დინამიკაში, მოცემული საშინაო და საერთაშორისო გარემოს ჩარჩოებში, მისი განზოგადოებული დახასიათების მცდელობაც გულისხმობს დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებას, ანუ სისტემის ფუნქციონირების ზოგადი პრინციპების წარმოჩენას გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ფონზე. ამგვარ ფონად ჩვენს მიერ აღებული იქნა თანამედროვეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული პერიოდი - ცივი ომის დასრულებიდან, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის პერიოდიდან, პირველი ცივი ომის-შემდგომი პრეზიდენტის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დასრულებამდე, - როდესაც უკვე მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოიკვეთა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემდგომი განვითარების კონტურები.

### 2.2 საერთაშორისო გარემო

დავახასიათოთ მოცემული პერიოდის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული საერთაშორისო გარემოს პარამეტრები, ანუ ის კონკრეტული პროცესები, რომლებიც კონკრეტულ შინაარსს ანიჭებენ გარემოს გამოყოფილ მახასიათებლებს, რელევანტური არიან აშშ-ის შიდაპოლიტიკური სისტემის თვალსაზრისით და ზემოქმედებას ახდენენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირებაზე.

პრესისა და თანამედროვე საერთაშორისო გარემოს ანალიზისადმი მიძღვნილი ლიტერატურის შეჯერება საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ ხუთი

ურთიერთდამოკიდებული ფართო პროცესი, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო გარემოს ცივი ომის შემდგომ პერიოდში. ეს პროცესებია: 1. კომუნიზმის დამარცხება; 2. არასტაბილურობის ახალი კერების აღმოცენება; 3. ახალი საფრთხეების განვითარება; 4. ახალი ეკონომიკური ცენტრების შექმნა; და 5. მზარდი ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის.

აღნიშნული პროცესები განხილული იქნება, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების რეჟიმების განმსაზღვრელი ზოგადი ფაქტორები -- შედარებით „მუდმივი“ პარამეტრები, რომლებიც ამავედროულად შეადგენენ ნებისმიერი ცალკე აღებული სახელმწიფოს მიმართ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემუშავების ზოგად კონტექსტს. ჩვენ აქ არ შევჩერდებით აღნიშნული პარამეტრების ცალკეულ კომპონენტებზე (კონკრეტულ მოვლენებზე), რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული პარამეტრების შინაარსს და სისტემაზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით, შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც სისტემის შესავალზე არსებული განსხვავებული „ინტენსივობის“ მქონე ცვლადები.

### 2.2.1. კომუნიზმის დამარცხება

ყოფილ კომუნისტურ ბლოკში ახალი ტიპის წინააღმდეგობების განვითარებამ მისი არასტაბილურობის ახალი შესაძლებლობები შექმნა. აღნიშნული პროცესი შესაბამის ასახვას პოულობს ამ პერიოდის ამერიკულ პრესასა და ანალიტიკურ ლიტერატურაში, სადაც ყურადღების ცენტრში კვლავ დგას რუსეთი, როგორც დიდი შესაძლებლობებისა და, ამავე დროს, დიდი საფრთხეების მატარებელ ქვეყანა. რუსეთის არასტაბილურობის საფრთხე, ამავე დროს, უკავშირდება აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული გარდაქმნების შეფერხების საფრთხეს.

ყოფილი კომუნისტური ბლოკის პოტენციური არასტაბილურობის სწორედ ეს პროცესი განიხილება ჩვენს მიერ, როგორც დროის მოცემული მონაკვეთისათვის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული ერთ-ერთი შედარებით მუდმივი პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთ რეჟიმს. აღნიშნული პროცესი, რომელსაც ჩვენ ზოგადად ვუწოდებთ კომუნიზმის დამარცხებას, საერთაშორისო გარემოს ძირითადად ახასიათებს „მოუწესრიგებლობის“ და „არასტაბილურობის“

მახასიათებლების მიხედვით და უბიძგებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემას იმოქმედოს რეჟიმში, რომელიც, რეაგირებს ამ მახასიათებლებზე (ბუკია, 2001, გვ. 500-526).

როგორია ეს რეჟიმი და როგორ განსაზღვრავს იგი სისტემის გამოსავალზე მიღებულ „დეკლარაციულ“ და „ოპერაციულ“ შედეგებს?

ანალიტიკურ ლიტერატურაში დომინირებს აზრი, რომ ცივი ომის პერიოდის ნათლად გამოკვეთილი მახასიათებლების გაქრობასთან ერთად, ირღვევა მკაფიო კორელაცია საერთაშორისო გარემოსა და აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს შორის; ამდენად, ირღვევა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კრიტერიუმებიც.<sup>1</sup> თუკი გავითვალისწინებთ იმ შიდა წინააღმდეგობებს, რომლებიც განვითარდა ყოფილ კომუნისტურ სივრცეში ცივი ომის დასრულების შემდეგ, ჩვენ სრულად ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებებს. ვიტყვით, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღია კონფრონტაციის ამოწურვასთან ერთად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მოქმედების არეალი საგრძნობლად გაფართოვდა და თუკი ცივი ომის პერიოდში ანალიტიკოსები კამათობდნენ აშშ-ის „ევროპული პოლიტიკის“ სხვადასხვა მოტივების თაობაზე,<sup>2</sup> შეიძლება ითქვას, რომ ახალ ეტაპზე აღნიშნული მოტივები რეალურად კონსოლიდირდება მოპოვებული გამარჯვების გასამტკიცებლად; ანუ, აშშ კვლავაც მოტივირებულია დაიცვას ევროპის (გაფართოებულის) უსაფრთხოების ინტერესები, კაპიტალიზმის ფუნდამენტალური ეკონომიკური პრინციპები და ხელი შეუწყოს თანამშრომლობას საერთაშორისო მშვიდობის მისაღწევად. თუმცა, გაფართოებულ არეალზე ამ მოტივებით განპირობებული საგარეო პოლიტიკის კონკრეტული მიზნების და ამოცანების რეალიზაცია პირდაპირ დამოკიდებულებაშია აღნიშნული არეალის შიდა სირთულეებთან. შესაბამისად, ჩვენ ვისაუბრებთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიზნების და ამოცანების დანაწევრებასა და მრავალფეროვნებაზე, გამომდინარე თვით არეალის

<sup>1</sup> მაგალითად, აღნიშნული თვალსაზრისი სხვადასხვა კუთხით გაანალიზებულია კრებულში U.S. Foreign Policy. The Search for a New Role, Edited by Robert J. Art and Seyom Brown, New York, 1993 .

<sup>2</sup> ამგვარი მოტივები ერთიანდება შემდეგ კატეგორიებში: „ტრადიციული“, ანუ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივები „რევიზიონისტული“, ანუ კაპიტალიზმის ფუნდამენტალური პრინციპების დაცვის მოტივები; და „იდეალისტური“, როგორც საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივები.

პრობლემათა მარავლფეროვნებიდან, და არა საგარეო პოლიტიკის კრიტერიუმების და მოტივების დანაწევრებაზე.

ჩვენი მოსაზრება ემყარება შემდეგ მსჯელობას: ცივი ომის შემდგომ პერიოდში, ორი სრულიად განსაზღვრული ალტერნატივის წინაშე მდგარი აშშ დაინტერესებულია სტაბილურ და ეკონომიკურად ძლიერ დასავლეთ ევროპაში, რომელიც თავისი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ღირებულებებით, მოიხიდავს აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს.<sup>1</sup> ამავე დროს, აშშ სასიცოცხლოდაა დაინტერესებული, რომ არ იქნას ჩათრეული იმ ქაოსში, რომელმაც, მოვლენათა არასასურველი განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა ევროპის მთელი კონტინენტი მოიცვას. მეორე მხრივ, ახალი რეალიების პირისპირ, როდესაც რეგიონალური უსაფრთხოების სურათი უაღრესად მყიფე ხდება, გაფართოებულ ევროპას კიდევ უფრო მეტად ესაჭიროება აშშ-ის მხარდაჭერა. ამდენად შესაძლებელია მტკიცება, რომ აღნიშნული პარამეტრის საპასუხოდ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმი მომართულია ევროპის გაფართოებულ არეალზე სტაბილურობის და მოწესრიგებულობის შენარჩუნებისაკენ, საგარეო პოლიტიკის შედარებით დანაწევრებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გზით. სისტემის გამოსავალზე, მოცემული რეჟიმი განსაზღვრავს როგორც დეკლარაციული, ასევე ოპერაციული დონის შედეგებს, რომელთა შორისაც უმთავრესად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, „ნატო“-ს<sup>2</sup> და, მეორე მხრივ, „ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კონფერენციის“ (შემდგომში „ორგანიზაციის“)<sup>3</sup> ახალი პოლიტიკური მისიების განვითარება.

<sup>1</sup> შესაბამისი არგუმენტაცია იხ.: Joseph S. Nye, Jr. What New World Order? Foreign Affairs, 1992, vol. 71, issue 2, pp. 83-96

<sup>2</sup> 1991 წ. 3 ოქტომბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. გენშერმა ერთობლივი განცხადებით შემოიტანეს წინადადება განხორციელებულიყო „ნატო“-ს „ლიაზონის პროგრამის“ ინსტიტუციონალიზაცია ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს სახით. 1991 წ. ნოემბერში, რომის სამიტმა ოფიციალურად დააარსა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, როგორც ალიანსის ქვეყნების მიერ პარტნიორი ქვეყნებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე გამოცდილების გაზიარების ფორუმი. 1999 წ. მას ჩაენაცვლა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელიც პოლიტიკისა და უსაფრთხოების მრავალ სფეროს მოიცავს.

<sup>3</sup> ცივი ომის შემდეგ, „ეუთკ“ იქნეს მისი წევრი ქვეყნების საერთო პრობლემების გადაჭრის ფორუმის ფუნქციას, რომლის აღსასრულებლადაც 1990 წლის ნოემბერში ხელი ეწერება „პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის“. ამ ეტაპზე „ეუთკ“-ს მიზნებია: გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობები კონფლიქტების თავიდან აცილების და კრიზისების მართვის მიზნით; გააგრძელოს მუშაობა

## 2.2.2 არასტაბილურობის ახალი კერები

მოცემულ პერიოდში, ევრაზიის კონტინენტზე არასტაბილურობის ახალი კერების წარმოქმნის პროცესი უკავშირდება კომუნიზმის დამარცხების აღწერილ პროცესს. ყოფილ საბჭოთა კავშირში მწვავედება პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები. შესაძლოა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ, მოხსნა რა ევროპაში გარეშე ძლიერი ძალის ფაქტორი, ერთგვარი კატალიზატორის როლიც შეასრულა იუგოსლავიის კონფლიქტის განვითარებაში. აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების დასრულებამ არც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დასრულებას შეუწყო ხელი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სახით პალესტინის განმანთავისუფლებელ ორგანიზაციას მხარდაჭერის მნიშვნელოვანი წყარო გამოეცალა. დანარჩენ მსოფლიოში, ახალ „ბირთვულ კონტურებს“ იძენს 50-წლიანი პაკისტან-ინდოეთის დაპირისპირება, არასტაბილურობის ახალი კერები ჩნდება აფრიკაში, სულ უფრო მზარდ საერთაშორისო შემფოთებას იწვევს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციები. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მოცემული პერიოდის კონფლიქტების დახასიათება. ვიტყვით მხოლოდ, რომ მეოცე საუკუნის დასასრულისათვის, საერთაშორისო სისტემის ყველაზე ფეთქებად რეგიონებში არასტაბილურობის გადამწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენს პოლარიზებული პოლიტიკური პროცესები, ეკონომიკური სიდუხჭირე, რელიგიური შეუწყნარებლობა და მზარდი ტერორიზმი. მეორე მხრივ, გლობალიზაციის პროცესი ასევე ხელს უწყობს ლოკალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების თითქმის მყისიერ გავრცელებას. ხოლო გლობალიზაციის პროცესის ის მონაწილენი, რომლებიც წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან თავიანთი გეოპოლიტიკური მეტოქეების პირისპირ, საერთაშორისო უსაფრთხოების რღვევის ახალ პოტენციალს იძენენ.<sup>1</sup>

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე; მისცეს წევრ სახელმწიფოებს შემდგომი ბიძგი ეკონომიკური, სამეცნიერო და გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობისათვის. 1994 წ. ეუთო უკვე „ორგანიზაციის“ სტატუსს იძენს და ახალი პოლიტიკურ იმპულსით, 1999 წ. სტამბულის სამიტზე იღებს ევროპული უსაფრთხოების გაფართოებულ ქარტიას.

<sup>1</sup> გლობალიზაციისა და არასტაბილურობის კავშირის შესახებ იხ. კრებულიში Facing a Changing World, Institute for National Strategic Studies, <http://www.ndu.edu>

არასტაბილურობის ახალი კერების წარმოქმნის პროცესი, მსგავსად კომუნიზმის დამარცხებისა, საერთაშორისო სისტემას ასევე ახასიათებს „მოუწესრიგებლობის“ და „არასტაბილურობის“ გამოყოფილი მახასიათებლების მიხედვით; თუმცა აღნიშნული პროცესის კონსოლიდირება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე, როგორც ამ სისტემის ფუნქცინირების ერთ-ერთი რეჟიმის განმსაზღვრელი პარამეტრისა, საკმაოდ არაერთმნიშვნელოვან ზემოქმედებას წარმოქმნის.

გამოყოფთ აღნიშნული პარამეტრის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემაზე ზემოქმედების ორ ტენდენციას.

1. მიმდინარე კონტექსტში, აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის აშკარაა ლოკალური კონფლიქტების შეკავების აუცილებლობა, მათ მიერ უფრო ფართო სისტემური ხასიათის შექმნის აღსაკვეთად. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, აშშ-ის უსაფრთხოების სტრატეგიის მესვეურები ხაზს უსვამენ როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში შეიარაღების არსებული დონის შენარჩუნების აუცილებლობას (Powell, 1993, p.7). რეგიონალური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, აშშ-ის სამხედრო ისტებლიშმენტის ფარგლებში ყალიბდება ე.წ. „მშვიდობიანი მონაწილეობის“ კონცეფცია, რომელიც სამ კომპონენტს ითვალისწინებს: აშშ-ის ტერიტორიის გარეთ სამხედრო ნაწილების განლაგებას; ერთობლივი წრთვნის პროგრამების განხორციელებას; და პირდაპირი სამხედრო კონტაქტების განვითარებას (Shelton, 1999). იმავედროულად, აშშ-ის პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში მსჯელობენ ახალი ე.წ. „ერთიანი სამხრეთის სტრატეგიის“ შემუშავების აუცილებლობაზე, რომლის ვექტორიც მოყოლებული ბალკანეთიდან, მოიცავს ახლო აღმოსავლეთს, სპარსეთის ყურეს, და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას (Institute for National Strategic Studies, 1999, pp. 24-30).

2. მეორე მხრივ, აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ასევე ნათელია, რომ არასტაბილურობის ახალი კერების აღმოცენება შერჩევით რეაგირებას მოითხოვს. ძირითადი კითხვა, რომელიც ისმება აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში არის - თუ როგორ უნდა განისაზღვროს აშშ-ის უსაფრთხოების ინტერესები ე.წ. „პერიფერიულ“ რეგიონებში? (Newsom, 1999)

ამ კითხვაზე ერთ-ერთი რადიკალური პასუხის თანახმად, აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკა, პირველ რიგში, დასავლეთ ნახევარსფეროზე უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან სწორედ იქ წყდება „აშშ-ის, როგორც ერის“, ბედი. (Woodruff, 1993, pp.103-108) თუმცა, რომც მოვწყდეთ ამ ერთობ ცალმხრივ თვალსაზრისს, შესაბამისი განცხადებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მსჯელობის შემდეგი ძირითადი ხაზი: ლოკალური თუ რეგიონალური კონფლიქტების დარეგულირების მცდელობისას, აშშ-მა არ უნდა იკისროს ცალმხრივი ვალდებულებები. მავე დროს, ამგვარი განცხადებების სიმრავლე საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკუთრივ აშშ-ის ერთპიროვნული მონაწილეობა არასტაბილურობის ახალი კერების აღმოსაფხვრელად პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ნაკლებად არის მისაღები.

მიუხედავად აღნიშნული ორი ტენდენციის წინააღმდეგობრივი ხასიათისა, მიგვაჩნია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე გამოყოფილი პარამეტრი განსაზღვრავს სისტემის ოპერირების საკმაოდ მკაფიო რეჟიმს, რომელიც მიმართულია მოკავშირეთა ძიებასა და მათი ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირებაზე უსაფრთხოების საერთო ამოცანების გადასაჭრელად (Nye, 1998). თუკი მოვახდენთ შეიარაღების კონტროლისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო მდივნის იმჟამინდელი მოადგილის ჯონ ჰოლუმის ციტირებას, „აშშ მზად უნდა იყოს ერთპიროვნული ქმედებებისთვის, მაგრამ ამავედროულად, რუდუნებით უნდა მუშაობდეს კალიციების შექმნისა და განმტკიცებისათვის“ (Holum, 1998).

### 2.2.3 ახალი საფრთხეების განვითარება

ახალი საფრთხეების განვითარება, როგორც თანამედროვე საერთაშორისო გარემოს განვითარების თანამავალი პროცესი, მარგინალურ ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოთა აგრესიის ზრდის კვალდაკვალ, მზარდი ინტენსივობით ხასიათდება.

ახალ საფრთხეთა შორის ორი ძირითადი მიმართულება მოიაზრება. პირველ ფართო მიმართულებას წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, სადაც, თავის მხრივ, გამოიყოფა: ა) ბირთვული იარაღის სახელმწიფო კონტროლიდან გადენა; ბ) მარგინალურ სახელმწიფოთა მიერ ბირთვული იარაღის



განვითარება; გ) ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის განვითარება. მეორე ფართო მიმართულებას წარმოადგენს ტერორიზმის გავრცელება. უკვე ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში, გამოიკვეთება ტერორიზმის ახალი ტიპი, რომელიც მიზნად ისახავს მისთვის „ბოროტებად“ გაცხადებული დემოკრატიის სიმბოლოების განადგურებას. აღნიშნული პროცესი უკავშირდება ზემოთ აღწერილ ორ პროცესს, განსაკუთრებით კი კომუნიზმის დამარცხებას, რამაც ბირთვული იარაღის გადინების უპრეცედენტო საშიშროება შექმნა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცესი საერთაშორისო გარემოს ახასიათებს არა მხოლოდ, და არა იმდენად, „მოუწესრიგებლობისა“ და „არასტაბილურობის“ მიმართულებით, რამდენადაც „ინტეგრაცია-იზოლაციის“ წყვილი მახასიათებლის დერძზე, ინტეგრაციის მიმართულებით, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ამ მახასიათებლის ნეგატიურ გამოვლინებას წარმოადგენს. ჯოზეფ ნაის მიერ შემოთავაზებული მსოფლიოში ძალაუფლების განაწილების სამგანზომილებიანი მოდელის ანალოგიით, მკვლევართა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა ახალი საფრთხეების წარმოქმნის ტენდენციას განიხილავს ტრანს-ნაციონალური ურთიერთქმედების დონეზე, სადაც შესაბამისი „ტრანზაქციები“ იოლად ხორციელდება მთავრობათა კომპეტენციის მიღმა (Nye, 1998). თუმცა, როგორც ყველაზე არასასურველი სცენარი, არ გამოირიცხება აგრესორ სახელმწიფოთა კოალიციების შექმნაც.

აღნიშნული პროცესი, როგორც საგარეო სისტემის შესავალზე არსებული შედარებით მუდმივი პარამეტრი, განსაზღვარვს აშშ-ის საგარეო სისტემის ფუნქციონირების რეჟიმს, რომელიც, ჩვენი აზრით, ოთხ ძირითად მიმართულებაზეა ორიენტირებული. ეს მიმართულებებია:

1. შეიარაღების გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმის ხელშეწყობა;
2. რეგიონალური უსაფრთხოების გაძლიერება;
3. მარგინალურ სახელმწიფოთა მიმართ სანქციების განხორციელება;
4. აშშ-ის საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> აღნიშნული მიმართულებების გამოყოფა განხორციელდა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: Holm, John D. (Acting Under Secretary of State for Arms Control and International Security Affairs), "New Security Threats: The U.S. Response," U.S. Foreign Policy in a Changing World, USIA Electronic Journal, Vol. 3, No.3, July 1998;

Fact Sheet: Combating Terrorism (Presidential Decision Directive 62), White House, May 22, 1998 ; Mann, Paul, "Pentagon Called Unprepared for 'Post-Modern' Conflict," Aviation Week and Space Technology, Vol. 148, No. 17, April 27, 1998, pp. 54-56;

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შედეგების როგორც „დეკლარაციულ“, ასევე „ოპერაციულ“ დონეზე, აღნიშნული რეჟიმი შესაბამისად გულისხმობს: -- შეიარაღების კონტროლის საერთაშორისო შეთანხმებებში (როგორცაა, „ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულება“, „ქიმიური იარაღის კონვენცია“, „ბიოლოგიური იარაღის კონვენცია“, „ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის კონვენცია“) მონაწილეობას; -- დიპლომატიური და უსაფრთხოების ზომების კომბინირებას მოცემულ რეგიონებში მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღსაკვეთად (ამ ზომებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ნან-ლუგარის საფრთხის შემცირების ერთობლივ პროგრამას“); -- მარგინალურ სახელმწიფოთა (ერაყის, ლიბიის, სუდანის) პოლიტიკური და ეკონომიკური დასჯის ზომებს; -- ახლად დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას, მათი საერთაშორისო სტრუქტურებში ჩართვისა და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატით (National Security Strategy, White House, 1999).

მართალია, აღნიშნული რეჟიმი განსხვავებულ პარამეტრს ეყრდნობა, იგი ეხმიანება აღწერილ წინა ორ რეჟიმს, როგორც ევროპის გაზრდილ არეალზე სტაბილურობის შენარჩუნებასთან მიმართებაში, ასევე მოკავშირეთა ალიანსების ძიებასთან მიმართებაში. ამავე დროს, აღნიშნული სამივე პარამეტრი -- ყოფილ კომუნისტურ ბანაკში ახალი პრობლემების განვითარება; არასტაბილურობის ახალი კერების განვითარება; და ახალი საფრთხეების წარმოშობა -- აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სიტემას ანიჭებს ოპერირების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს რეჟიმს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აშშ-ის საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას: გლობალური მასშტაბით, დემოკრატიის განვითარების

Cohen, William S. (Secretary of Defense) , "Creating an Environment for Peace, Stability, Confidence," U.S. Foreign Policy Agenda, Preventing Conflict: Military Engagement in Peacetime, USIA Electronic Journal, Vol. 4, No. 3, December 1999;

Holum, John D., (Senior Advisor to the Secretary of state for Arms Control and International Security) "The Proliferation of Weapons of Mass Destruction: Challenges and Responses," U.S. Foreign Policy Agenda, Responding to the Challenge of Proliferation, USIA Electronic Journal, Vol. 4, No. 2, September 1999;

Berger, Samuel R., (National Security Advisor to President Clinton), "Strengthening Non-proliferation: Essential to Global Security," U.S. Foreign Policy Agenda, Responding to the Challenge of Proliferation, USIA Electronic Journal, Vol. 4, No. 2, September 1999;

Lugar, Richard (Senior Republican Member of the Senate Foreign Relations and Intelligence Committees and Chairman of the Senate Agriculture, Nutrition, and Forestry Committee), "Nunn-Lugar: An Impressive Record on Soviet-Nuclear Arms Dismantlement," U.S. Foreign Policy Agenda, Responding to the Challenge of Proliferation, USIA Electronic Journal, Vol. 4, No. 2, September 1999

ხელშეწყობას. თავისი ასპექტებით (და სისტემის გამოსავალზე შესაბამისი შედეგებით) აღნიშნული რეჟიმი, ალბათ ყველაზე უფრო ფართოა და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: ადამიანის უფლებების დაცვა; დამოუკიდებელი მედიის განვითარება; სამოქალაქო საზოგადოების, კანონის უზენაესობის და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის განვითარება; სახელისუფლო სტრუქტურებში კორუფციასთან ბრძოლა და სხვა.

#### 2.2.4 ახალი ეკონომიკური ცენტრების შექმნა

მოცემული პერიოდის ეკონომიკური შეფასებები ეჭვქვეშ აყენებენ აშშ-ის ერთპიროვნული ეკონომიკური ლიდერობის პერსპექტივას. ამავე დროს, თუ ცივი ომის პერიოდში დასავლეთ ევროპა წარმოადგენდა ერთგვარ „მშვიდობის ზონას“, სადაც ნებისმიერი წინააღმდეგობა, კომერციული წინააღმდეგობების ჩათვლით, აუცილებლად დაძლეული უნდა ყოფილიყო (McArdle, 1993, pp.270-288), ცივი ომის შემდგომ პერიოდში, უსაფრთხოების საერთო ინტერესების შედარებით შესუსტებასთან ერთად, წარმოიქმნა ტრანს-ატლანტიკური კომერციული ქიშპობის განვითარების პირობებიც.<sup>1</sup> ამავე დროს, ამერიკულ შიდა ბაზარზე იაპონური საქონლის „აგრესიული“ შემოჭრის კვალდაკვალ, აშშ-ს წინააღმდეგობრივი ურთიერთობები უყალიბდება ჩინეთთანაც, რომელიც ეკონომიკის ზრდის ტემპით საერთაშორისო არენაზე თანდათანობით წინა პლანზე გამოდის (The Economist, May 20, 2000, pp.21-22). ძალას იკრებს „მერკოსური“<sup>2</sup> და „ასეანიც“<sup>1</sup>

მიგვაჩნია, რომ ახალი ეკონომიკური ცენტრების განვითარების ტენდენცია საერთაშორისო სისტემას ახასიათებს „ინტეგრაციისა“ და „არასტაბილურობის“ მახასიათებლების საკმაოდ მყიფე ბალანსის მდგომარეობით, სადაც საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ინტეგრაციულ პროცესებს გააჩნიათ

<sup>1</sup> ევროკავშირის აკრძალვა ამერიკული ხორცის იმპორტზე, ან კვოტების დაწესება სამხრეთ ამერიკული ბანანის იმპორტზე, ისევე როგორც თავის მხრივ, აშშ-ის საპასუხო „დამსჯელი“ სატარიფო ზომები ევროპულ იმპორტზე, ზემოთმოყვანილი მსჯელობის ილუსტრაციას წარმოადგენს.

<sup>2</sup> „მერკოსური“ (MERCOSUR) -- „სამხრეთის საერთო ბაზარი“ შეიქმნა არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაის და ურუგვაის მიერ 1991 წ. შექმნისთანავე „მერკოსურს“ მხარს უჭერდა „ევროკომისია“ და „ევროკავშირი“.

მოთამაშეთა დაპირისპირების საკმაოდ ძლიერი პოტენციალიც. უკვე 1980-იან წლებში ვაშინგტონი მიუთითებს, რომ ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნა, რომელიც „ევროპას ევროპისთვის შემოფარგლავს,“ შეიძლება საზიანო იყოს როგორც ევროპისთვის, ასევე აშშ-სთვის და მთლიანი გლობალური ეკონომიკური სისტემისათვის (Lundestad, 1997, p.209). 1990-იანი წლების მეორე ნახევრის ლიტერატურაში მუსირებს აზრიც, რომ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრ ქვეყნებს შორის იმდენად მწვავეება ეკონომიკური წინააღმდეგობები, რომ მათი ტრადიციულად შემაკავშირებელი საერთო ღირებულებები უკანა პლანზე იხვეს.

ახალი ეკონომიკური ცენტრების განვითარების პროცესს და მის თანამავალ ე.წ. „კონკურენტული თანამშრომლობის“ ტენდენციას ჩვენ განვიხილავთ, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებულ პარამეტრს, თავისი შესაბამისი „რადიკალური“ თუ „ლიბერალური“ ზემოქმედების ცვლადებით. აღნიშნული პარამეტრი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების რეჟიმს საკმაოდ ცალსახად განსაზღვრავს; კერძოდ, საგარეო პოლიტიკის წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური საკითხები (რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამწვავეებს კონკურენციას ახალ ეკონომიკურ მოთამაშებთან).

სისტემის გამოსავალზე არსებულ „დეკლარაციულ“ და „ოპერაციულ“ დონეებზე, აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს უფრო „აგრესიული“ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და საზღვარგარეთ ამერიკული ბიზნესის ლობირებას. კერძოდ, 21-ე საუკუნისათვის დასახული აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს ამერიკის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს: აშშ-ის ტექნოლოგიური უპირატესობების შენარჩუნებას; მთავრობისა და კერძო სექტორის მიერ ერთობლივი საექსპორტო სტრატეგიის შემუშავებას; მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის პოლიტიკის გამკაცრებას (National Security Strategy for a New Century, 1999).

<sup>1</sup> „ასეანი“ (ASEAN) – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია შეიქმნა 1967 წ., თავდაპირველად ხუთი წევრი სახელმწიფოს მიერ. „ასეანის“ რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 500 მილიონს, ხოლო მისი ერთობლივი მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 737 მილიარდ დოლარს.

კონკურენტუნარიანობის გაძლიერების კონკრეტულ საშუალებებს წარმოადგენს: ე.წ. „კონკურენციის ხელშეწყობის“ პოლიტიკა და მისი შემადგენელი ანტიმონოპოლისტური პრაქტიკის უზრუნველყოფის მექანიზმები; „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ ცირკულარები, რომლებიც განსაზღვარეს სანქციებს არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკით დაკავებული მხარეებისადმი; და საგარეო დახმარება, რომლის უდიდესი ნაწილი კვლავ ამერიკული საქონლის და მომსახურების შესყიდვას ხმარდება.<sup>1</sup>

## 2.2.5 სახელმწიფოებს შორის მზარდი ურთიერთ-დამოკიდებულება

სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პროცესი თავისი არსით ახლოს დგას ახალი ეკონომიკური ცენტრების წარმოქმნის პროცესთან, თუმცა აქ წინა პლანზე გამოდის ინტეგრაციული ასპექტები, რომლებიც მოიცავს რა სახელმწიფოთა სავაჭრო -ეკონომიკურ ურთიერთობებს, ასევე ასახება მათ პოლიტიკურ ურთიერთქმედებაზე. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში გამოიკვეთება ევროპის ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც ღრმავდება რა სწორედ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, საუკუნის ბოლოსათვის უკვე წარიმართება „ევროპის ერთიანი ეკონომიკური მთავრობის“, „ევროპის ფედერაციის“ და „ევროპის კონსტიტუციის“ მისაღწევად (The Economist, May, 2000, pp.22).

აღნიშნული პარამეტრი, საერთაშორისო გარემოს განვითარებას ახასიათებს „მოწესრიგებულობის“, „სტაბილურობის“, და „ინტეგრაციის“ მახასიათებლების მიმართულებით, თუმცა მისი ზემოქმედება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის

<sup>1</sup> აღნიშნული საშუალებების გამოყოფა განხორციელდა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:

Tritell Randolph (Assistant Director for International Antitrust Bureau of Competition, Federal Trade Commission Byline), "The Application of U.S. Antitrust Laws to Foreign Conduct: Recent Developments", USIA, Economic Perspectives, February 1999. <http://usinfo.state.gov/journals/>

Lang, Jeffrey, Partner Wilmer, Cutler and Pickering, " International Trade Domestic Regulation, and Competition Policy," *ibid*;

Stern, Paula (President, The Stern Group, Inc.), Working Toward New U.S. Competition Policy Related To Trade," *ibid*;

Klein, Joel ( Assistant Attorney General, Antitrust Division ( U.S. Department of Justice), Expansion of International Cooperation Against Anti-Competitive Behavior," *ibid*.

Barry, Tom and Jason Oringer, "Foreign Aid," Foreign Policy in Focus, Volume 2, Number 24, January 1997, <http://www.fpfif.org/>

ოპერირების რეჟიმზე წინააღმდეგობრივია და არ გულისხმობს მის უპირობო მხარდაჭერას.

გამოვეოფთ ორ ასპექტს, რომელიც აღნიშნული პარამეტრის საპასუხოდ, ახასიათებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების რეჟიმს: 1. სწრაფვა წამყვანი როლისაკენ გლობალური ინსტიტუციონალური მმართველობის განხორციელებაში; 2. საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა. პირველი ასპექტი -- გლობალური ინსტიტუციონალური მმართველობის განხორციელება, პირველ რიგში, გულისხმობს აშშ-ის ლიდერობას კოლექტიური უსაფრთხოების და დემკრატიული საზოგადოების საერთაშორისო ნორმების უზრუნველყოფის საკითხებში. ამ მიმართებით, სისტემის გამოსავალ ეტაპზე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს აშშ-ის მონაწილეობა გაეროში - სტრუქტურაში, რომელშიც განხორციელება ჰპოვა ვილსონისეული მსოფლიო მთავრობის იდეამ.

აღნიშნული მტკიცება არ არის ერთმნიშვნელოვნად გაზიარებული აშშ-ის ანალიტიკურ თუ პოლიტიკურ წრეებში. კერძოდ, აშშ-სა და გაეროს ურთიერთქმედების საკითხებზე შესაძლებელია ანალიზის სამი მიმართულების გამოყოფა, სადაც: პირველი მიმართულების ფარგლებში გამოითქმის შეშფოთება გაეროსადმი აშშ-ის დაქვემდებარების თაობაზე (Rieff, 1999); მეორე მიმართულება გაეროს განიხილავს, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელსაც იგი მოხერხებულად იყენებს თავისი მიზნების მისაღწევად (Bennis, 2000); ხოლო მესამე მიმართულება მიუთითებს კონცეპტუალურ შეუსაბამობაზე თვით გაეროს ინსტიტუტსა და ამერიკულ ღირებულებებს შორის, რომლებიც თითქოსდა საერთოდ ეჭვქვეშ აყენებენ რაიმე „ზემთავრობის“ არსებობის მიზანშეწონილობას (Belton, 1997).

მოცემულ პერიოდში აშშ-ის საგარეო პოლიტიკური კურსის ანალიზი გაეროსთან მიმართებში, როგორც დეკლარაციულ, ასევე ოპერაციულ დონებზე (თვით გაეროს რეორგანიზაციის მცდელობათა ჩათვლით), საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გაერო კვლავაც წარმოადგენს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც კერძოდ მიმართულია აშშ-ის

ინსტიტუციონალური გლობალური მმართველობის განხორციელების ხელშეწყობაზე.<sup>1</sup>

მეორე ასპექტი - აშშ-ის საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფა - ჩვენს მიერ, პირველ რიგში, განიხილება „ევროპის კავშირთან“ მიმართებაში. როგორც აღნიშნება ამერიკულ ანალიტიკურ ლიტერატურასა და პოლიტიკურ გამოსვლებში, აშშ ტრადიციულად მხარს უჭერს ევროპის ინტეგრაციას, როგორც რეგიონის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების აუცილებელ პირობას. მაგრამ, თუკი დავეყრდნობით ზემოთ განხილულ თეზას „ევროპის კავშირთან“, როგორც დამოუკიდებელ მოთამაშესთან, კონკურენციის გამწვავების თაობაზე, უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მოცემულ პერიოდში, აშშ-ის ინტერესებშია ევროპული ინტეგრაცია მოაქციოს უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩოებში, რაც ამავდროულად უზრუნველყოფს საკუთრივ აშშ-ის ინტერესების განხორციელებას. უსაფრთხოების სფეროში, აღნიშნული პოზიცია, პირველ რიგში, გულისხმობს ევროპაში „ნატო“-ს შენარჩუნებას, ხოლო ეკონომიკურ სფეროში, - ევროპის კავშირის „ეფექტის“ შესუსტებას საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით.

კომუნიზმის დამარცხების პარამეტრთან მიმართებაში, ჩვენ უკვე გავუსვით ხაზი „ნატო“-ს ახალ განზომილებას- ევროპის ტრანსფორმაციისა და სტაბილიზაციის ხელშეწყობას. აშშ-ის მიერ აღნიშნული განზომილების განვითარება, ამავე დროს, ემსახურება ზემოთ ხსენებულ ინსტიტუციონალური გლობალური მმართველობის განხორციელების მიზანსაც. ხოლო აქ მოყვანილი განზომილება - ევროპული ინტეგრაციის მოქცევა ერთიან უსაფრთხოების ჩარჩოებში აშშ-ის ინტერესების უზრუნველსაყოფად - არამც თუ გამორიცხავს,

<sup>1</sup> აღნიშნული მტკიცება ეფუძნება შემდეგ წყაროებს:

Fact Sheet: United Nations Peacekeeping Operations (Includes State Department Data on U.S. Contributions); U.S. Foreign Policy Agenda, The United States and the United Nations, USIA Electronic Journal, Vol. 2, No. 2, May 1997  
 Fact Sheet: United Nations Humanitarian Activities (Includes White House Data on U.S. contributions); U.S. Foreign Policy Agenda, The United States and the United Nations, USIA Electronic Journal, Vol. 2, No. 2, May 1997  
 How U.S. Lawmakers View the United Nations; Statements by Members of Congress; U.S. Foreign Policy Agenda, The United States and the United Nations, USIA Electronic Journal, Vol. 2, No. 2, May 1997  
 Albright, Madeleine, "The U.N, the U.S., and the World," Congressional Digest, vol. 76, no. 1, January 1999, pp. 14-15  
 Council on Foreign Relations, "American National Interest and the United Nations," New York, NY: The Council, 1996  
 Birenbaum, David (Former U.S. Representative to the United Nations), "Keeping America's Commitment to the United Nations," U.S. Foreign Policy Agenda, The United States and the United Nations, USIA Electronic Journal, Vol. 2, No. 2, May 1997

არამედ პირიქით, ავსებს კიდევაც პირველს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისინი ერთმანეთთან შეპირისპირებით განიხილებიან.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, „ნატო“-ს მისიის ახალი დატვირთვის მსგავსად, ორმაგ მიზანს ემსახურება. პირველი არის გლობალური მასშტაბის მიზანი -- გლობალიზაციის პროცესში ჩართულ სახელმწიფოთა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს აშშ-ის მიერ ინსტიტუციონალურ გლობალურ მმართველობაში, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ მმართველობაში, წამყვანი როლის დამკვიდრებას; ხოლო მეორე მიზანია -- აშშ-ის ინტერესების უზრუნველყოფა ახალი ეკონომიკური სივრცეების (პირველ რიგში, „ევროპის კავშირის“) გაფართოების კონტექსტში. აღნიშნული ორმაგი მიზანი თავდაპირველად ხორციელდება არსებული GATT შეთანხმების, ხოლო შემდგომ, მისი მემკვიდრე WTO -ს მეშვეობით. აშშ-ის ლიდერების განცხადებების ძირითადი მასა ფოკუსირებულია სწორედ პირველ, გლობალურ მიზანზე, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ბაზრების გახსნას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და გარემოს დაცვის გაუმჯობესებას. მეორე მიზანი -- აშშ-ის როლის და ინტერესების უზრუნველყოფა -- ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო ვაჭრობის გარკვეული ნორმებისა და რეგულაციების ჩარჩოებში მოქცევას, მონაწილე მხარეთათვის თანაბარი პირობების შექმნის კონტექსტში.<sup>1</sup> გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ამ შემთხვევაშიც, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ორი მიზანი არ გამორიცხავს ერთმანეთს.

ამგვარად, სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პარამეტრის საპასუხოდ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემა ოპერირებს რეჟიმში, რომელიც შესაბამისი საშუალებების მეშვეობით, მიმართულია როგორც გლობალური მასშტაბის უსაფრთხოების და ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად, ასევე

<sup>1</sup> აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება შემდეგ წყაროებს:

President Clinton on Globalization and World Trade, (excerpts from address to the World Economic Forum), Economic Perspectives, An Electronic Journal of the U.S. Department of State, Vol.5, No.1, February 2000,

<http://usinfo.state.gov/journals>

Aron, David (Under Secretary of Commerce for International Trade), "Keeping Market Access on Track, " Economic Perspectives, An Electronic Journal of the U.S. Department of State, Vol.5, No.1, February 2000,

<http://usinfo.state.gov/journals>

Baucus, Max (U.S. Senator from Montana), "Seattle Does not Mean an End to Progress",

Economic Perspectives, An Electronic Journal of the U.S. Department of State, Vol.5, No.1, February 2000,

<http://usinfo.state.gov/journals>



საკუთრივ აშშ-ის უსაფრთხოების და ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად.

\*\*\*\*\*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო გარემოს აღნიშნული ხუთი ძირითადი პროცესი და მათი თანამავალი მოვლენები, რომლებიც ჩვენს მიერ, შესაბამისად, განიხილებიან, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული შედარებით „მუდმივი“ პარამეტრები და კონკრეტული ცვლადები, განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ზოგად ერთიან რეჟიმს, რომელშიც გამოვყოფდით ორ ურთიერთშედწევად დონეს: გლობალურ დონეს და ეროვნულ დონეს. გლობალურ დონეზე, სისტემის მიზანია საერთაშორისო გარემოს უსაფრთხოების, პოლიტიკური სტაბილურობის და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა; ეროვნულ დონეზე, სისტემის მიზანია საკუთრივ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების, პოლიტიკური სტაბილურობის და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. როგორც ავლნიშნეთ, მოცემული დონეები ურთიერთშედწევადია, ანუ სისტემის წარმატება ერთ დონეზე განაპირობებს მის წარმატებას მეორე დონეზე.

ბუნებრივია, სისტემის გამოსავალზე ძვეს ამგვარი ორმაგი მიზნის მიღწევის კონკრეტული საშუალებები, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება განეკუთვნებოდნენ როგორც „დეკლარაციულ“, ასევე „ოპერაციულ“ შედეგთა დონეს. თუმცა ამგვარ შედეგთა სიმრავლეს აერთიანებს ერთი საერთო ვექტორი -- პოლიტიკური, უსაფრთხოების და ეკონომიკური პროფილის მრავალმხრივი საერთაშორისო სტრუქტურების, როგორც დასახული მიზნების განხორციელების ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტების, გამოყენება.

შემდგომი თავის მიზანია მოცემული პერიოდისთვის, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების გარემოს მეორე შრის - შიდაპოლიტიკური გარემოს დახასიათება და იმ შედარებით „მუდმივი“ პარამეტრების გამოყოფა, რომლებიც სისტემის შესავალ ეტაპზე განსაზღვრავენ მისი ოპერირების ზოგად რეჟიმებს. ჩვენს მიზანს ასევე წარმოადგენს განსაზღვროთ, თუ რა კორელაცია არსებობს საერთაშორისო და შიდა გარემოს აღწერილ პარამეტრებს შორის.

## 2.3 აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემო

როგორც აღნიშნეთ, ჩვენს მიერ გამოყოფილია სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური გარემოს, როგორც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების გარემოს ერთ-ერთი ქვესისტემის, ორი ძირითადი სტრუქტურა: სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური სტრუქტურა. აღნიშნული სტრუქტურები და მათი შემადგენელი კომპონენტები, ჩვენი კვლევის მიზნების შესაბამისად, საშუალებას გვაძლევს გამოვეყოთ მოცემული პერიოდისათვის აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს ძირითადი პროცესები და ამ პროცესების შემადგენელი მოვლენები, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული შედარებით მუდმივი პარამეტრები და მათი შემადგენელი კონკრეტული ცვლადები.

### 2.3.1 სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.

სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის გამოყოფილი პარამეტრები ასახავს იმ ძირითად პროცესებს, რომლებიც უკავშირდებიან სოციალურ -ეკონომიკური სტრუქტურის ზემოაღნიშნულ სამ ძირითად მაკროეკონომიკურ კომპონენტს-- ეკონომიკის ზრდის ტემპს, ბიუჯეტის შესრულების დონეს და სავაჭრო ბალანსს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცესები ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც თანამედროვე ამერიკული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წამყვან როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების ფორმირებაში.<sup>1</sup> თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ასახვა საგარეო პოლიტიკაზე სწორედ რომ სახელმწიფოს ეკონომიკური მართვის ფუნქციით არის გაშუალებული.

1989-2000 წლების პერიოდი ლიტერატურაში ძირითად დახასიათებულია, როგორც ეკონომიკური ზრდის პერიოდი, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოს მკაცრი ფისკალური პოლიტიკის ფონზე (Cegzy<sup>1</sup> 2001<sup>1</sup> chh&12). მიუხედავად ამგვარი საერთო სურათისა, მოცემულ პერიოდში, არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვეყოფთ ორ -- 1989-1995 და 1995-2000

<sup>1</sup> მაგალითად, 1920-იანი წლების ბოლოსა და 30 წლების დასაწყისის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, აშშ-ის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი იხ. ნაშრომში: Rfxhfd D&D& Cjwbfkmyj-"rjyjbxtcrfz Gjkbbrf U&Uedthf<sup>1</sup> 1929-1933 uu& Rfyl& Lbccthnfwbz<sup>1</sup> Vjcrdf<sup>1</sup> 1980

წლების -- პერიოდს, რომელიც ეკონომიკური ზრდის, ბიუჯეტის შესრულების და სავაჭრო ბალანსის განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდება.

### 2.3.1.1 ეკონომიკური ზრდის ტემპი

1990 წლისთვის აშშ-ის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპი წლიურად შეადგენდა 1.7%-ს და მოცემული მაჩვენებლით აშშ ჩამორჩებოდა დანარჩენ მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოებს (World Bank Report, 1992, p. 219). არსებობს საერთო აზრი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება აშშ-ის ეკონომიკის მწარმოებლურობის დაცემის შედეგია. მთლიანად, 1989-1995 წლების პერიოდში მწარმოებლურობის საშუალო წლიური ზრდა 1%-ის ირგვლივ მერყეობს. მოცემული პერიოდის ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი ტემპი, პირველ რიგში, უკავშირდება 1990-1991 წლების რეცესიას, ხოლო გარკვეული აღმასვლა 1992 წლიდან, უფრო მეტად რეცესიასთან მიმართებით შედარებითი გაუმჯობესების ხასიათს ატარებს.<sup>1</sup> მწარმოებლურობის დაცემა, თავის მხრივ, უკავშირდება ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლადებს, როგორცაა შემოსავლების შემცირება, უმუშევრობის ზრდა, საწარმოების გაკოტრება და სხვა (Bureau of Economic Analysis, 2002).

1989-1995 წლების პერიოდის ეკონომიკური ზრდის შედარებით ნელი ტემპი ჩვენს მიერ განიხილება, როგორც აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული გარემოს პარამეტრი. აღნიშნული პარამეტრი, თავის მხრივ, იწვევს ისეთ მიზანმიმართულ მაკროეკონომიკული ცვლადების ამოქმედებას, რომლებიც მიმართულია აღნიშნული ტენდენციის შეცვლაზე. მათ შორის ძირითადია სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის, ორიენტაცია: -- კაპიტალის<sup>2</sup> საწარმოო რესურსების აკუმულირებაზე; -- სახელმწიფო დანაზოგის გაზრდაზე; -- შიდა და უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განვითარებაზე და სხვა. აღნიშნულ მაკროეკონომიკურ ცვლადებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებულ ცვლადებსაც. ჩვენ არ განვიხილავთ თითოეული ამ ცვლადის უშუალო

<sup>1</sup> თვით რეცესიის პერიოდი, რომელსაც ბევრი სპარსეთის ყურის ომს უკავშირებს, ხასიათდება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის კლებით 1.8%-დან 0.5%-მდე.

<sup>2</sup> პირველ რიგში, იგულისხმება ფიზიკური კაპიტალი.

ზემოქმედებას საგარეო პოლიტიკის სისტემაზე, მაგრამ აღნიშნავთ, რომ მათი ერთობლივი ზემოქმედება სწორედ რომ განსაზღვრავს აღნიშნული პარამეტრის ერთიან ზემოქმედებას სისტემის ოპერირების რეჟიმზე.

შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ აღნიშნული პარამეტრი, რომელიც მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას, ამავე დროს განაპირობებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმს, რომელიც გულისხმობს: 1. ნაკლებად ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას და 2. საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტების წამოწევას.

1990-იანი წლების მეორე ნახევარი განუხრელი ეკონომიკური ზრდის პერიოდია, როდესაც მშპ-ს პროცენტული მაჩვენებელი იზრდება 2.7%-დან 1995 წელს, 4.1%-მდე 2000 წელს, ხოლო მწარმოებლურობის საშუალო წლიური ზრდა 3%-ის ირგვლივ მერყეობს. 1995-2000 წლებში ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპი და სტაბილური ხასიათი ჩვენს მიერ განიხილება როგორც საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ოპერირების შესაბამის რეჟიმს. აღნიშნული პარამეტრი, თავის მხრივ, იწვევს მაკროეკონომიკული ცვლადების ამოქმედებას, რომლებიც მიმართულია აღმავალი ეკონომიკური ციკლის „შერბილებაზე“, ეკონომიკის ე.წ. „გადახურების“ თავიდან ასაცილებლად. ეს ცვლადები, პირველ რიგში, გულისხმობს: 1. წარმოების ფაქტორების ინტენსიურ განვითარებას (შეადრებით ექსტენსიურ განვითარებასთან); და 2. მასტაბილიზირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. მივიჩნევთ, რომ ამ ცვლადების ერთობლივი ზემოქმედება საგარეო პოლიტიკის სისტემაზე სწორედ რომ განსაზღვრავს აღნიშნული პარამეტრის -- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის -- ერთიან ზემოქმედებას სისტემის ოპერირების რეჟიმზე.

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ერთი შეხედვით არსებული წინააღმდეგობისა, მოცემული პარამეტრის საპასუხოდ, საგარეო სისტემის ოპერირების რეჟიმი ასევე ითვალისწინებს: 1. ნაკლებად ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას. 2. საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებზე ფოკუსირებას.

### 2.3.1.2 ბიუჯეტის შესრულება

1989-1995 წლებში ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი ტემპისა და ორწლიანი რეცესიის პარალელურად, მიმდინარეობს მეორე პროცესი - ბიუჯეტის დეფიციტის განვითარება და, შესაბამისად, სახელმწიფო ვალის ზრდა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უარყოფით სახელმწიფო დანაზოგს <sup>1</sup> ასახავს და შესაბამისად ამცირებს სასესხო კაპიტალის მიწოდებას, ზრდის სარგებლის განაკვეთს და ამცირებს ინვესტიციების მოცულობას. ამავე დროს, აშშ-ის ღია ეკონომიკაში სასესხო კაპიტალის მიწოდების შემცირებასთან ერთად მცირდება წმინდა უცხოური ინვესტიციები, <sup>2</sup> რაც თავის მხრივ, გულისხმობს რეალური სავალუტო კურსის ზრდას, ამერიკული საქონლის გაძვირებას და ექსპორტის შემცირებას. საბიუჯეტო დეფიციტი იწვევს სავაჭრო დეფიციტის ზრდას, რასაც ეკონომისტები „ტყუპ დეფიციტსაც“ უწოდებენ.

აღნიშნულ მოვლენებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებულ ცვლადებს, რომლებიც ინტენსივობის ხარისხის მიხედვით შესაბამის ზემოქმედებას ახდენენ სისტემაზე; აღნიშნული ცვლადების ზემოქმედების ერთობლიობას განვიხილავთ, როგორც ერთიანი, შედარებით მუდმივი პარამეტრის-- საბიუჯეტო დეფიციტის--ზემოქმედებას საგარეო პოლიტიკის სისტემაზე. საბიუჯეტო დეფიციტის პარამეტრის საპასუხოდ, რომელიც შიდა პოლიტიკურ დონეზე სახელმწიფოსგან მოითხოვს მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარებას, საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმი ასევე გულისხმობს:

1. ნაკლებად ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას;
2. საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებზე ფოკუსირებას.

ათწლეულის მეორე ნახევრიდან, ეკონომიკური ზრდა აისახება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე. თუ 1996 წელს ბიუჯეტის დეფიციტი ჯერ კიდევ მშპ-ს 1.5%-ს შეადგენდა, 1999 წლისთვის პროფიციტმა -- 1.3%, ხოლო 2000 წ. 2.3% შეადგინდა. შესაბამისად, იზრდება მთლიანი სახელმწიფო დანაზოგი დეფიციტური 8.5 მილიარდიდან 1995 წელს, 462.7 მილიარდამდე 2000 წელს. მთლიანი

<sup>1</sup> სახელმწიფო, ან სხვაგვარად საზოგადოებრივი, დანაზოგი ეკონომისტების მიერ დახასიათებულია, როგორც სხვაობა საგადასახადო შემოსავლებსა და საქონლისა და მომსახურებისათვის გაწეულ სახელმწიფო ხარჯებზე. (იხ. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2000, გვ. 726)

<sup>2</sup> წმინდა უცხოური ინვესტიციები ეკონომისტების მიერ დახასიათებულია, როგორც სხვაობა ქვეყნის მოქალაქეების მიერ უცხოურ აქტივებში გადახდილ თანხასა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სამამულო აქტივებში გადახდილ თანხას შორის. (იხ. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2000, გვ. 850)

სახელმწიფო ინვესტიციებიც იზრდება 238.2 მილიარდიდან 1995 წელს, 318.3 მილიარდამდე 2000 წელს, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებელს 1989-1995 წლების პერიოდში (Bureau of Economic Analysis, 2002).

აღნიშნული ცვლადების ზემოქმედების ერთობლიობას განვიხილივით, როგორც ერთიანი, შედარებით მუდმივი პარამეტრის -- ბიუჯეტის პროფიციტის -- ზემოქმედებას საგარეო პოლიტიკის სისტემაზე.

ბიუჯეტის პროფიციტის პარამეტრის საპასუხოდ, რომელიც შიდა პოლიტიკურ დონეზე იწვევს ნაკლებად შეზღუდული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას (კერძოდ, იზრდება სახელმწიფო შესყიდვები და ინვესტიციები), საგარეო პოლიტიკის სისიტემის ოპერირების რეჟიმი გულისხმობს: 1. უფრო ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას; 2. საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებზე ფოკუსირებას, რაც, ამავე დროს, უკვე დიდწილად განაპირობებს აშშ-ის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

### 2.3.1.3 სავაჭრო ბალანსი

გამოყოფილი ეკონომიკური ზრდის ტემპის და ბიუჯეტის შესრულების წყვილი პარამეტრები, კორელაციაშია მესამე პარამეტრთან -- სავაჭრო ბალანსთან.

მთლიანობაში, ბოლო 50 წლის განმავლობაში, აშშ ექსპორტი და იმპორტი, როგორც მშპ-ს პროცენტული წილი საერთო ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1980-იანი წლებიდან 1995 წლის ჩათვლით, საბიუჯეტო დეფიციტის ფონზე ვითარდება „ტყუპი დეფიციტის“ ფენომენი და 1995 წ. სავაჭრო დეფიციტი 110 მილიარდ დოლარს შეადგენს. საგულისხმოა, რომ 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევის ფონზე, სავაჭრო დეფიციტი კიდევ უფრო იზრდება და 2000 წლისთვის აღწევს მოცემული ათწლეულის პიკს -- 445 მილიარდს. ეს ტენდენცია ამ შემთხვევაში უკვე სხვა პროცესებთან არის დაკავშირებული, და აშშ-ის ეკონომიკის ზრდას უკავშირდება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> კერძოდ, აქ უკვე სახეზეა სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთქმედების უფრო სწრაფი განვითარება და აშშ-ის ადგილობრივი მოხმარების ზრდა, რისი დაკმაყოფილებაც უკვე ვერ ხერხდება შიდა წარმოებით, ხოლო განსხვავება წარმოებასა და მოხმარებას შორის გაზრდილი იმპორტით კომპენსირდება. ამავე დროს, აშშ-ის მზარდი ეკონომიკა სულ უფრო მეტად მომხიბლავი ხდება უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორებისათვის, რომელთა მზარდი მოთხოვნა

ჩვენ არ განვიხილავთ სავაჭრო დეფიციტის გამომწვევ ცალკეულ ფაქტორების, ანუ საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული ცვლადების კონკრეტულ ზემოქმედებას სისტემაზე. თუმცა აღნიშნული ცვლადების ზემოქმედების ერთობლიობას განვიხილავთ, როგორც ერთიანი პარამეტრის -- უარყოფითი სავაჭრო ბალანსის -- ზემოქმედებას საგარეო პოლიტიკის სისტემაზე.

მართალია, ეკონომისტებს შორის არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ ზოგადად რამდენად სახიფათოა ეკონომიკისათვის სავაჭრო დეფიციტი, ფაქტია, რომ იგი ეროვნული დანაზოგის შემცირების ტენდენციაზე მიუთითებს, რაც გრძელვადიან ტერმინებში ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი პირობაა. შესაბამისად, აღნიშნული პარამეტრი იწვევს ისეთი მაკროეკონომიკური ცვლადების ამოქმედებას, რომლებიც ისევ და ისევ მიმართულია მწარმოებლურობის დონის ამადლებაზე. მათ შორის, ამ შემთხვევაში, უკვე ძირითადია სახელმწიფოს ორიენტაცია ინფრასტრუქტურის, განათლების და ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებაზე, რაც თავის მხრივ, შიდა რესურსების მობილიზაციას გულისხმობს.

შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის სისტემა, რომელიც რეაგირებს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის პარამეტრზე, ოპერირებს რეჟიმში, რომელიც კვლავ გულისხმობს: 1. ნაკლებად ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას და 2. საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებზე ფოკუსირებას.

2.3.2 აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის რეაგირება სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის პარამეტრებზე.

როგორც ავღნიშნეთ, გამოყოფილი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების საპასუხოდ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემა ოპერირებს რეჟიმში, რომლის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს შეზღუდული, ან პირიქით, გაზრდილი ექსპანსიურობა. კონკრეტულად რა შინაარსს ვდებთ ამ ცნებებში?

თუ 1970-იან წლებში ძლიერი ეკონომიკა აღუღაბებდა აშშ-ის ალიანსებს და უზრუნველყოფდა მისი სამხედრო ძალების განლაგებას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გადასახადის გადამხდელებზე დამატებითი დაწოლის გარეშე, საბიუჯეტო

ინვესტირებაზე ასევე უკვე ვერ კმაყოფილდება შიდა ეროვნული დანაზოგებით. შესაბამისად, ვითარდება კიდევ ერთი თანამავალი პროცესი -- ქვეყნის საგარეო ვალის ზრდა.

და საგაჭრო დეფიციტების ზრდის ფონზე, პოლიტიკური ისტებლიშმენტი იძულებულია გადასინჯოს თავისი პრიორიტეტები. თავს იჩენს აშშ-ის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები, რომელთა შორის ძირითადია: სიღარიბის პრობლემა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაურესება, საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემა, სამედიცინო უზრუნველყოფის პრობლემა, საგანმანათლებლო სისტემის არაადექვატურობა, გარემოს დაცვის მდგომარეობის გაურესება და სხვა (Cegzy<sup>^</sup> 2001<sup>^</sup> cnh&12<sup>^</sup> Country Profile Table, 2002). აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები პირველ რიგში იწვევს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შიდა პრიორიტეტებზე კონცენტრაციას, რაც, ბუნებრივია, ზღუდავს აშშ-ის „გადახდისუნარიანობას“ საერთაშორისო მასშტაბით. შესაბამისად, შეზღუდული „გადახდისუნარიანობის“ პირობებში, აშშ უწინდელი წარმატებით უკვე ვერ ახორციელებს მის ისეთ „აღიარებულ“ მისიებს, როგორცაა: ევროპის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა, აღმოსავლეთ აზიაში ბალანსის შენარჩუნება, თავისუფალი საგაჭრო ზონების განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა. ასევე, იზღუდება აშშ-ის შესაძლებლობები გადაჭრას საერთაშორისო მასშტაბის ცალკეული კონკრეტული პრობლემები, რომლებიც (შესაძლოა არაპირდაპირ) ემუქრება მის ინტერესებს.

საპირისპიროდ, ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა გულისხმობს ე.წ. „ამერიკული მისიის“ წარმატებულ შესრულებას, რომლის იდეალიზებულ, თუმცა ტრადიციულად დამკვიდრებულ ორიენტირს საგარეო პოლიტიკის „მორალური“ თვალთახედვა წარმოადგენს (ქოჩორაძე, 2005, გვ. 267-275). ამ ორიენტირს კარგად ახასიათებს რონალდ რეიგანი, რომლის თანახმად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საბოლოო მიზანს მთელს მსოფლიოში „თავისუფლების გავრცელება“ წარმოადგენს (Chace, 1992, p.170). თავისუფლების გავრცელება უაღრესად „ძვირი“ მისიაა, და, ისევე და ისევე, მისი წარმატება აშშ-ის გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული.

მივიჩნევთ, რომ როგორც შედარებით შეზღუდული ასევე, ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა, ეყრდნობა საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ მიმართულებას, როგორც საერთაშორისო ვალდებულებების თუ ამოცანების შესრულების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პერიოდში, საგარეო



ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში ორი ტენდენცია უპირისპირდება ერთმანეთს.

1. პირველი ტენდენცია, რომელიც უფრო მეტად ახასიათებს შედარებით შეზღუდული ეკონომიკური განვითარების კონტექსტს, მიმართულია საკუთრივ აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების გატარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტენდენცია ძირითადად განპირობებულია მიკროეკონომიკური ფაქტორებით და რეაგირებს კონკრეტული კომპანიების და მრეწველობის დარგების ლობირებაზე. მთლიანობაში, საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალ ეტაპზე (და ძირითადად ოპერაციულ დონეზე, რომელიც, ამ შემთხვევაში, უპირისპირდება დეკლარაციულ დონეს) ეს ტენდენცია გულისხმობს პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის გატარებას და, გარკვეულ წილად, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შეფერხებას. მაგ. 1988 წლიდან 1995 წლამდე „მწარმოებლის სუბსიდირების ეკვივალენტის“ (PSE) მაჩვენებელი მერყეობს 21%-30% შორის. ათწლეულის მეორე ნახევარში, აღნიშნული მაჩვენებელი კლებულობს და მერყეობს 13%- 16% შორის.<sup>1</sup> ამ ტენდენციის შესაბამისად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე, როგორც დეკლარაციულ, ასევე ოპერაციულ დონეებზე, შემუშავებულია ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობენ აშშ-ის ბიზნესის შეღწევას უცხოურ ბაზრებზე.<sup>2</sup> აღნიშნული მიმართულებები განსაკუთრებით გამოიკვეთება 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც, მაგალითად, NAFTA-თ ჩარჩოებში, აშშ მექსიკისა და კანადისაგან ითხოვს ეკოლოგიური და შრომითი კანონმდებლობის გატარებას.

2. მეორე ტენდენცია, რომელიც უფრო მეტად უკავშირდება ეკონომიკური აღმავლობის კონტექსტს და უფრო მეტად რეაგირებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, მიმართულია „გლობალური ფინანსური არქიტექტურის“ რეფორმირებაზე. აღნიშნული მიზანი, პირველ რიგში, გულისხმობს ფინანსური და

<sup>1</sup> შესაბამისი მაჩვენებლების მიმოხილვა იხ: The Level of Support for Agriculture in OECD Countries, Economic Perspectives, USIA Electronic Journal, Vol. 4, No.2, May 1999; <http://usinfo.state.gov/journals/>

<sup>2</sup> ამ მიმართულებებს განეკუთვნება: უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ სამრეწველო დარგების დერეგულაცია; უცხოეთის სახელმწიფოების მიერ შრომისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დაცვა; აშშ-ის ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. სამივე მიმართულების მიზანია გამორიცხოს აშშ ექსპორტის მაღალი ღირებულება უცხოურ ბაზრებზე.

ეკონომიკური სისტემების გამჭვირვალობას და ემსახურება გლობალური ეკონომიკის სტაბილურობის ხელშეწყობას.

საგარეო პოლიტიკის სისტემის შედეგების ოპერაციულ დონეზე, აღნიშნული ტენდენცია გამოიხატება აშშ-ის მხრიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდზე (სსფ) ზეწოლაში, წვერი ქვეყნების მიერ ფინანსური და ეკონომიკური ინდიკატორების საჯაროების გასაზრდელად.<sup>1</sup> მეორე მხრივ, გლობალური ფინანსური არქიტექტურის რეფორმირება ასევე გულისხმობს სსფ-ს გაძლიერებას, რათა მას აშშ-საგან დამოუკიდებლად შეეძლოს შესაძლო ფინანსური კრიზისების აცილება.<sup>2</sup>

გლობალური ეკონომიკის სტაბილურობის ხელშეწყობას ემსახურება აგრეთვე მსოფლიო ბანკის და სხვადასხვა რეგიონალური ბანკების განვითარების პროგრამები. მაგრამ, ისევე როგორც სსფ-ს შემთხვევაში, აქაც პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულება არ არის ერთმნიშვნელოვანი, განსაკუთრებით, არსებული ფუნქციონალური გადაფარვების გათვალისწინებით. შესაბამისად, კონგრესი, რომელიც 1998 წ. იღებს სსფ-ს 18,000 მილიონიანი დაფინანსების პაკეტს, ითხოვს სსფ-ს, მსოფლიო ბანკის და რეგიონალური ბანკების მუშაობის რეფორმას, წვერ სახელმწიფოთა გაზრდილი პასუხისმგებლობის ფონზე.<sup>3</sup>

„გლობალური ფინანსური არქიტექტურის“ რეფორმირების მეორე ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია,

<sup>1</sup> ამ მიმართებით, უკვე 1996 წელს სსფ-მ შემოიღო: 1. „მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი“ (Special Data Dissemination Standard), რომელიც აყალიბებს წვერ სახელმწიფოთა მიერ საჯაროდ წარმოდგენილი ეკონომიკური და ფინანსური მონაცემების კრიტერიუმებს; და 2. „მონაცემთა გავრცელების ზოგადი სტანდარტი“ (General Data Dissemination Standard), რომელიც ხელს უწყობს აღნიშნულ მონაცემთა შეგროვების ოპტიმიზაციას. 1998 წელს დიდი შვიდეულის სამიტზე ბერმინგემში, აშშ-ის თაოსნობით სსფ-ს წინაშე დაისახა დამატებითი ამოცანები სახელმწიფოთა ფინანსური და ეკონომიკური ინფორმაციის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად.

<sup>2</sup> მართლაც, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისის შემდეგ, სსფ-ში იქმნება ახალი 50,000 მილიონ დოლარიანი საგანგებო სარეზერვო ფონდი (New Arrangements to Borrow) და დამატებითი საკრედიტო საშუალებები (Supplemental Reserve Facility; Contingent Credit Line) ფინანსური კრიზისების თავიდან ასაცილებლად.

<sup>3</sup> აღნიშნული მტკიცება ეფუძნება შემდეგ წყაროებს: Gramm, Phil (Senator, Chairman of the Committee on Banking, Housing and Urban Affairs, United States Senate), Reforming and Refocusing the International Monetary Fund, "Reforming the International Financial Institutions," An Electronic Journal of the U.S. Department of State, Vol. 6, No.1, February 2001 (<http://usinfo.state.gov/journals/>); Meltzer, Allan (Professor of political Economy and Public Policy, Carnegie Mellon University), Reforming the International Financial Institutions: A Plan for Financial Stability and Economic Development, "Reforming the International Financial Institutions," An Electronic Journal of the U.S. Department of State, Vol. 6, No.1, February 2001 (<http://usinfo.state.gov/journals/>);

ძირითადად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მეშვეობით. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ორმაგი დატვირთვის თაობაზე, სადაც აშშ ცდილობს უზრუნველყოს ორმაგი მიზანი: წამყვანი როლის დამკვიდრება ეკონომიკურ მმართველობაში; და საკუთარი ინტერესების ლობირება ახალი ეკონომიკური სივრცეების ფარგლებში. აქ წინა პლანზე წამოვწევთ აშშ-ის ძალისხმევას უზრუნველყოს WTO-ს პროცესის განვითარება საერთაშორისო კონსენსუსის, როგორც გლობალური ფინანსური არქიტექტურის განვითარების უმთავრესი პირობის, საფუძველზე.

WTO-ს პროცესის განვითარების საკმაოდ წინააღმდეგობრივ ფონზე, აშშ აქტიურად იბრძვის მოცემული ამოცანის მისაღწევად. კლინტონის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ პროცესის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია სწორედ რომ ინდუსტრიული ქვეყნების მზადყოფნაზე გააუქმონ სავაჭრო ბარიერები ეკონომიკის ყველაზე მგრძობიარე სექტორებში. კერძოდ, აშშ-ის ინიციატივა ძირითადად მიმართულია: 1. ექსპორტის სუბსიდირების მოხსნაზე; 2. ტარიფების დაწვევასა და იმპორტის ქვოტების გაზრდაზე; და 3. სახელმწიფო სავაჭრო უწყებების რეფორმაზე (Aaron, 2000). თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ძნელია მკაფიო ზღვარის გატარება, ერთი მხრივ, WTO-ს პროცესის ხელშეწყობას, როგორც „გლობალური ფინანსური არქიტექტურის“ რეფორმირების ერთ-ერთ მიმართულებასა და, მეორე მხრივ, საკუთრივ აშშ-ის ეკონომიკურ ინტერესების ლობირებას შორის, ვინაიდან აღნიშნული პროცესი, საბოლოო ჯამში, აშშ-ის ექსპორტს ემსახურება.<sup>1</sup>

\*\*\*\*\*

ამგვარად, შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სამ ძირითად კომპონენტთან დაკავშირებული პროცესები და მათი თანამავალი მოვლენები, რომლებიც, შესაბამისად, ჩვენს მიერ განიხილება, როგორც საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე არსებული შედარებით მუდმივი პარამეტრები და მათი შემადგენელი ცვლადები, განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმს, რომელშიც გამოვყოფდით ორ ურთიერთშედეგწვევად,

<sup>1</sup> ეს ასპექტი, ისევე და ისევე, ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთება სოფლის მეურნეობის დარგში, სადაც აშშ-ის მზარდი მწარმოებლურობა და ადგილობრივი ბაზრის გაჯერებულობა სულ უფრო მეტად ზრდის ამერიკული აგრობიზნესის დამოკიდებულებას უცხოეთის ბაზრებზე.

გლობალურ და ეროვნულ დონეს. გლობალურ დონეზე სისტემის მიზანია გლობალური ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა; ხოლო ეროვნულ დონეზე -- საკუთრივ აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების ლობირება. სისტემის გამოსავალზე ძვეს აღნიშნული რეჟიმების განხორციელების კონკრეტული პოლიტიკური საშუალებები, რომლებიც განეკუთვნებიან როგორც „დეკლარაციულ“ ასევე „ოპერაციულ“ შედეგთა კატეგორიას. ამგვარ შედეგთა ერთ-ერთ ერთობლიობად მივიჩნევთ ფინანსური და სავაჭრო პროფილის საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებას. ამავედროულად, აღნიშნულ დონეებზე სისტემის ოპერირების ბალანსი (ანუ თუ ოპერირების რომელი დონეა წამყვანი დროის გარკვეულ მონაკვეთზე) განაპირობებს სისტემის ოპერირების მეტად, თუ ნაკლებად ექსპანსიურ ხასიათს, ანუ იმ ხარისხს, რომლითაც სრულდება „ამერიკული მისია“ მსოფლიო მასშტაბით.

2.3.3 კორელაცია საერთაშორისო გარემოს პარამეტრებს და შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს შორის

შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი კორელაციების ჩვენება საერთაშორისო გარემოს პარამეტრებსა და შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს შორის:

დადებითი დატვირთვის კორელაციად მივიჩნევთ კორელაციას, ერთი მხრივ, კომუნიზმის დამარცხების, ახალი ეკონომიკური ცენტრების წარმოქმნის და სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პარამეტრებს და, მეორე მხრივ, აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობის პარამეტრებს შორის. ამ მიმართებით, წმინდა თეორიულ დონეზე მივიჩნევთ, რომ კომუნიზმის დამარცხებამ ხელი შეუწყო ახალი სავაჭრო შესაძლებლობების წარმოქმნას, რამაც თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა აშშ-ის სავაჭრო ბრუნვის ზრდაში, ეკონომიკური ზრდის მიღწევასა და ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევაში. თუმცა პირდაპირი კორელაცია, რა თქმა უნდა, დაფარულია მრავალი სხვა ფაქტორის ზემოქმედებით. უფრო ნათელია უშუალო კავშირი ცივი ომის დასრულებასა და აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტიდან ასობით მილარდის გამონთავისუფლებას შორის, რაც სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას მოხმარდა.

ასევე, ერთი მხრივ, ახალი ეკონომიკური ცენტრების განვითარებით განპირობებულმა გაზრდილმა კონკურენციამ და სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთკავშირით განპირობებულმა გლობალიზაციის პროცესებმა თავისი წვლილი შეიტანეს აშშ-ის სავაჭრო ბრუნვის ზრდაში, ეკონომიკური ზრდის მიღწევასა და ბიუჯეტის დეფიციტს დაძლევაში.<sup>1</sup>

უარყოფითი დატვირთვის კორელაციად მივიჩნევთ კორელაციას, ერთი მხრივ, არასტაბილურობის ახალი კერების წარმოქმნას და ახალი საფრთხეების განვითარებასა, და მეორე მხრივ, აშშ-ის ეკონომიკურ დაღმავლობას შორის, სადაც სავაჭრო შესაძლებლობების შეკვეცა, ეკონომიკური სანქციებისა და აშშ-ის სამხედრო მზადყოფნის აუცილებლობა უარყოფითად აისახება სავაჭრო ბრუნვაზე და საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევაზე.

არსებული კორელაცია საერთაშორისო გარემოს და შიდაპოლიტიკური გარემოს სოცალურ-ეკონომიკური სტრუქტურის პარამეტრებს შორის აისახება შესაბამის კორელაციაში აღნიშნული პარამეტრებით განპირობებული საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმებს შორის. კერძოდ, შეიძლება აღინიშნოს პირდაპირი კორელაცია, და მნიშვნელოვანი გადაფარვაც კი, საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების განსხვავებული რეჟიმების დონეებს შორის: ერთი მხრივ, საერთაშორისო გარემოს უსაფრთხოების და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის „გლობალურ“ დონეს და საერთაშორისო ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის „გლობალურ“ დონეს შორის, და მეორე მხრივ, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის „ეროვნულ“ დონეს და საკუთარი ეკონომიკური ინტერესების ლობირების „ეროვნულ“ დონეს შორის. შესაბამისად, სისტემის ოპერირების „გლობალური“ და „ეროვნული“ დონეების ბალანსი განაპირობებს სისტემის ოპერირების ექსპანსიურობის ხარისხს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დონე არის დომინანტური დროის მოცემულ მონაკვეთზე.

<sup>1</sup> მთლიანობაში 1991-1999 წლებში მშპ-ში საგარეო ვაჭრობის ბრუნვის წილი 4.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, შედარებით 80-იან წლებთან, სადაც ამ მაჩვენებლის ზრდა 3.5 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა.

### 2.3.4 იდეოლოგიური სტრუქტურა

იდეოლოგიურ სტრუქტურას ჩვენ განვიხილავთ, როგორც მოცემული საზოგადოების კულტურულ, ისტორიულ და პოლიტიკურ ტრადიციებზე დაფუძნებულ ღირებულებათა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ საზოგადოებაში მთავრობის როლსა და მიზნებს. შესაბამისად, აშშ-ის პლურალისტური საზოგადოების იდეოლოგიური სტრუქტურის ძირითადი პარამეტრების გამოყოფისას ვიხელმძღვანელებთ კრიტერიუმით, რომლის თანახმად აღნიშნული სტრუქტურის ფუნქციონირება მიმართულია მისთვის დამახასიათებელი დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე. ამდენად, ჩვენ გამოვყოფთ პარამეტრებს, რომლებიც ასახავს აშშ-ის იდეოლოგიური სტრუქტურის ზემოთ აღნიშნული კომპონენტების ფუნქციონირებას, მიმართულს თითოეული მათგანის ძირითადი ღირებულებების შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე.

#### 2.3.4.1 პოლიტიკური პარტიები

აშშ-ის ორი ძირითადი პოლიტიკური პარტიის - დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების - ფუნქციონირების დახასიათებისას ჩვენ ამოვივარდთ ორი ძირითადი დაშვებიდან: 1. აშშ-ის პოლიტიკური პარტიები აყენებენ რა ეროვნული მასშტაბის საკითხებს და ასახავენ რა მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნებს, წარმოადგენენ დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის<sup>1</sup> განხორციელების საშუალებას; და 2. აშშ-ის პოლიტიკური პარტიები, განსაზღვრავენ რა ხელისუფლების ქმედების იდეოლოგიურ პლატფორმებს, წარმოადგენენ მისი აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების დაკავშირების საშუალებას. ამავე დროს, თუ ვიხელმძღვანელებთ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმით, რომ პოლიტიკური პარტიების, როგორც სახელმწიფოს იდეოლოგიური სტრუქტურის კომპონენტების, ფუნქციონირება მიმართულია მათი ტრადიციული ღირებულებების განმტკიცებაზე, შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ: 1. პარტიების მაჟორიტარული დემოკრატიის გატარების ფუნქცია

<sup>1</sup> დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის თანახმად, „ხელისუფლების პასუხისმგებლობა ხალხის მოთხოვნილებების მიმართ ხორციელდება მასების პოლიტიკაში მონაწილეობის საშუალებით.“ (ქ. ჯანდა, ჯ. ბერი, ჯ. გოლდმენი, „ამერიკული დემოკრატია“, თბილისი, 1995, გვ. 181)

კორელაციაშია მათი იდეოლოგიური პოზიციების დაპირისპირებასთან; ხოლო 2. ხელისუფლების ორი შტოს დაკავშირების ფუნქცია კორელაციაშია პარტიების იდეოლოგიური პოზიციების დაახლოებასთან.

ამდენად, გამოვყოფთ იდეოლოგიური სტრუქტურის აღნიშნული კომპონენტის -- პოლიტიკური პარტიების -- ორ პარამეტრს: 1. იდეოლოგიურ დაპირისპირებას; და 2. იდეოლოგიურ დაახლოებას.

პარტიათა წმინდა იდეოლოგიური დაპირისპირება/დაახლოების პარალელურად, ჩვენ ასევე განვიხილავთ პარტიათა „სახელისუფლებო“ დაპირისპირება/ დაახლოებას, რომელთაც ადგილი აქვთ, ერთი მხრივ, კონგრესსა და პრეზიდენტს შორის და, მეორე მხრივ, კონგრესის შიგნით. ამ ტიპის დაპირისპირება/დაახლოებას ჩვენ დავახასიათებთ, როგორც „ზედნაშენურ“ მოვლენებს, რომლებიც ეფუძნება იდეოლოგიურ დაპირისპირება/დაახლოებას.

აღნიშნული პარამეტრების, და მათი შემადგენელი ცვლადების, ზემოქმედებას აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმზე გავაანალიზებთ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის გამოყოფილი პარამეტრების კონტექსტში.

1989-1995 წლების ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფონზე, გამოვყოფთ შემდეგ პრინციპულ დაპირისპირებებს:

საარჩევნო 1992 წლისათვის, კონგრესის დემოკრატი ლიდერები შიდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს პირდაპირ უკავშირებდნენ აშშ-ის უუნარობას ეტვირთა „ამერიკული მისია“ მსოფლიო მასშტაბით (Hamilton, 1992, pp.32-51). დემოკრატები კონკრეტულად აკრიტიკებდნენ ბუშის ადმინისტრაციის „საბჭოთა პოლიტიკას“, რომელიც, მათი მტკიცებით, მოკლებული იყო ერთიან სტრატეგიულ ხედვას (Congressional Record, November 20, 1991). 1990 და 1992 წლების წარმომადგენელთა პალატის არჩევნები ინარჩუნებს დემოკრატების უმრავლესობას, რომელიც სულ უფრო მეტად ამჟღავნებს სახელისუფლებო დაპირისპირებას პრეზიდენტთან (1992 Congressional Quarterly Almanac, p.5). როგორც აღნიშნეთ, ამგვარი დაპირისპირება ზედნაშენური ხასიათისაა, რომელიც პარტიულ-იდეოლოგიურ დაპირისპირებას ეფუძნება და რომლის აქცენტებიც შესაბამისად ძვეს ქვეყნის შიდა განვითარებისა და მისი საერთაშორისო როლის განსხვავებულ ხედვაში. არსებობს შეხედულება, რომ ცივი ომის დასრულებისა და სპარსეთის

ყურეს ომში გამარჯვების შემდეგ, ბუშს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა მიეღწია ორპარტიული კონსენსუსისთვის საგარეო პოლიტიკაში (Gergen, 1992, p. 12), მაგრამ ბუშმა ვერ შესძლო ამგვარი კონსენსუსის მიღწევა. ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაციით, ცივი ომის შემდგომი პერიოდის სხვა ლიდერების მსგავსად, ბუში თავს არიდებდა დიდ „პროგრამულ“ პროექტებს, რომლებიც უკვე არააქტუალური იყო „ახალი რეალიებისათვის“ (Drucker, 1994, pp.106-112). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბუშის წარუმატებლობა განეხორციელებინა ორ-პარტიულ კონსენსუსზე დაფუძნებული „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დოქტრინა, პირველ რიგში, განპირობებული იყო მოცემული პერიოდის შიდა სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით, რომლებიც უშუალოდ მოქმედებდნენ რესპუბლიკელი პრეზიდენტის რეიტინგზე. თუმცა აქ უმთავრესი სწორედ ის გარემოებაა, რომ აღნიშნული ფაქტორები ზღუდავდნენ აშშ-ის როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების უნარს რეალურდ ეტვირთა საერთაშორისო ლიდერის როლი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დასამკვიდრებლად. იგივე მიზეზით, პრეზიდენტ კლინტონის გამარჯვებით ხელისუფლების ორივე შტოში დემოკრატიების დამკვიდრების პირობებში, ვერც დემოკრატიულმა პარტიამ შესძლო მოეპოვებინა ახალი დროის დომინანტური პარტიის როლი. 1994 წლის ე.წ. „რევოლუციური“ არჩევნებისათვის, 103-ე მოწვევის დემოკრატიულ კონგრესს ამერიკული პრესა ახასიათებდა, როგორც ყველაზე არაეფექტურ კონგრესს, სადაც რესპუბლიკელების და ე.წ. „ახალი დემოკრატების“ დაპირისპირებამ პიკს სწორედ შიდა პოლიტიკურ საკითხებზე მიაღწია.

მოცემულ პერიოდში გამოვეყოფთ პრინციპული დაახლოების შემდეგ ტენდენციებს:

1992 საარჩევნო წლისთვის, „სახელისუფლებო“ დაახლოება კვლავ ფისკალური საკითხებით იყო განპირობებული, როდესაც ბუში თანამშრომლობდა ორივე პარტიასთან საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად (Paget, 1996). დაახლოების ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა საგარეო პოლიტიკის სფეროში, სადაც ხელისუფლების ორივე შტოს მიერ საგარეო პოლიტიკის „რაციონალური“ საფუძვლის ძიება დაახლოების წინაპირობა ხდება. გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელსაც მიუხედავად პარტიული მიკუთვნებულობისა, იზიარებდა



როგორც კონგრესი, ასევე თეთრი სახლის ადმინისტრაცია.<sup>1</sup> ამავე დროს, როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელების წინასაარჩევნო პროგრამებში გამოსჭვივის საგარეო პოლიტიკის ინტერნაციონალისტური ხასიათი, რომელიც პარტნიორებთან თანამშრომლობაზეა ორიენტირებული (Hamilton, 1992, pp. 32-51; Leach, 1992, pp.17-31; Ornstein, 1992, pp.1-16, Yankelovich, 1992, pp.1-12).

მოცემული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ნეგატიური პარამეტრების პირობებში, რომლებიც ამავე დროს ვითარდებიან საერთაშორისო გარემოს მოუწესრიგებლობის, არასტაბილურობის და დეზინტეგრაციის მახასიათებლების აღწერილი პარამეტრების ფონზე, პოლიტიკური პარტიების დაახლოება-დაპირისპირების პარამეტრები (და მათი შემადგენელი ცვლადები) საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზევე განსაზღვრავენ მისი ოპერირების უაღრესად წინააღმდეგობრივ რეჟიმს და, შესაბამისად, წინააღმდეგობრივ შედეგებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მიმართ ამგვარ შედეგთა თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კონგრესის უკიდურესი კრიტიკის ფონზე, ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული „თავისუფლების მხარდაჭერის აქტის“ კანონპროექტი (Freedom Support Act). აღნიშნული კანონპროექტი რეალურად წარმოადგენდა ადმინისტრაციის მცდელობას მოეპოვებინა კონგრესის მხარდაჭერა მისი „საბჭოთა პოლიტიკის“ მიმართ. მეორე მხრივ, არც კონგრესი და არც პრეზიდენტი არ ჩქარობდნენ საგარეო დახმარების დამტკიცებასთან დაკავშირებული პოლიტიკური საფასურის გაღებას. „აქტის“ ირგვლივ გამართული დებატები საუკეთესოდ ასახავდა არსებული პოლიტიკური დაპირისპირებების სრულ სპექტრს (ბუკია, 2000, გვ. 50-51).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შედარებითი ეკონომიკური დაღმავლობის პირობებში, პოლიტიკური პარტიების დაპირისპირების პარამეტრი, ატარებს მკვეთრ იდეოლოგიურ ხასიათს და, პირველ რიგში, კორელაციაშია აღწერილ ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებთან. მეორე მხრივ, დაახლოების პარამეტრი უფრო მეტად ატარებს სახელისუფლებო ხასიათს, სადაც გამომდინარე საერთო ამოცანებიდან, ხდება ორპარტიული კონგრესის ან ხელისუფლების ორპარტიული

<sup>1</sup> ეს მიმართულებებია: -- აშშ-ის წამყვანი საერთაშორისო როლის განხორციელება მრავალმხრივი საერთაშორისო მონაწილეობის საფუძველზე; -- დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა ყოფილ საბჭოთა ბანაკში; -- საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკური სანქციების და სავაჭრო ურთიერთობების მზარდი როლის აღიარება.

შტოების პოზიციათა თანხვედრა. ამ შემთხვევაში, პარტიათა სახელისუფლებო დაახლოება, პირველ რიგში, კორელაციაშია საერთაშორისო გარემოს პარამეტრებთან. მთლიანობაში, პარტიული მოტივაციით განპირობებულია წინააღმდეგობრივმა ურთიერთქმედებებმა შეზღუდეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის უნარი ემოქმედა ოპტიმალურ რეჟიმში, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა რაციონალურ მიმართებაზე ხელისუფლების საერთაშორისო და შიდაპოლიტიკურ ვალდებულებებს შორის. შესაბამისად, შეიზღუდა აშშ-ის უნარი, აღმოეჩინა ქმედითი მხარდაჭერა, როგორც დაშლის პირას მდგარი, ასევე შემდგომ უკვე ცალკეულ რესპუბლიკებად დაშლილი საბჭოთა კავშირისადმი.

1995-2000 წლების ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, გამოვეყოფთ ამერიკული პარტიების პრინციპული დაპირისპირების შემდეგ ტენდენციებს.

1996 საარჩევნო წლისთვის, დემოკრატი პრეზიდენტისა და რესპუბლიკური კონგრესის პარტიული ნიშნით დაპირისპირება ძირითადად უკავშირდებოდა საერთაშორისო სისტემის პრობლემებს და განისაზღვრებოდა იმ სირთულეებით, რომლებიც თან სდევდა საგარეო პოლიტიკის ორიენტირების ჩამოყალიბებას. ლიტერატურაში ამგვარი უთანხმოების მიზეზად მოიაზრება, ერთი მხრივ, ცივი ომის პერიოდის ალიანსების რღვევა და, მეორე მხრივ, კონგრესის ფოკუსირება საშინაო პოლიტიკის საკითხებზე. არსებობს შეხედულებაც, რომელიც არსებულ უთანხმოებას კონგრესში თაობათა ცვლას უკავშირებს (Lindsay, 2000, pp.5-8). ჩვენი აზრით, არსებული პარტიული უთანხმოება განპირობებულია საერთაშორისო სისტემის განვითარების პარამეტრებით და იმ ორპარტიული კონსენსუსის თანდათანობითი გაქრობით, რომელიც არსებობდა ცივი ომისა და უშუალოდ მის შემდგომ პერიოდში.<sup>1</sup> ამავე დროს, თუ ე.წ. „პირველი რიგის“ დაპირისპირება აშშ-ის საერთაშორისო როლის თაობაზე გამოიკვეთა უფრო „ინტერნაციონალისტურად“ განწყობილ თეთრ სახლსა და უფრო „იზოლაციონისტურად“ განწყობილ კონგრესს შორის, „მეორე რიგის“ დაპირისპირება ასევე პარტიული ნიშნით გამოიკვეთა თვით კონგრესს შიგნით.

<sup>1</sup> კერძოდ, კონსენსუსის ჩამოყალიბება პრინციპულად ვერ მოხერხდა აშშ-ის საერთაშორისო მოვლენებში და, შესაბამისად, საგარეო ოპერაციებში მონაწილეობის ხარისხის თაობაზე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოცემული ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, როდესაც ვაშინგტონის საბიუჯეტო დებატების ფოკუსი თანდათანობით ინაცვლებს ჭარბი სახსრების მიზანმიმართული გამოყენების ალტერნატივებზე, საგარეო დახმარებისა და საერთაშორისო მონაწილეობის საკითხები კვლავ დაპირისპირების საგნად რჩება და არ ფიგურირებს განხილულ ალტერნატივებს შორის.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დაპირისპირებები ძირითადად სახელისუფლებო ხასიათისაა და ძირითადად ატარებს კონგრესისა და პრეზიდენტის ინსტიტუტების ტრადიციული კონფრონტაციის ხასიათს. თუმცა, ისევ-და-ისევ ამგვარი დაპირისპირება უფრო „ზედნაშენური“ ხასიათისაა და თავისი არსით მაინც პარტიულ-იდეოლოგიურ დაპირისპირებას ეფუძნება.

პარტიული ნიშნით აღნიშნული დაპირისპირებების პარალელურად, მიმდინარეობს იდეოლოგიური დაახლოების პროცესიც. კლინტონის ადმინისტრაციის მეორე ვადის პერიოდიდან მკაფიო ზღვარი პარტიების ზოგად იდეოლოგიურ ჩარჩოებს შორის მნიშვნელოვნად მცირდება.<sup>1</sup> 2000 წ. საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა პარტიების ძირითადი პოზიციების თანხვედრა. პრეზიდენტობის კანდიდატი ჯორჯ ვ. ბუში აცხადებს რომ იგი ახალი ტიპის რესპუბლიკელია, რომლის ფილოსოფია ე.წ. „თანამგრძობ კონსერვატიზმში“ მდგომარეობს (The Economist, July 1, 2000, pp.23-25). თავის მხრივ, უმცირესობაში ყოფნის ხუთი წლის შემდეგ, დემოკრატები აცხადებენ, რომ ისინი სწორედ რომ „ახალი ტიპის“ დემოკრატები არიან, რომლებიც ბევრად უფრო „დემოკრატიული“ მმართველობის განხორციელებას ისახავენ მიზნად.<sup>2</sup>

<sup>1</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ფინანსური ელიტა აღარ არის სწორხაზოვნად ასოცირებული რესპუბლიკურ პარტიასთან. მაგალითად, ბოლო ხუთი საპრეზიდენტო არჩევნების ანალიზმა აშშ-ის ყველაზე მდიდარ 100 ქალაქში უჩვენა, რომ დემოკრატების წილ მოსული ხმების რაოდენობა გაიზარდა 25%-იდან 1980 წელს, 41%-მდე 1996 წელს. ხოლო 1996 წ. კლინტონმა 17 უმდიდრესი საარჩევნო ოლქიდან, 13-ში მოიპოვა გამარჯვება.

<sup>2</sup> კონგრესში სულ უფრო ძლიერდება დემოკრატების ზომიერი ფრაქცია „ბლუ დოგ-ი“ რომელიც თავის წევრებს შორის ბიზნესის წარმომადგენლებსაც აერთიანებს. ფრაქცია იმ ცენტრისტული ჯგუფის დასაყრდენია, რომელიც უწინ შედარებით უგულვებელყოფილი იყო დემოკრატების ძირითადი ბირთვის მიერ, მაგრამ თანდათანობით სულ უფრო ანგარიშგასაწვევი გახდა.

შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ განხილულ პერიოდში პარტიების დაახლოების პარამეტრი უფრო მეტად იდეოლოგიური ხასიათისაა და განპირობებულია შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით, რომლებიც ერთი მხრივ, ხელს უწყობენ აშშ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ჰარმონიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, განაპირობებენ პარტიების იდეოლოგიური პლატფორმების ცენტრისკენულ განვითარებას. ამავე დროს, დაპირისპირების პარამეტრი სახელისუფლებო ხასიათს ატარებს და პირველ რიგში კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის პარამეტრებთან.

განვიხილოთ, თუ როგორ განსაზღვრავს აღნიშნულ პერიოდში პარტიათა დაპირისპირება/დაახლოების პარამეტრი და მისი შემადგენელი ცვლადები საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმს.

დაპირისპირება პრეზიდენტსა და კონგრესს შორის სისტემის გამოსავალზე, პირველ რიგში, გამოიკვეთა საგარეო დახმარების საკითხებში. 1995 წ. კონგრესმა მიიღო ე.წ. „ამერიკის საგარეო ინტერესების აქტი“, რომელიც გამიზნული იყო საგარეო დახმარების მნიშვნელოვან შეკვეცაზე. მეორე მხრივ, კონგრესმა არ მიიღო საგარეო დახმარების კანონმდებლობის -- ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედის -- რეფორმის წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა აქცენტის გადატანას ტრადიციული ორმხრივი დახმარებიდან ექვსი ფართო მიმართულების დაფინანსებაზე.<sup>1</sup> ყოფილ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, მხარდაჭერის იდეოლოგია შენარჩუნებული იყო დეკლარაციულ დონეზე, თუმცა რეალურ ტერმინებში გამოხატული მხარდაჭერა გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა.<sup>2</sup>

ამავე დროს, პარტიათა იდეოლოგიური დაახლოება არბილებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების კონფორტაციულ „წახნაგებს.“ რადიკალი „რევოლუციონერი“ რესპუბლიკელების პოზიცია ორ-პარტიულ თანამშრომლობაზეა

<sup>1</sup> ეს მიმართულებებია: დემოკრატიის განვითარება, მშვიდობის ხელშეწყობა, ჰუმანიტარული დახმარება, ვაჭრობისა და ინვესტირების მეშვეობით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დიპლომატიისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

<sup>2</sup> 1995 ფისკალური წლის საგარეო ოპერაციების ასიგნირების კანონის ფარგლებში კონგრესმა დაამტკიცა რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი 850 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ეკონომიკური დახმარება, ისევე როგორც 400 მილიონიანი ბირთვული იარაღის დაშლის ნან-ლუგარის პროგრამა. ეს კლინტონის მიერ მოთხოვნილ თანხაზე 50 მილიონით იყო ნაკლები და, რა თქმა უნდა, ვერ შეედრებოდა 1994 ფისკალური წლისათვის მიღებულ 2.5 მილიარდიან დახმარებას.

ორიენტირებული, ხოლო კლინტონის საჯარო გამოსვლები ასევე რესპუბლიკურ კონგრესთან თანამშრომლობის სულისკვეთებით ხასიათდება. 2000 წლის პრეზიდენტობის კანდიდატები მხარს უჭერენ ინტერნაციონალისტურ საგარეო პოლიტიკას და განერიდებიან თავიანთი პარტიების იზოლაციონისტურად განწყობილ ფრთას (ბუკია, 2001, გვ. 176-178).

ამგვარად, ერთი მხრივ, პარტიების იდეოლოგიური დაახლოება და, მეორე მხრივ, საერთაშორისო სისტემის მოვლენათა სიმწვავე ქმნიდა ნიადაგს აშშ-ის აქტიური საერთაშორისო მონაწილეობისათვის. მაგრამ ცივი ომის პერიოდის კონსენსუსის გაქრობამ და ეროვნული ინტერესების ერთიანი კონცეპციის ჩამოყალიბების სირთულემ ხელი შეუწყო პარტიული ნიშნით სახელისუფლებო დაპირისპირებას და კვლავ შეზღუდა ე.წ. „ამერიკული მისიის“ შესრულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური პარტიების, როგორც იდეოლოგიური სტრუქტურის კომპონენტების, ურთიერთქმედება იდეოლოგიური და სახელისუფლებო დაახლოება-დაპირისპირების პარამეტრების მიხედვით, საგარეო პოლიტიკის სისტემისათვის რელევანტურია იმ მიმართებებით, რომლებიც ყალიბდება, ერთი მხრივ, კონგრესის ფარგლებში და, მეორე მხრივ, კონგრესსა და პრეზიდენტს შორის. ამავე დროს, პარტიების დაახლოება-დაპირისპირების პარამეტრების განხილვა საერთაშორისო გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს პარამეტრებთან კორელაციაში, საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ აღწერილი ტენდენციების ხასიათი განპირობებულია აღნიშნული პარამეტრების შემადგენელი ცვლადების ინტენსივობით. კერძოდ, ე.წ. „რადიკალური“ ცვლადები, რომლებიც დომინირებენ საერთაშორისო სისტემასა თუ შიდაპოლიტიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში, განაპირობებენ პარტიების ურთიერთქმედებას დაახლოების პარამეტრზე; ხოლო შედარებით „ლიბერალური“ ცვლადები განაპირობებენ ურთიერთქმედებას დაპირისპირების პარამეტრზე. შედეგად, პარტიების ურთიერთქმედება დაახლოება-დაპირისპირების პარამეტრებზე განაპირობებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების წინააღმდეგობრივ რეჟიმს, სადაც სისტემის გამოსავალზე მიღებული ოპერაციული თუ დეკლარაციული შედეგები არ გამოირჩევა კომპლემენტარულობით და ასუსტებს ერთმანეთის ეფექტურობას.

### 2.3.4.2 საზოგადოებრივი აზრი და მასშედი

ლიბერატურაში ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისით ამერიკული საზოგადოებრივი აზრი შორს არის საგარეო პოლიტიკის „კვალიფიციური“ ანალიზისაგან და შემოიფარგლება პოლიტიკის „პრაგმატული შეფასებით“ (The Chicago Council on Foreign Relations, 1999; Sabatier, 1991, p. 271; Gerner, 1991, p. 144). საპირისპირო პოზიცია იზიარებს ზოგად დებულებას ამერიკული საზოგადოების არაინფორმირებულობის თაობაზე, მაგრამ ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი აზრის რეაგირება საგარეო პოლიტიკაზე თანმიმდევრულია (Hinich and Munger, 1994; Holsti, 1997).

საზოგადოებრივი აზრის ანალიზისას, ჩვენ, პირველ რიგში, ამოვდივართ მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციიდან ზემოქმედება მოახდინოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე, ვინაიდან დემოკრატიული საზოგადოების პირობებში, საგარეო პოლიტიკის „პრაგმატული შეფასება“ წარმოადგენს სწორედ რომ „პრაგმატულ“ იარაღს პოლიტიკური ისტებლიშმენტის მართვისა (ბუკია, 2003, გვ.222-226). საზოგადოებრივ აზრს ჩვენ განვიხილავთ წყვილი პარამეტრის -- „კონსოლიდირება-გაფანტულობის“ პარამეტრების მიხედვით, რომლებიც კორელაციაშია საერთაშორისო გარემოსა და შიდაპოლიტიკური გარემოს პარამეტრებთან. ვითვალისწინებთ რა ლიბერატურაში განხილულ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მრავალგვარ ფაქტორს, <sup>1</sup> მიგვაჩნია, რომ მიმდინარე პოლიტიკურ კონტექსტში, ერთ-ერთ ასეთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მედია. უდაოა, რომ მედია წამყვან როლს თამაშობს როგორც მიმდინარე „ინფორმაციული კონტექსტის“ უზრუნველყოფაში, ასევე მოქალაქეთა სტერეოტიპების და მოლოდინების ფორმირებაში, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ შესაბამისი „პოლიტიკური მესიჯების“ აღქმას.

მედიის ფუნქციებს შორის, ლიბერატურაში ტრადიციულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: 1. პოლიტიკური „დღის წესრიგის“ განსაზღვრას და ე.წ. „შესაძლებლობების ფანჯრების“ <sup>2</sup> შექმნას; 2. პოლიტიკოსებისათვის „რეალურ“

<sup>1</sup> როგორცაა ერის ისტორიული გამოცდილება, კულტურულ-იდეოლოგიური თვისებები და სხვა.

<sup>2</sup> ტერმინი გულისხმობს გარკვეულ დროის მონაკვეთს, რომლის მანძილზეც პოლიტიკოსებისთვის უპრიანია რეაგირების გაკეთება გარკვეულ შიდა თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაზე.

დროში ინფორმაციის მიწოდებას და აღნიშნულ საკითხებზე მათი პოზიციის განმარტებას (Strobel, 2000, pp.38-42). საუბრობენ ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების მიერ მედიის მიკერძოებული გამოყენების შესახებ (Pickering, 2000, pp. 5-19). კვლევის მიზნების შესაბამისად, აღნიშნულ ფუნქციებს ჩვენ გავაერთიანებდით ორ ძირითად ფუნქციაში; ესენია: 1. საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების და 2. საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ფუნქციები. ამგვარად, ჩვენს კვლევაში მედია ასრულებს ერთგვარ შემაკავშირებელ როლს ერთი მხრივ, 1. საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ გარემოსა და საზოგადოებრივ აზრს შორის; და მეორე მხრივ 2. საზოგადოებრივ აზრსა და საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტს შორის. შესაბამისად, მედიას და საზოგადოებრივ აზრს ჩვენ განვიხილავთ როგორც იდეოლოგიური სტრუქტურის კომპლექსურ კომპონენტს. მედიას ჩვენ დავახასიათებთ დამოუკიდებელი წყვილი პარამეტრის -- „ინტენსიური-წყვეტილი გაშუქების“ პარამეტრების -- მიხედვით, რომლებიც ასახავენ მედიის ფოკუსირების ხარისხს საერთაშორისო და შიდაპოლიტიკური გარემოს მოვლენებზე. ამავე დროს, დავუშვებთ, რომ „ინტენსიური-წყვეტილი გაშუქების“ წყვილი პარამეტრი შესაბამისად კორელაციაშია საზოგადოებრივ აზრის „კონსოლიდირება-გაფანტულობის“ წყვილ პარამეტრთან.

როგორ განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრის და მედიის აღნიშნული პარამეტრები საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმს?

სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ნეგატიური პარამეტრების პერიოდის მედიის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ის ძირითადი თემატური საკითხები, რომლებიც ინტენსიური გაშუქებით ხასიათდება, ცალსახად უკავშირდება შიდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. მიგვაჩნია, რომ პრესის ამგვარი კონცენტრაცია სწორედ რომ შიდა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის აღწერილი პარამეტრებით არის განპირობებული. მედიის ინტენსიური გაშუქების შესაბამისად იზრდება საზოგადოებრივი აზრის კონცენტრაცია შიდა პოლიტიკის საკითხებზე, რაც ხშირად „სოციალური კონსერვატიზმის“ ტერმინებში ხასიათდება (Yankelovich, 1992, p.4; Ornstein, 1992, p.2,3,15). წარმოჩინდება ასევე უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვის კორელაცია პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური „დაპირსპირების“ პარამეტრსა და საზოგადოებრივი აზრის „კონსოლიდირების“

პარამეტრს შორის, სადაც საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად არის განწყობილი პარტიების არათანმიმდევრული ქმედებებისადმი. <sup>1</sup>

მოცემული პერიოდის მედიაში გაშუქებული საერთაშორისო საკითხები საერთაშორისო გარემოს წარმოადგენს „მოუწესრიგებლობის“, „არასტაბილურობის“ და „დეზინტეგრაციის“ მახასიათებლების პარამეტრებით. <sup>2</sup> ამგვარი ასახვა არ უწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდირებას საერთაშორისო მოვლენებში აშშ-ის აქტიური მონაწილეობის თაობაზე, -- ანუ საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში, საზოგადოებრივი აზრის განვითარება მიმდინარეობს „გაფანტულობის“ პარამეტრის მიხედვით. ამავე დროს, აღებული პერიოდის ჭრილში, საერთაშორისო საკითხები ძირითადად „წყვეტილი“ გაშუქების პარამეტრით ხასიათდება, რომელიც პირდაპირ კორელაციაშია საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრთან. „გაფანტულობის“ აღნიშნული პარამეტრი, ამავე დროს, უარყოფითი დატვირთვის კორელაციაშია პოლიტიკური პარტიების „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრთან, რომელიც თავისი შინაარსით, მეტ-ნაკლებად, ინტერნაციონალისტური ხასიათისაა. ამდენად, 90-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობაში ე.წ. „გულშემატკივრობისაგან დაქანცულობის“ სინდრომი ვითარდება (Gallup, January 1992).

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტენდენციები უშუალოდ აისახა აშშ-ის შესაძლებლობებზე, გამოეყენებინა თავისი რესურსები საერთაშორისო ასპარეზზე <sup>3</sup> და, კერძოდ, მის მზადყოფნაზე, აღმოეჩინა ეკონომიკური დახმარება ყოფილი საოციალისტური ქვეყნებისათვის (Gergen, 1992, p.13). საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე, ისეთ საკითხშიც კი, როგორც იყო საერთაშორისო ვაჭრობა, თავს იჩენდა წინააღმდეგობრივი ტენდენციები, სადაც შედარებით სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან, აშშ ახალი სავაჭრო ბარიერების შექმნით გამოირჩეოდა (The National Election Studies Guide to Public Opinion and Electoral Behavior).

<sup>1</sup> მტკიცება ეფუძნება პრესის ანალიზს: The Washington Post, January, 1989 -- December, 1995; USA Today, January 1989 -- December, 1995.

<sup>2</sup> მტკიცება ეფუძნება პრესის ანალიზს: The Washington Post, January, 1989 -- December, 1995; USA Today, January 1989 -- December, 1995.

<sup>3</sup> მოცემულ პერიოდში, არსებული საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაზე აშშ თავისი მთლიანი ეროვნული პროდუქტის 6%-ს ხარჯავდა.



მეორე მხრივ, მაშინ როდესაც მედიის და საზოგადოებრივი აზრის საერთო ინტერესი საერთაშორისო სისტემის აღწერილი პარამეტრების მიმართ სუსტია, ის კონკრეტული მოვლენები, ანუ ცვლადები, რომლებიც თავისი ინტენსივობით „რადიკალურ“ მნიშვნელობას უახლოვდებიან მაინც იწვევენ მედიის ინტენსიურ გაშუქებასა და საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციას. მართლაც, ორი მსოფლიო ომისა და შემდგომი 40 წლიანი ცივი ომის გამოცდილებამ დაანახა ამერიკელებს, რომ აშშ-ს არ შეუძლია, „დაუსჯელად“ ჩამოსცილდეს საერთაშორისო მოვლენებს და რომ დიდ სახელმწიფოს ყოველთვის დიდი ვალდებულებები აკისრია (Yankelovich, 1992, p.7).

1995-2000 წლების ეკონომიკური აღმავლობის პერიოდს კონგრესის კვლევითი ცენტრის ექსპერტი სტენლი სლოანი ახასიათებს, როგორც „აშშ-ის მიერ თავისი საერთაშორისო ვალდებულებების უგულებელყოფის“ ხანას (Sloan, ციტირებულია: Lindsay, 2000, pp.40-43). მართლაც, 1996 და 2000 საარჩევნო წლებში ამერიკული მოსახლეობა პირველ რიგში ყურადღებას ქვეყნის სოციალურ პრობლემებზე ამახვილებს, რაც, ბუნებრივია, საარჩევნო წლების სპეციფიკით არის განპირობებული (ABC/Washington Post, September, 2000; Gallup, July, 2000); მაგრამ უფრო ფართო კონტექსტში, ზოგადად მცირდება რა კონცენტრაცია სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, საგარეო პოლიტიკის საკითხები მეტი ინტენსივობით შუქდება მედიაში და შედარებით უფრო მეტადაც ექცევა საზოგადოებრივი აზრის თვალსაწიერში.<sup>1</sup> მოცემული პერიოდის მედიაში გამოკვეთილ თემატიკაზე დაყრდნობით, მივიჩნევთ, რომ მედიის „ინტენსიური გაშუქების“ პარამეტრი პირველ რიგში კორელაციაშია და ფაქტიურად წარმოადგენს რეაქციას საერთაშორისო გარემოს ჩვენს მიერ განხილულ ორ ძირითად პარამეტრზე -- „ახალი ეკონომიკური ცენტრების შექმნისა“ და „სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების“ პარამეტრებზე; ანუ იმ პარამეტრებზე, რომელთა შემადგენელი მაღალი ინტენსივობის ცვლადებიც, უშუალო კავშირშია ამერიკული მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

მედიის „ინტენსიური გაშუქების“ და საზოგადოებრივი აზრის „კონსოლიდაციის“ პარამეტრების საგარეო პოლიტიკის სისტემის რეჟიმზე

ზემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ილუსტრაციას, ალბათ, წარმოადგენს კლინტონის ადმინისტრაციის მიერ გატარებული გლობალიზაციის მხარდაჭერის საკმაოდ თანმიმდევრული პოლიტიკა.<sup>2</sup> მეორე მხრივ, აღნიშნულ პერიოდში, როდესაც საზოგადოება ზოგადად კმაყოფილია, როგორც ქვეყნის შიდა სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, ასევე მისი საერთაშორისო სტატუსით, ვითარდება ერთგვარი სოციალური „თვითკმაყოფილების“ სინდრომიც, რომელსაც ბრუკინგის ინსტიტუტის მკვლევარი ჯეიმს ლინდსი „აფატიურ ინტერნაციონალიზმს“ უწოდებს (Lindsay, 2000). საზოგადოებრივი აზრის ამგვარ გაორებას, რომელსაც ჩვენ დავახასიათებდით როგორც მის „გაფანტულობას“, მეორე მხარეც გააჩნია. კერძოდ, იგი ხელს უწყობს გარკვეული ვიწრო, თუმცა ძლიერი ინეტრესების წარმოჩენას, რომლებიც თავისი ინტენსივობის ხარჯზე აღწევენ ზემოქმედების მაღალ ხარისხს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების შედეგებზე.<sup>3</sup>

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრის და მედიის ცვალებადობა, ერთი მხრივ, „კონსოლიდირებისა“ და „ინტენსიური“ გაშუქების პარამეტრების, და მეორე მხრივ, „გაფანტულობისა“ და „წყვეტილი“ გაშუქების პარამეტრების მიხედვით, - სადაც, საერთაშორისო სისტემის და შიდა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლადების რადიკალურობის ხარისხის შესაბამისად, იცვლება მათი ფოკუსირების აქცენტები - განაპირობებს აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირებას ცვალებად რეჟიმში, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან ე.წ. „ინტერნაციონალისტური“ და „განრიდების“ დონეები. აღნიშნული დონეები არ არიან ერთმანეთთან ურთიერთშეკვების „კომპლემენტარულ“ დამოკიდებულებაში.

<sup>1</sup> მტკიცება ეფუძნება პრესის ანალიზს: The Washington Post, January, 1996 -- September, 2002; USA Today, January, 1996 – September 2002

<sup>2</sup> ადმინისტრაცია იღებს ზომებს ვაჭრობისა და ინვესტიციების ბარიერების შესამცირებლად, რომელთა შორისაც ძირითადია „ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA), „ტარიფებსა და ვაჭრობაზე ზოგადი შეთანხმების“ (GATT) ურუგვაის რაუნდის დასრულება, „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ მხარდაჭერა და სხვა.

<sup>3</sup> სწორედ ამგვარ „დეკლარაციული“ ტიპის შედეგებად შეიძლება ჩაითვალოს კლინტონის ადმინისტრაციის საკმაოდ დამყოლი რეაქცია WTO-ს საწინააღმდეგო სიეტლის საპროტესტო აქციებზე, როდესაც კონკრეტული ადგილობრივი ინტერესების „დასამშვიდებლად“ კლინტონმა მოუწოდა საერთაშორისო შრომითი სტანდარტების განმტკიცებისთვის, რაც თავის მხრივ, „უზრუნველყოფილი“ იქნებოდა სავაჭრო სანქციების გზით. ხოლო ამგვარი ტიპის „ოპერაციულ“ შედეგებს განეკუთვნება აშშ-ის საკმაოდ წინააღმდეგობრივი „მეორადი სავაჭრო სანქციები“, რომლებიც ითვალისწინებენ დამსჯელ ზომებს იმ უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ ბიზნესს ირანთან, ლიბიასთან და კუბასთან.

### 2.3.4.3 ინტერესთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები

აშშ-ის პლურალისტურ საზოგადოებაში, შიდაპოლიტიკური სისტემის იდეოლოგიური სტრუქტურის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები, რომელთაც ჩვენ გავაერთიანებთ „სპეციალური ინტერესების“ კატეგორიაში. (ქოჩორაძე, 2005, ბეჭდვის პროცესში.)

აღნიშნული კომპონენტების პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების საშუალებები განსხვავებულია. ინტერესთა ჯგუფები ძირითადად მიმართავენ პირდაპირი ლობირების საშუალებებს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები -- ზემოქმედების არაპირდაპირ, ინტელექტუალურ (გამოკვლევების, კონფერენციების და ა.შ.) საშუალებებს. ორივე შემთხვევაში აღნიშნული ერთეულების მიზანია განაპირობონ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირება რეჟიმში, რომელიც ხელს შეუწყობდა საგარეო პოლიტიკის მათთვის სასურველი კონკრეტული მიზნების მიღწევას. ჩვენ არ შევხებით ლიტერატურაში ჯერ კიდევ მიმდინარე პოლემიკას იმის თაობაზე თუ რამდენად კეთილისმყოფელია სპეციალური ინტერესების ლობირება აშშ-ის პოლიტიკური სისტემისათვის. ავლნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი ფუნქციონირება, პირდაპირ უკავშირდება აშშ-ის ე.წ. „კოოპერაციული ფედერალიზმის“ მოდელის განვითარებას, სადაც „გამჭოლი“ ინტერესები მმართველობის ყველა დონეზე ფიქსირდება. განიხილავენ სპეციალური ინტერესების ისეთ ფუნქციებს, როგორცაა საზოგადოების პოლიტიკური რეპრეზენტაცია, საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, საზოგადოების ინფორმირება და პოლიტიკური ისტებლიშმენტის კადრების აღზრდა. ჩვენ გამოვყოფთ სპეციალური ინტერესების საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედების ფუნქციას, რომელსაც განვიხილავთ, ერთი მხრივ, მათი საზოგადოებრივ აზრზე და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე ზემოქმედების თვალსაზრისით.<sup>1</sup> აღნიშნულ ზემოქმედებას ჩვენ განვიხილავთ „ძლიერი“ - „უსუსტი“ ზემოქმედების წყვილი პარამეტრის შესაბამისად. ამავე დროს

<sup>1</sup> ამავე დროს მივიჩნევთ, რომ უკანასკნელ პერიოდში იზრდება სპეციალური ინტერესების უშუალოდ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ხარისხი, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია მათ მიერ მედიის მზარდი გამოყენებით.

დავუშვებთ, რომ „კლიერი“ ზემოქმედების პარამეტრი დადებით კორელაციაშია საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ და მედიის „წყვეტილი გაშუქების“ პარამეტრებთან. ანუ მივიჩნევთ, რომ საზოგადოებრივი აზრისა და მედიის არაინტენსიური ფოკუსირება საერთაშორისო სისტემის გარკვეულ საკითხზე ქმნის იმ ნეიტრალურ ფონს, რომელიც ხელს უწყობს ამ საკითხებთან მიმართებაში სპეციალური ინტერესების ეფექტურ ზემოქმედებას.

სპეციალური ინტერესების ცვალებადობა „კლიერი“-„სუსტი“ ზემოქმედების წყვეტილი პარამეტრის ღერძზე, მათი „ვიწრო სპეციალიზაციის“ გამო, საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების რეჟიმს საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს, წარმართავს რა მას შესაბამისი კონკრეტული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს, ეს ზემოქმედება ხორციელდება, როგორც საერთაშორისო სისტემის, ასევე შიდაპოლიტიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის პარამეტრებთან ურთიერთქმედებაში. თუმცა ეს ურთიერთქმედებები არ არის ცალსახა და დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული სპეციალური ინტერესის მატარებელი ერთეულის ხასიათზე. მაგალითად, მივიჩნევთ, რომ ისეთ ფართო ჯგუფებს, როგორიცაა ბიზნეს კორპორაციები და, გარკვეულ წილად, ფერმერთა კავშირები გააჩნიათ მკვეთრად გამოსატული პოზიცია სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სავაჭრო დეფიციტის პარამეტრთან მიმართებაში.<sup>1</sup> ამ ჯგუფების ლობი პირდაპირ უკავშირდება აღნიშნული პარამეტრის შეცვლას და განაპირობებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებას რეჟიმში, რომელიც მიმართულია საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტების წამოწევაზე. ბიზნეს ინტერესების „კლიერი“ ზემოქმედების პარამეტრი ასევე კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის „სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების“ პარამეტრთან, რომელიც ასევე განაპირობებს სისტემის ოპერირებას რეჟიმში, რომელიც საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებზეა ფოკუსირებული.<sup>2</sup> „არასტაბილურობის

<sup>1</sup> ამ პოზიციის თანახმად, სავაჭრო დეფიციტი ასახავს უსამართლო კონკურენციას, სადაც უცხოური კომპანიებისთვის ადვილია აშშ-ის შიდა ბაზარზე შეღწევა, ხოლო ამერიკულ კომპანიებს უცხოური მთავრობების მიერ შექმნილი ბარიერები ეღობებათ.

<sup>2</sup> 1992 წელს სწორედ ბიზნესის ლობიმ დაუჭირა მხარი „ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას“ (NAFTA). ბიზნესის ლობის ზემოქმედება აისახა საგარეო დახმარებასთან მიმართებაშიც, როდესაც, მაგალითად, 1993 წლის „საგარეო ოპერაციების ასიგნირებათა აქტში“

ახალი კერების“ და „ახალი საფრთხეების განვითარების“ პარამეტრებს უკავშირდება ასევე სამხედრო ინდუსტრიის „ძლიერი“ ზემოქმედების პარამეტრი, <sup>1</sup> ხოლო „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრს უკავშირდება ისეთი „ეთნიკური“ ინტერესთა ჯგუფების ზემოქმედება, როგორცაა, მაგალითად, „ამერიკელ ებრაელთა კონგრესი“, „ამერიკელ სომეხთა ეროვნული კომიტეტი“, „ახეზაიჯანულ-თურქული ლობი“ და სხვა. ეთნიკური ინტერესთა ჯგუფების საგარეო პოლიტიკის სისტემაზე „ძლიერი“ ზემოქმედების პარამეტრი განაპირობებს სისტემის გამოსავალ ეტაპზე ისეთ დეკლარაციულ თუ ოპერაციულ შედეგებს, როგორცაა რუს ებრაელთა ემიგრაციის საკითხი და მასთან დაკავშირებული „ჯექსონ-ვანიკის“ სავაჭრო შეზღუდვა, საგარეო დახმარება სომხეთისა და მთიანი ყარაბაღისათვის, „თავისუფლების მხარდამჭერი აქტის“ 907-ე შესწორება და სხვა.

ლიტერატურაში არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების გავლენა საგარეო პოლიტიკის სისტემაზე, პირველ რიგში, აღინიშნება სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობის, ანუ ე.წ. „მეორე არხის დიპლომატიის“ ზემოქმედების თვალსაზრისით (Notter and McDonald, 1998). არსებობს ასევე მოსაზრება, რომელიც ამ ორგანიზაციების აქტივობას უკავშირებს ისტებლიშმენტის ორინენტაციას თავდაცვის დაფინანსების გაზრდაზე, რაც იწვევს ამგვარი კურსის როგორც მხარდამჭერთა, ასევე მოწინააღმდეგეთა წარმოქმნასა და აქტიურობას (Watson, 1990).

მიგვაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების წარმოქმნისა და აქტიურობის ხარისხი ძირითადად კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის პარამეტრების შემადგენელი ცვლადების „რადიკალიზმის“ ხარისხთან. შესაბამისად, ამ ორგანიზაციების ზემოქმედება საგარეო პოლიტიკის სისტემაზე უკავშირდება საერთაშორისო სისტემის აღწერილ

დიდწილად იყო გათვალისწინებული ეკონომიკური ხელშეწყობის პროგრამები. იგივე ლობის მნიშვნელოვანი წაქეზებით მუშაობდნენ ასევე 1997 წელს სახელმწიფო და კომერციის დეპარტამენტები „ინვესტირების მრავალმხრივი შეთანხმების“ (MAI) მიღწევისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა ინვესტირების ხელშეწყობ პირობებს ამერიკული კომპანიებისათვის.

<sup>1</sup> მაგალითად, სამხედრო კორპორაციების (Lockheed Martin, Textron, Raytheon, Northrop Grumman, etc.) თანადგომით ხორციელდება პრეზიდენტ კლინტონის „ნატო“-ს აღმოსავლეთით გაფართოების ინიციატივა; იგივე კონტექსტში ხორციელდება თანამშრომლობა სამხედრო კომპანიებსა და ეთნიკური ინტერესების გამომხატველ ჯგუფებს შორის, როგორცაა „პოლონელი ამერიკელების“, „უნგრელი ამერიკელების“ და „ჩეხი ამერიკელების“ ორგანიზაციები.

პარამეტრებს, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებთ „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრს. არასამთავრობო ორგანიზაციები და ანალიტიკური ცენტრები, რომლებიც მუშაობენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე (მაგ. აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტი, კარნეგის მშვიდობის საერთაშორისო ფონდი, ღია საზოგადოება - სოროსის ფონდი და მრავალი სხვა) წარმატებით ეწევიან პოსტ-კომუნისტურ სივრცეში სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი მეწარმეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების და დემოკრატიული აღმშენებლობის სხვა ამოცანების მხარდამჭერი პოლიტიკური კურსის ლობირებას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალურ დონეზე, ხელისუფლება იჩენს უადრეს სიფრთხილეს, რათა არ გახდეს რომელიმე ერთი ინტერესის გამომხატველი ჯგუფის ზემოქმედების ობიექტი (Taft, 2000) და ცდილობს ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების მაქსიმალურად ფართო სპექტრთან, რაც თავის მხრივ, ამცირებს თითოეული მათგანის საგარეო პოლიტიკის სისტემაზე ზემოქმედების ხარისხს. თუმცა სპეციალური ინტერესების საგარეო პოლიტიკის სისტემაზე ზემოქმედებისას, ძირითად წინააღმდეგობას ქმნის თვით საერთაშორისო სისტემის თუ შიდაპოლიტიკური სისტემის კონკრეტული მოვლენებით განპირობებული შიდა დაპირისპირებები, რომლებიც პირველ რიგში წარმოიქმნება განსხვავებული ხასიათის ინტერესთა ჯგუფებს შორის <sup>1</sup> და, ნაკლები ხარისხით, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ანალიტიკურ ცენტრებს შორის. ინტერესთა ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობა ასევე შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივი აზრისა და მედიის საერთო განწყობებს, მაგრამ როგორც უკვე ავლინებთ, ამ უკანასკნელთა მაღალი „კონსოლიდაციისა“ და „ინტენსიური“ გაშუქების პარამეტრების შემთხვევაში, სპეციალური ინტერესების ზემოქმედების ინტენსიურობა უკუპროპორციულად კლებულობს და იგი აღარ განიხილება ჩვენს მიერ, როგორც სისტემის ოპერირების რეჟიმის განმსაზღვრელი ფაქტორი.

#### 2.3.4.4 პოლიტიკური ისტებლიშმენტი

<sup>1</sup> მაგალითად, ბიზნეს კორპორაციებსა (Business Roundtable; National Federation of Independent Businesses) და მშრომელთა პროფესიულ კავშირებს (AFL-CIO) შორის.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის, როგორც იდეოლოგიური სტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, ფუნქციონირების ანალიზი ლიტერატურაში ძირითადად ხორციელდება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ურთიერთქმედების ჭრილში. არსებული ანალიზის ქვაკუთხედს წარმოადგენს დილემა დემოკრატიულ მმართველობასა და მკაფიო საგარეო პოლიტიკის განხორციელებას შორის, რომელზედაც ჯერ კიდევ ალექსის დე ტოკვეილმა შეაჩერა ყურადღება (de Tocqueville, 1994, pp.80-90). ჩვენი კვლევის მიზნების შესაბამისად, პოლიტიკური ისტებლიშმენტის კატეგორიაში მოვიანებთ სამ ჯგუფს -- პრეზიდენტის ადმინისტრაციას; სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტებს; და წარმომადგენელთა პალატისა და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებს -- რომელთა შორის ურთიერთქმედებაც ვიტყვით, რომ საბოლოო ჯამში ალბათ დაიყვანება კონტროლის განხორციელებისათვის ბრძოლაზე. ჩვენი მოდელის ფარგლებში, აღნიშნული ურთიერთქმედება განხილულია საერთაშორისო სისტემისა და შიდა-პოლიტიკური გარემოს პარამეტრების ზემოქმედების თვალსაზრისით, რაც ჩვენი აზრით, წარმოაჩენს ამგვარი ურთიერთქმედების სიღრმისეულ ფაქტორებს. ისტებლიშმენტის შიგნით ჩამოყალიბებულ ფორმალურ ფუნქციონალურ ურთიერთობებს ჩვენ განვიხილავთ როგორც შედარებით მუდმივ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ფორმალურ არხებს, მაგრამ ვერ ახდენს არსებით ზეგავლენას მის შედეგებზე. გამოვეყოფთ ისტებლიშმენტის ოპერირების არაფორმალურ ფუნქციონალურ ურთიერთქმედებებს, რომელთა პარამეტრებსაც გააჩნიათ არსებითი უნარი ზემოქმედება მოახდინონ სისტემის ოპერირების შედეგებზე. ამგვარ ურთიერთქმედებებს ჩვენ განვიხილავთ წყვილი „თანამშრომლობა-გამიჯნულობის“ პარამეტრების მიხედვით. „თანამშრომლობის“ პარამეტრად მივიჩნევთ ურთიერთქმედების პროცესს, სადაც შემადგენელი ცვლადების (ანუ მოვლენების) ჯამური ქმედება განსაზღვრავს უწყებების კოორდინირებულ მოქმედებას საერთო მიზნის მისაღწევად. „გამიჯნულობის“ პარამეტრად მივიჩნევთ ურთიერთქმედებათა პროცესს, სადაც შემადგენელი ცვლადების ჯამური ქმედება განსაზღვრავს არაკოორდინირებულ მოქმედებას, საერთო მიზნის საზიანოდ. ამავე დროს,

კონკრეტული ცვლადები, რომლებიც განსაზღვრავენ უწყებების ოპერირებას „თანამშრომლობა-გამიჯნულობის“ ღერძზე კავშირში არიან აღნიშნული უწყებების „ორგანიზაციულ კულტურასა“ და წამყვანი პერსონალების ინდივიდუალურ თვისებებთან.

განხილული პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ნეგატიური პარამეტრების კონტექსტში, საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირველ პირებს შორის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე თანამშრომლობა დომინირებს. აღნიშნული გარემოება დიდწილად განისაზღვრება დიდი ხნის პირადი და საქმიანი კონტაქტებით, რომლებიც აკავშირებდა პრეზიდენტ ბუშს თავისი კაბინეტის წამყვან წევრებთან, ისევე როგორც თვით პრეზიდენტის პერსონით, რომლისთვისაც, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკა პრიორიტეტული იყო. თუმცა საგარეო პოლიტიკის მესვეურების მუშაობის ამგვარ მოდელს, ჩვენ პირველ რიგში ვხსნით საერთაშორისო სისტემის ცვლადების “რადიკალური” ხასიათით, რომლებიც თავისი ძლიერი ზემოქმედებით იწვევენ ხელმძღვანელი პირების დაახლოებას „თანამშრომლობის“ პარამეტრზე.<sup>1</sup> მეორე მხრივ, ცნობილია, რომ სახელმწიფო მდივანი ბეიკერი სისტემატურად უგულებელყოფდა სახელმწიფო დეპარტამენტის აპარატს. მისი ამგვარი პოზიცია სახელმწიფო დეპარტამენტის პროფესიონალების უკმაყოფილებას იწვევდა და, საბოლოო ჯამში, მის ქმედითობაზე აისახებოდა. ამგვარი შიდაუწყებრივი წინააღმდეგობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „გამიჯვნის“ პარამეტრის პროექცირება, რომელიც რეალურად ასახავს დაპირისპირებას პრეზიდენტის ოფისსა და სახელმწიფო დეპარტამენტის აპარატს შორის. ეს დაპირისპირება, პირველ რიგში, შეიძლება განვიხილოთ პარტიული დაპირისპირების პარამეტრთან კორელაციაში, სადაც თავს იჩენს იდეოლოგიური დაპირისპირება რესპუბლიკელ პრეზიდენტსა და სახელმწიფო დეპარტამენტის, ტრადიციულად, უფრო დემოკრატიულად ორიენტირებულ მოხელეებს შორის, რომელთა დაფინანსებაც, ამავე დროს, ბევრად ჩამორჩებოდა

<sup>1</sup> ამავე დროს, ამგვარ მოდელს ჩვენ არ გავაიგივებთ ლიტერატურაში ცნობილ „იერარქიულ“ ან „კონსენსუსის“ მოდელებთან, ვინაიდან აქ არ დაიკვირვება არც მკაცრი იერარქიული თანამშრომლობა, როგორც ეს, მაგალითად, დამახასიათებელი იყო ჰარი ტრუმენის ადმინისტრაციისთვის, და არც იძულებითო კონსენსუსი, როგორც ეს დამახასიათებელი იყო ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციისთვის.



სხვა დეპარტამენტების დაფინანსებას.<sup>1</sup> თუმცა დაპირისპირება არსებობდა თეთრ სახლსა და პენტაგონის სამხედრო სპეციალისტებს შორისაც, რომლებიც უაღრესად შეშფოთებულნი იყვნენ საბრძოლო არსენალების შემცირების ბუშის ინიციატივების გამო.<sup>2</sup> „გამიჯვნის“ პარამეტრი „მუშაობს“ ასევე სამხედრო უწყების ხელმძღვანელობასა და აპარატს შორის, სადაც უკვე პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის თავდაცვის მდივანი ლეს ასპინი მხარს უჭერს ევროპაში აშშ შეიარაღების შემცირებას, „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ (SDI) პროგრამის გაუქმებას, და მთლიანად თავდაცვის ბიუჯეტის შეკვეცას, რაც სამხედრო ბიუროკრატის უკმაყოფილებას იწვევს. მორე მხრივ, კლინტონის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი ენტონი ლეიკი<sup>3</sup> კოლეგიალურ ურთიერთობებს ინარჩუნებს სახელმწიფო მდივან უორენ კრისტოფერთან და მაქსიმალურად თავს არიდებს უწყებათაშორისი ურთიერთობების ნიქსონისეულ მოდელს.<sup>4</sup> მაგრამ, სახელმწიფო დეპარტამენტის ბევრი პროფესიონალისთვის კრისტოფერი, მხოლოდ-და-მხოლოდ პრეზიდენტის სუროგატია, რომელიც, თავის მხრივ, ვერ ატარებს თანმიმდევრულ საგარეო პოლიტიკას.<sup>5</sup> ამასთან მიმართებით, პრესა პირდაპირ წერს სახელმწიფო დეპარტამენტის სამუშაო სულისკვეთების დაცემის თაობაზე (The Washington Post, June, 1994). ანალოგიურად წინა პრეზიდენტის ადმინისტრაციისა, გამიჯვნა საგარეო პოლიტიკის აპარატის პირველ პირსა და აპარატის ბიუროკრატებს შორის, ასევე წარმოადგენს იმ გამიჯვნის პროექციას, რომელიც წარმოიქმნა თეთრ სახლსა და აპარატის ბიუროკრატებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ აქ ვერ შევძლებთ საუბარს რაიმე გამოსატყუალ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე.

<sup>1</sup> 1989 წ. სახელმწიფო დეპარტამენტის ფონდები შეადგენდა თავდაცვის სფეროში გამოყოფილი ფონდების 1%-ზე ნაკლებს.

<sup>2</sup> ამ ინიციატივების ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოსატყულებას წარმოადგენდა გახმაურებული მაღლის სამიტი, რომელიც START -ის ფარგლებში ორი სუპერსახელმწიფოს სამხედრო არსენალს 50%-ით ამცირებდა.

<sup>3</sup> ლეიკი თავის დროზე მუშაობდა ჰენრი კისინჯერის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში.

<sup>4</sup> თანამშრომლობა განსაკუთრებით გამოიკვეთა ისეთ საკითხებში, როგორც იყო ბოსნია, ჰაიტი და სომალი.

<sup>5</sup> სახელმწიფო დეპარტამენტის პროფესიონალები, კერძოდ, გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, ჩინეთისა და გაეროს მიმართ წარმოებული პოლიტიკის ცვალებადობის თაობაზე.

დაპირისპირებას თეთრ სახლსა და საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტის აპარატს შორის განვიხილავთ საერთაშორისო სისტემის იმ რადიკალურ ცვლადებთან და პარამეტრებთან მიმართებაში, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემის „მოუწესრიგებლობის“ და „არასტაბილურობის“ მახასიათებლებს. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული პარამეტრები არღვევდნენ რა საგარეო პოლიტიკის გარკვეულ ორიენტირებს, ამავე დროს, ავიწროვებდნენ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ისტებლიშმენტის მონაწილეთა წრეს.

საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე, ბიუროკრატიულ აპარატსა და მის ლიდერებს შორის „გამიჯვნის“ პარამეტრის მოქმედებამ კულმინაციას მიაღწია 1995 წელს, როდესაც სახელმწიფო მდივანი კრისტოფერი და ვიცე პრეზიდენტი ალ გორი, „მთავრობის რეორგანიზაციის“ პროგრამის ფარგლებში, გამოვიდნენ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სამი დიდი უწყების - საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AID), შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების სააგენტოს (ACDA) და აშშ საინფორმაციო სააგენტოს (USIA) სახელმწიფო დეპარტამენტთან მიერთების ინიციატივით. ინიციატივას, თავის მხრივ, აქეზებდა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის რესპუბლიკელი თავმჯდომარე ჯესი ჰელმსი (Congressional Quarterly Almanac, 1995, pp.3-9).

საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ბიუროკრატიული აპარატის ნაკლებ ეფექტურობა მისი ლიდერების პირისპირ, ისეთ საერთაშორისო კონტექსტში, სადაც საერთაშორისო სისტემის ცვლადები „რადიკალურ“ მნიშვნელობას უახლოვდებიან, ასევე შეიძლება აიხსნას თვით ბიუროკრატიული ორგანიზაციის თეორიის მეშვეობითაც. კერძოდ, ჯეიმს უილსონის „წარმატებულობის პრინციპების“ თანახმად, ორგანიზაცია წარმატებულია თუკი მას შეუძლია: 1. გადაწყვიტოს, თუ როგორ გადაჭრას თავისი კრიტიკული ამოცანები; 2. მიაღწიოს შიდა კონსენსუსს ამ კრიტიკული ამოცანების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით; 3. მიაღწიოს მოქმედების თავისუფლებასა და გარეშე პოლიტიკურ მხარდაჭერას მოცემული ამოცანების ახლებურად განსაზღვრისათვის (Wilson, 1989). მიგვაჩნია, რომ როდესაც საგარეო პოლიტიკის აპარატი ოპერირებს საერთაშორისო გარემოში, სადაც შემადგენელი ცვლადები „რადიკალური“ მნიშვნელობისაა, ზემოთ აღნიშნული პრინციპები თითქმის მიუწვდომელი ხდება. აქვე გასათვალისწინებელია საგარეო

პოლიტიკის აპარატის ბიუროკრატიული კულტურა, რომლისთვისაც სოციოლოგი რობერტ მერტონის თანახმად, დამახასიათებელია „მიზნების წანაცვლება“ - ანუ გარკვეული შიდაუწყებრივი პროცედურების სწორი შესრულების პრიორიტეტულობა არსებით მიზნებთან შედარებით (Merton, 1952, pp.361-71). ამგვარი შიდაორგანიზაციული კულტურა განსაკუთრებით აკნინებს ბიუროკრატიული აპარატის, და პირველ რიგში, სახელმწიფო დეპარტამენტის როლს საერთაშორისო სისტემის რადიკალური ცვლადების კონტექსტში, სადაც სწრაფი და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ვინაიდან საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი აპარატი ძირითადად ფუნქციონირებს ისეთ შიდაპოლიტიკურ გარემოში, რომლისთვისაც არ არის დამახასიათებელი საზოგადოებრივი აზრის საერთაშორისო მოვლენებზე ხანგძლივი ფოკუსირება, ცალკეულმა „სპეციალურმა ინტერესებმა“ შეიძლება ზემოქმედების საკმაოდ ინტენსიურ ხარისხს მიაღწიონ. ამდენად, როგორც ადმინისტრაციის, ასევე კონგრესის საგარეო ურთიერთობების კომიტეტების მხრიდან აპარატისადმი „ფრთხილ“ დამოკიდებულებას განვიხილავთ კორელაციაში „საზოგადოებრივი აზრის გაფანტულობისა“ და „სპეციალურ ინტერესთა ინტენსიური ზემოქმედების“ პარამეტრებთან.

რა რეჟიმში რეაგირებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემა საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ისტებლიშმენტის ოპერირების მოდელზე, სადაც მოქმედებს „თანამშრომლობის“ პარამეტრი ისტებლიშმენტის სამი კომპონენტის - თეთრი სახლის, კონგრესის კომიტეტების და საგარეო პოლიტიკის უწყებების - ლიდერებს შორის, მაგრამ მოქმედებს „გამიჯვნის“ პარამეტრი აღნიშნულ ლიდერებსა და საგარეო პოლიტიკის აპარატის ბიუროკრატის შორის?

შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ განხილული პერიოდის საერთაშორისო სისტემის მოვლენათა კონტექსტში, საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ისტებლიშმენტის ლიდერები, რომლებიც პრინციპში მოკლებულნი არიან დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალ ბიუროკრატიულ აპარატთან ნაყოფიერ თანამშრომლობას, საერთაშორისო სისტემის ყოველ ინდივიდუალურ მოვლენაზე საპასუხოდ, ატარებენ ინდივიდუალურ პოლიტიკურ კურსს. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის სისტემა ყოველი ცალკეული მოვლენის

პირისპირ, ოპერირებს ინდივიდუალურ რეჟიმში, რომელიც მოკლებულია სისტემურ ხასიათს. ოპერირების ამგვარი რეჟიმი, ძირითადად რეაქტიული ხასიათისაა.

კერძოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, ამგვარი რეჟიმი სისტემის გამოსავალ ეტაპზე ძირითადად უზრუნველყოფს „დეკლარაციული“ ტიპის შედეგებს, სადაც ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებულია აშშ-ის ეროვნული ინტერესებისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის სტაბილური, დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული განვითარების მნიშვნელობა, მაგრამ არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა ტიპის და რა მოცულობის უნდა იყოს აშშ-ის დახმარება ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად (Hill, 2001). როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ამ მიმართებით, სისტემის გამოსავალი ეტაპის ერთ-ერთ ყველაზე ხელშესახებ შედეგს წარმოადგენდა „თავისუფლების მხარდაჭერის აქტი“, რომლის ახერბაიჯანისადმი დახმარების შეზღუდვის ცნობილმა 907-ე მუხლმა კარგად წარმოაჩინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ამგვარი არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგები. ამავე დროს, დაპირისპირება თეთრ სახლსა და საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ აპარატს შორის უშუალოდ აისახა თვით „აქტის“ შემუშავების პროცესზე (Congress and Foreign Policy:1992, U.S. House of Representatives, 203<sup>rd</sup> Congress, p.20).

საერთაშორისო სისტემაში, სადაც ცვლადები ნაკლებ „რადიკალურები“ არიან, იცვლება საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი აპარატის ოპერირების მოდელი. მნიშვნელოვნად იზრდება აპარატის შესაძლებლობა თავად განსაზღვროს საკუთარი კრიტიკული ამოცანები (უილსონის პრინციპების თანახმად). შესაბამისად იზრდება მისი როლი საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ჩვენს მიერ განხილულ აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, საერთაშორისო სისტემის ცვლადები საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტზე ზემოქმედებენ შიდაპოლიტიკური სტრუქტურის ცვლადებთან უნისონში. კერძოდ, ცივი ომის დასრულებისა და სპარსეთის ყურეს ომის წარმატებით განხორციელების შემდეგ, დაძლეულ იქნა ე.წ. „ვიეტნამის პარადიგმასთან“ დაკავშირებული დემოკრატიული პარტიის შიდა განხეთქილება. აღნიშნული მოვლენა შიდაპოლიტიკური სისტემის იდეოლოგიური სტრუქტურის ცვლილია, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დემოკრატიულად ორიენტირებული

ბიუროკრატიული აპარატისა და დემოკრატი ლიდერების დაახლოებას. სწორედ ამგვარ დაახლოებაზე საუბრობდა 1997 წ. სახელმწიფო მდივანი ვ. კრისტოფერი, როდესაც აცხადებდა ისტებლიშმენტის შიგნით პასუხისმგებლობის დელეგირების შესახებ (Christopher, 1997). საგარეო პოლიტიკის აპარატის შიგნით დაახლოების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სრული თანხმობა ერთი მხრივ პრეზიდენტს, სახელმწიფო მდივანს და თავდაცვის მდივანს შორის, და მეორე მხრივ, საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატის შორის 1999 წლისათვის „ნატო“ -ს გაფართოების საკითხებზე.<sup>1</sup> მოცემულ პერიოდში ასევე უკეთესი თანამშრომლობა ვითარდება კლინტონის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველებს ანტონი ლეიკს და შემდგომ სამუელ (სემ) ბერგერსა და საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ აპარატს შორის. თუმცა აქ უკვე გასათვალისწინებელია ინდივიდუალური ფაქტორებიც, ვინაიდან ორივე ლიდერს ახასიათებს გამოსატყუი ლოიალობა სახელმწიფო დეპარტამენტის (მათი წინა სამსახურის) მიმართ და ორივე ცდილობს ხელი შეუწყოს დემოკრატიული პარტიის მემარცხენე და მემარჯვენე ფრთების დაახლოებას. დემოკრატი ერთიანი ფრონტის განმტკიცებას ასევე ცდილობს სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი (The Almanac of American Politics, 1994, p.25).

ბიუროკრატიულ აპარატთან თანამშრომლობის გაუმჯობესების პარალელურად, გამოიკვეთება საპირისპირო ტენდენციაც, კერძოდ ურთიერთობების განვითარება „გამიჯვნის“ პარამეტრზე გასაგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ლიდერებს შორის. ამ პარამეტრის ამოქმედება გამოიკვეთა, მაგალითად, ერთი მხრივ, სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტს და თავდაცვის მდივან უილიამ პერისა და, მეორე მხრივ, კონგრესის ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერს, სენატის სამხედრო სამსახურის კომიტეტის თავჯდომარეს სემ ნანს შორის. დაპირისპირება ვითარდება „ნატო“ -ს გაფართოების იმავე საკითხზე.<sup>2</sup> როგორც ზემოთაც ავლნიშნეთ, დაპირისპირება პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და კონგრესის ლიდერებს შორის მნიშვნელოვნად იზრდება პარტიული ნიშნით, 1995 წლის

<sup>1</sup> თუმცა, „ნატო“ -ს გაფართოების აქტიური მოწინააღმდეგე იყო აშშ-ის ყოფილი ელჩი მოსკოვში ჯეკ მეტლოკი, რომელიც მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ინიციატივა რუსეთში აგრესიული ძალების აღზევებას გამოიწვევდა.

<sup>2</sup> წამყვანი დემოკრატი სენატორის პოზიცია ითვალისწინებს „ნატო“ -ს გაფართოების „მიბმას“ „ევროკავშირის“ გაფართოებაზე, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ აღქმულია, როგორ „ევროპა-ევროპისათვის“ ტიპის მიკერძოებული პოზიცია.

რესპუბლიკური კონგრესის მოსვლისა და ნიუტ გინგრიჩის პროგრამული დოკუმენტის „კონტრაქტი ამერიკასთან“ მიღების შემდეგ, სადაც „ნატო“-ს საკითხი აღნიშნული წინააღმდეგობების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ხდება. დახმარება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი თეთრ სახლსა და კონგრესის ლიდერებს შორის ასევე დაპირისპირების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს (Congressional Quarterly Weekly, 1999, July 10, pp. 1664-65).

მკვეთრ გამოიხატეს თეთრ სახლსა და კონგრესის ლიდერებს შორის ანალიტიკოსები ხშირად ხსნიან თვით რესპუბლიკური პარტიის შიდა უთანხმოებებით, ისევე როგორც რესპუბლიკელების ახალი სახეებით, რომლებიც აგრესიულად ცდილობენ საკუთარი „დღის წესრიგის“ გატარებას (Congressional Quarterly Weekly, November 28, 1998, p. 3203). დავასახელებთ აგრეთვე მნიშვნელოვან ინდივიდუალურ ფაქტორსაც, როგორც იყო სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარის, ჯესი ჰელმსის, წინააღმდეგობრივ ფიგურა. თუმცა ლიდერებს შორის „გამიჯვნის“ მოცემული პარამეტრის ამოქმედების ძირითად პირობად ჩვენ ისევ და ისევ საერთაშორისო სისტემის ცვლადების შედარებით ნაკლებ რადიკალურობას მივიჩნევთ.

რა რეჟიმში რეაგირებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემა საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ისტებლიშმენტის ოპერირების მოდელზე, სადაც, ერთი მხრივ, მოქმედებს „თანამშრომლობის“ პარამეტრი საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ლიდერებსა და აპარატის ბიუროკრატებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, მოქმედებს „გამიჯვნის“ პარამეტრი თვით ამ ლიდერებს შორის? შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ განხილული პერიოდის საერთაშორისო სისტემის მოვლენათა კონტექსტში, საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე ჩამოყალიბებული პოლიტიკა, შედარებით წინარე განხილულ პერიოდთან, უფრო მეტად ოპერაციული ბუნებისაა, თუმცა ხასიათდება მერყეობის მეტი ხარისხით. შესაძლებელია მტკიცება, რომ ამ ორი სიბრტყის გადაკვეთაზე მიღებული პოლიტიკა თავისი შედეგებით, ნაკლებ სასიკეთოა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის „ობიექტი“ სახელმწიფოს გრძელვადიანი ინტერესებისთვის, არამედ, თვით აშშ-ის გრძელვადიანი ეროვნული ინტერესებისთვისაც.

ამგვარი ცვალებადი პოლიტიკის ნაკლებ სასურველი შედეგების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების“ (CFE) ხელშეკრულება, რომელმაც რიგი ტრანსფორმაციების შემდეგ, ე.წ. „საფლანგო დოკუმენტის“ ძალით, საბოლოოდ დაუშვა შეიარაღების გადანაწილება რუსეთისათვის კრიტიკულ ზონებში (კერძოდ, ჩრდილო კავკასიაში) (Flank Document Agreement to the Conventional Forces in Europe Treaty). დოკუმენტის მიღების პროცესში სწორედ რომ გამოვლინდა ურთიერთქმედება საერთაშორისო სისტემის ცვლადს - რუსეთის ხისტი პოზიციის ცვლადს - და აშშ-ის შიდაპოლიტიკური სისტემის ცვლადს - საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ლიდერების განსხვავებული პოზიციების ცვლადს - შორის.<sup>1</sup> ზოგადად, ისტებლიშმენტის პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ერთი მხრივ კომპრომისული იყო, ხოლო მეორე მხრივ, კვლავ „შეკავების პოლიტიკის“ რაციონალს ეფუძნებოდა, რაც, შესაბამისად, იწვევდა ობიექტი სახელმწიფოს არაერთმნიშვნელოვან რეაგირებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ საგარეო პოლიტიკის შინაგანი წინააღმდეგობრიობა, რომელიც სხვა ფაქტორებს შორის, გამოწვეულია საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ისტებლიშმენტის შიდა წინააღმდეგობრიობით, თავისი არსით, საბოლოო ჯამში, სპეციფიურია ამერიკული დემოკრატიული მმართველობისათვის, რომელიც გაცილებით უფრო რთული პროცესის მეშვეობით ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, ვიდრე ნებისმიერი ავტორიტარული რეჟიმი, ან თუნდაც საპარლამენტო რესპუბლიკა.

\*\*\*\*\*

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ როდესაც აღწერილმა საერთაშორისო სისტემამ გააფართოვა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობები, აშშ-ის შიდა პოლიტიკურმა სისტემამ -- სადაც გადაჯაჭვულია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი განწყობების, პარტიული ორიენტაციების, ხელისუფლების შტოების და პოლიტიკური ლიდერების ურთიერთქმედების ფაქტორები და, მეორე მხრივ, მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

<sup>1</sup> ისტებლიშმენტის ლიდერების მხრიდან განუსაზღვრელი იყო აგრეთვე პოზიცია რუსეთის ახალი პრეზიდენტის ვ. პუტინის მიმართაც, სადაც, ერთი მხრივ, გამოხდნენ პუტინის პოლიტიკას ჩეხეთში, ხოლო, მეორე მხრივ, წამოსწევდნენ მის „ლიბერალი რეფორმატორის“ იმიჯს. (CQ Weekly, January 8, 2000, p. 58)

-- იგი საგრძნობლად შეზღუდა. ზემოთ განხილული პარამეტრებით განპირობებული საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების განსხვავებული რეჟიმები, რომლებიც სისტემის დინამიკაში, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან, ან პირუკუ ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს, სისტემის გამოსავალზე, ყოველი კონკრეტული „ობიექტი“ სახელმწიფოს მიმართ, განსაზღვრავენ როგორც პოლიტიკის ზოგად ფართო კურსს, ასევე უფრო კონკრეტულ ოპერაციულ თუ დეკლარაციულ შედეგებს. როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული შედეგები კვლავ უბრუნდებიან საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების გარემოს და წარმოქმნიან სისტემის შესავალზე არსებულ ცვლადებს.



### თავი III

## აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან მიმართებაში

წინამდებარე თავის მიზანია ვუჩვენოთ ჩვენს მიერ განხილული აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირება დროის მოცემულ მონაკვეთში კონკრეტული „ობიექტი“ სახელმწიფოს -- საქართველოს მიმართ. ამავე დროს, თუ მეორე თავში, სადაც შევეცადეთ გაგვეანალიზებინა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი, ძირითადად ვეყრდნობოდით ჩვენი მოდელის შემეცნებით-ანალიტიკურ ფუნქციას, მოცემულ თავში, აღნიშნულ ფუნქციასთან ერთად, დავეყრდნობით პროგნოსტულ-ანალიტიკურ ფუნქციასაც, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, გავაანალიზოთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთი გარკვეული საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბების პროცესი და, მეორე მხრივ, განვსაზღვროთ მოცემულ საკითხზე -- და უფრო სწორედ მის დროსთან ადაპტირებულ ვარიაციაზე -- აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განვითარების შესაძლო მიმართულებები. კერძოდ, ჩვენი მოდელი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ, თუ როგორ აისახება საერთაშორისო გარემოსა და აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს გამოყოფილ პარამეტრებზე (Y) საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გარკვეული პარამეტრი და მისი შემადგენელი ცვლადები (X). ამგვარი ასახვის შედეგებს ჩვენ უკვე განვიხილავთ, როგორც (Y) პარამეტრების ახალ ცვლადებს (YX), რომლებიც შესაბამის ზეგავლენას ახდენენ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემაზე.

დროის პერიოდში, რომელშიც განვიხილავთ ჩვენი მოდელის ფუნქციონირებას და რომელიც ამავედროულად კრიტიკულია თავად საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების თვსალსაზრისით, გამოვეყოფთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ძირითად პარამეტრებს: „საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფა“ და „საქართველოს

შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.“ „საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფის“ პარამეტრზე, თავის მხრივ, გამოყოფთ ორ უმნიშვნელოვანეს ცვლადს - „საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრებას;“ ხოლო „საქართველოს შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ პარამეტრზე გამოყოფთ სამ უმნიშვნელოვანეს ცვლადს -- „საქართველოს შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობას,“ „საქართველოს პოლიტიკურ-ეთნიკურ კონფლიქტებს“ და „საქართველოს ურთიერთობებს რეგიონალურ სახელმწიფოებთან.“ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პარამეტრები და მათი შემადგენელი ცვლადები ყველაზე მნიშვნელოვანია აშშ-ის ეროვნულ ინტერესებთან მიმართებაში, გამომდინარე იმ ზოგადი კონტექსტის მნიშვნელობიდან, რომელიც მოიცავს: სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ და სამხედრო სტაბილურობას; რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და იდეოლოგიურ ორიენტაციას; და რეგიონის შიდა და გარე პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების განვითარებას (Odom and Dujarric, 1995, pp.2-3, p.81; უტიაშვილი, 2000, გვ.37-60).

ამ ნაშრომში, მოდელის ილუსტრაციის მიზნით, ჩვენ გაგვანალიზებთ მხოლოდ პირველ ცვლადს - „საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის,“ რომლის ასახვაც საერთაშორისო გარემოსა და აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს გამოყოფილ პარამეტრებზე უადრესად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა და ამავე დროს შეიცავდა ნიშანდობლივ მინიშნებებს, როგორც არსებული გლობალური პოლიტიკური რეჟიმის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თვალსაზრისით.

### 3.1 „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი

#### 3.1.1 „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის ურთიერთქმედებები საერთაშორისო გარემოს შრეზე

„საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას“ განვიხილავთ, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის გარემოში გამოყოფილ „ობიექტი სახელმწიფოს“ შრის ცვლადს, რომელიც პირველ რიგში, ურთიერთქმედებაში შედის საერთაშორისო გარემოს იმ პარამეტრებთან და ცვლადებთან, რომლებიც,

თავის მხრივ, შეადგენენ საერთაშორისო გარემოს „არასტაბილურობის“ და „მოუწესრიგებლობის“ მახასიათებლებს. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, ეს არის „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრი და მისი შესაბამისი ცვლადები. საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, „კომუნიზმის დამარცხების“ აღნიშნული პარამეტრის ცვლადებს შორის, პირველ რიგში, გამოვყოფთ „ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას“, „საბჭოთა კავშირის ცენტრალური მთავრობის მიერ ახალი საკავშირო ხელშეკრულების გაფორმების მცდელობას“ და „პუტჩის ჩავარდნას“. ვთვლით, რომ აღნიშნული სამი ცვლადი წარმოადგენს საბჭოთა კავშირში კომუნიზმის დამარცხების პარამეტრის განსხვავებულ ასპექტებს. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო გარემოს შრეზე „საქარველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის ურთიერთქმედება აღნიშნულ ცვლადებთან მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ფორმირებას.

### 3.1.1.1 ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა

1990 წ. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორც ცნობილია, ფართო საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა და თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აშშ-ს ოფიციალურად არც არასოდეს უღიარებია ბალტიისპირეთის იძულებითი გაერთიანება საბჭოთა კავშირში, ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე აღნიშნული ფაქტორი შეიძენდა „რადიკალური“ ცვლადის მნიშვნელობას, რომელიც სისტემის გამოსავალ ეტაპზე მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა ყველა შესაბამის მოთამაშესთან მიმართებაში. ჩვენ ვაკეთებთ საპირისპირო დასკვნას შემდეგ მსჯელობაზე დაყრდნობით.

1990 წ. ჟურნალი „კონგრესენალ კვორტერლი“ წერდა, რომ ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას ადგილი ჰქონდა ერთობ უხერხულ დროს როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ასევე თავად დასავლეთისთვის (Congressional Quarterly, April 7, 1990). მართლაც, ლიტვის მოთხოვნამ წარმოაჩინა გორბაჩოვის მთავრობის შიდა სირთულეები, ბუშისთვის კი, რომელიც მხარს უჭერდა გორბაჩოვის რეფორმებს, ამ უკანასკნელის პოლიტიკურ წარმატებას დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარი შიდაპოლიტიკური პოზიციების გასამტკიცებლად. არსებობდა მოსაზრებაც, რომ გორბაჩოვის ინტერესების გათვალისწინებით, ბუში იმისთვისაც კი იყო მზად, რომ დაეთმო ლიტვის დამოუკიდებლობა ( Pipes, Hearing before the U.S. Senate Subcommittee on European Affairs, 1991, p.42). კერძოდ, მოსკოვის და ლიტვის დაპირისპირების თაობაზე, ბუში აცხადებდა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა არ იყო მიმართული გორბაჩოვსა და ლანდსბერგის შორის არჩევანის გაკეთებაზე; აშშ მხარს უჭერდა ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ მისთვის უპირველესი მნიშვნელობა ამ პროცესის მშვიდობიან წარმართვას ჰქონდა. იგივე პოზიცია ჩამოაყალიბა ბუშმა ლატვიის დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესის მიმართაც; აშშ-ის მთავრობის ერთადერთი რჩევა იქნებოდა დიალოგის წარმართვა მოსკოვთან, რომელშიც აშშ ვერ შეასრულებდა შუამავლის როლს (Congressional Quarterly, May 5, 1990). საგულისხმოა, რომ მას შემდეგაც კი, როდესაც გორბაჩოვმა ტანკები გაგზავნა ვილნიუსში, კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც საკმაოდ რბილად აკრიტიკებდა მის ქმედებას. ზოგიერთი ექსპერტი იმასაც კი მიიჩნევდა, რომ აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა მიაღწიეს ფარულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც აშშ სიტყვიერად შეარბილებდა თავის პოზიციას ბალტიისპირეთის თაობაზე, იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანისა და სპარსეთის ყურეში საბჭოთა მხარდაჭერის სანაცვლოდ. ამგვარი კომპრომისი ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარის ნ. გოლდმანის მიერ შეფასებული იყო, როგორც ადმინისტრაციის „მოქნილი ხელოვნება“ (Congressional Quarterly, February 2, 1991)

1991 წ. 2 სექტემბრის პრესკონფერენციაზე, სადაც ბუშმა ოფიციალურად განაცხადა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ცნობის შესახებ,<sup>1</sup> მან კიდევ ერთხელ გამოხატა გორბაჩოვის მხრდაჭერა და განაცხადა, რომ ბალტიისპირეთის პრეცედენტი არ გულისხმობდა აშშ-ის ანალოგიურ პოზიციას სხვა რესპუბლიკებისადმი. თითოეული რესპუბლიკის საკითხს აშშ განიხილავდა დამოუკიდებლად, რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობების გარკვევის კვალდაკვალ (Congressional Quarterly, September 7, 1991).

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ბუშს მეტი დრო დასჭირდა, რათა სრული დიპლომატიური აღიარება მიენიჭებინა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის, შედარებით დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან, რომელთაც პუტჩის ჩავარდნისთანავე სცნეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ მართალია ბალტიისპირეთის მოვლენების ცვლადს, სისტემის გამოსავალ ეტაპზე საბოლოოდ მოჰყვა თვისობრივად ახალი შედეგი, ანუ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებთან, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის მებრძოლ სხვა რესპუბლიკებთან მიმართებაში, იგი არ წარმოადგენდა „რადიკალურ“ ცვლადს, ვინაიდან მათთან დამოკიდებულებაში მას არსებითად არ შეუცვლია აშშ-ის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება -- საბჭოთა კავშირის ერთიანი (თუმცა ტრანსფორმირებული) სტრუქტურის შენარჩუნების მცდელობა.

### 3.1.1.2 საკავშირო ხელშეკრულება

როგორც ცნობილია, გორბაჩოვის მთავრობის მიერ ახალი საკავშირო ხელშეკრულების თაობაზე 1991 წ. აპრილის გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა 1991 წ. მარტის ცენტრალური მთავრობის რეფერენდუმი, საბჭოთა კავშირის, „როგორც თანაბარუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის,“ შენარჩუნების შესახებ. მიუხედავად რეფერენდუმის საკმაოდ ორაზროვანი ხასიათისა, რაც საკმაოდ მძაფრად იყო წარმოჩენილი კონგრესის მოსმენებზე,<sup>1</sup> მას ისტებლიშმენტის მკაფიო რეაქცია არ მოჰყოლია. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს კონგრესის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“ კომისიის მოხსენება, რომელშიც რეფერენდუმი წარმოდგენილია, როგორც რესპუბლიკებით მანიპულირების „უნაყოფო მცდელობა“. თუმცა ამავე მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ამგვარ თუნდაც წარუმატებელ რეფერენდუმს შეუძლია დასაბამი დაუდოს „რეალურ მოლაპარაკებებს“ ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად (Commission on Security and Cooperation in Europe, 1991).

<sup>1</sup> მხედველობაში გვაქვს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის, ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ორგანიზაციების ქვეკომიტეტების მოსმენები, რომლებიც უშუალოდ მიუძღვნა საბჭოთა რეფერენდუმის თემას და მის ორაზროვან მნიშვნელობას დემოკრატიზაციის პროცესისათვის. (Referendum in the Soviet Union: Implications for Democratization. Hearing before the Subcommittees on Europe and the Middle East and on Human

ამგვარ ფონზე სავსებით ლოგიკურია, რომ ბუშის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა 1991 წ. 23 აპრილის გადაწყვეტილებას რუსეთსა და 9 რესპუბლიკას შორის, ე.წ. „1+9“ შეთანხმების მიღწევის თაობაზე. როგორც ამბობდა სახელმწიფო მდივანი ჯ. ბეიკერი, ახალი საკავშირო ხელშეკრულებისა და ახალი კონსტიტუციის მეშვეობით, საბჭოთა კავშირში შეიქმნებოდა ახალი პოლიტიკური ლეგიტიმურობის მიღწევის შესაძლებლობა (Baker, 1991, p. 682).

ამგვარად, მართალია ერთი მხრივ, აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ ხელშეკრულების მხარდაჭერის პოლიტიკა შეიძლება წარმოჩენილი იყოს, როგორც იმ წინააღმდეგობის მოხსნა, რომელიც არსებობდა გორბაჩოვის მთავრობასთან თანამშრომლობასა და რესპუბლიკების დემოკრატიული ძალების მხარდაჭერას შორის -- როგორც ამას, მაგალითად, ამტკიცებს „რენდ კორპორეიშენის“ სპეციალისტი არნოლდ ჰორელიკი (Horelick, 1991, p.90 ) -- მიგვაჩნია, რომ რეალურად იგი ასახავდა ცენტრალური მთავრობისა და ერთიანი საბჭოთა კავშირის სტრუქტურის შენარჩუნების ხელშეწყობის პოლიტიკას, რესპუბლიკებში „სეპარატისტული“ მოძრაობების განვითარების საპირისპიროდ.

ამგვარად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებთან მიმართებაში, ახალი საკავშირო ხელშეკრულების მიღების მცდელობა, წარმოადგენს სუსტი „რადიკალურობის“ მატარებელ ცვლადს, რომლის ზემოქმედებაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალ ეტაპზე აისახება აშშ-ის ხელისუფლების მიერ საბჭოთა კავშირის ტრანსფორმაციის ამ ყველაზე სასურველი სცენარის მხარდაჭერაში (Carpenter, 1991, p.38; Fairbanks, 2000, პირადი ინტერვიუ).

### 3.1.1.3 პუტჩი

1991 წ. 19-21 აგვისტოს „პუტჩის“ მოვლენები ჩვენს მიერ განიხილება, როგორც „რადიკალური“ ცვლადი, რომელსაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სისტემის გამოსავალზე მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ყველა საბჭოთა რესპუბლიკასთან მიმართებაში. „პუტჩის“ დრამატულმა ჩავარდნამ ცხადყო

კომუნისტური რეჟიმის სრული გაბანკროტება და დასაბამი დაუდო პოლიტიკური აქცენტების რესპუბლიკებზე გადანაცვლებას.

როგორც ცნობილია, „პუტჩს“ წინ უძღოდა ბორის ელცინის ივნისის ვიზიტი ვაშინგტონში, როდესაც განსხვავებით თეთრი სახლის ადმინისტრაციისაგან <sup>1</sup> უკვე საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა კონგრესის გაძლიერებული ყურადღება რესპუბლიკებისადმი (Congressional Quarterly, June 22, 1991). ამავე დროს, „პუტჩის“ ჩავარდნის შემდეგ, ბუშის დავალებით მოსკოვში სასწრაფოდ ჩამოდის ჯ. ბეიკერი, რომელიც აცხადებს, რომ აშშ-ის სურვილია ითანაშრომლოს ელცინთან და საბჭოთა კავშირის სხვა მოწინავე რეფორმატორებთან ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიზნით (US Department of State Dispatch, September 16, 1991). თუმცა, ის ძირითადი პრობლემა, რომელიც კვლავაც რჩება პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინაშე, ისევ და ისევ საბჭოთა კავშირის ფრაგმენტაცია და რესპუბლიკების ხელისუფლების ლეგიტიმურობაა (Zoellick, October 2, 1991, US Department of State Dispatch, October 7, 1991).

უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში, „პუტჩის“ ფაქტორს საკმაოდ ორაზროვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, როგორც ყველა დანარჩენ რესპუბლიკასთან მიმართებაში, „პუტჩმა“ უჩვენა კომუნისტური რეჟიმის დაბრუნების საშიშროება და, შესაბამისად, მეტი ლეგიტიმურობა შესძინა დამოუკიდებლობის მოძრაობას; მაგრამ მეორე მხრივ, „პუტჩმა“ არასასურველ შუქში წარმოაჩინა საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება, რომლის პოზიციაც მის მიმართ საკმაოდ კონფორმისტული აღმოჩნდა.

\*\*\*\*\*

მიგვაჩნია, რომ აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის საერთაშორისო გარემოს შრეზე, „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრის სამი ცვლადის -- „ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის“, „საკავშირო ხელშეკრულების“, და „პუტჩის“ -- ურთიერთქმედება „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადთან, ერთი მხრივ, აკნინებს საკუთრივ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხის მნიშვნელობას

<sup>1</sup> ვიზიტის დროს ბუშმა არაორაზროვნად განუცხადა ელცინს, რომ აშშ კვლავაც შეინარჩუნებდა მაქსიმალურად ახლო ოფიციალურ ურთიერთობებს გორბაჩოვის მთავრობასთან.

საბჭოთა კავშირის ერთიანი სტრუქტურის შენარჩუნების საკითხთან მიმართებაში, და, მეორე მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს მის თავისთავად ღირებულებას ჭეშმარიტი დემოკრატიულობის თვალსაზრისით. შესაბამისად, ამგვარი ურთიერთქმედების როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური შედეგები ხელს უწყობს „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის უარყოფით ასახვას ჩვენი მოდელის მეორე -- აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს შრეზე.

### 3.1.2 „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის ურთიერთქმედებები შიდაპოლიტიკურ შრეზე

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ აღწერილი მოდელის შიდაპოლიტიკურ შრეზე, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი, პირველ რიგში, ურთიერთქმედებაში შედის იდეოლოგიური სტრუქტურის პარამეტრებთან და ცვლადებთან. განვიხილოთ აღნიშნული ურთიერთქმედებანი ჩვენი მოდელის ფუნქციონირების თანახმად.

#### 3.1.2.1 მასმედია და საზოგადოებრივი აზრი

როგორც ვუჩვენეთ კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში, დროის პერიოდში, რომელიც ხასიათდება აშშ-ის შიდაპოლიტიკური შრის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ნეგატიური პარამეტრებით (ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპი, სავაჭრო და საბიუჯეტო ტყუპი დეფიციტები), მედიის „ინტენსიური გაშუქების“ და საზოგადოებრივი აზრის „კონსოლიდაციის“ პარამეტრებზე ძირითადად ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხები ექცევიან. ასევე ვუჩვენეთ, რომ მედიაში საერთაშორისო გარემოს მოვლენათა გაშუქება ძირითადად ასახავს საერთაშორისო გარემოს განვითარებას „მოუწესრიგებლობის“, „არასტაბილურობის“ და „დეზინტეგრაციის“ შესაბამისი პარამეტრების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, არ უწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდირებას საერთაშორისო მოვლენებში აშშ-ის ინტენსიური მონაწილეობის თაობაზე. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო გარემოსთან მიმართებაში,



საზოგადოებრივი აზრის განვითარება მიმდინარეობს „გაფანტულობის“ პარამეტრზე.

მიგვაჩნია, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი სწორედ რომ საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ და მედიის „წყვეტილი“ გაშუქების ამგვარ პარამეტრებზე აისახება, სადაც თვით საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებად დაშლის პერსპექტივაც კი არ იწვევს საზოგადოებრივი აზრის შესაბამის ფოკუსირებას. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვები უჩვენებენ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ჰქონდა გააზრებული, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა საბჭოთა სისტემის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დეზინტეგრაციას, როგორც თავად აშშ-ის, ასევე გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით (Congressional Quarterly, June 8, 1991). ამგვარ ფონზე, ის მწირი ინფორმაციაც, რომელიც ჩნდება პრესაში საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში ნეგატიური შინაარსია და ძირითადად მოიცავს სამ თემას. ეს თემებია: 1. „ნაციონალისტი ლიდერი“ გამსახურდიას დაპირისპირება რუსეთთან. ამ თემის კონტექსტში გაშუქებულია ორი ძირითადი საკითხი: საქართველოს უარი მონაწილეობა მიიღოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნაში; და რუსეთის დადანაშაულება საქართველოს შიდაპოლიტიკური კონფლიქტების ინსპირირებაში. 2. გამსახურდიას დაპირისპირება დასავლეთთან. ამ თემის კონტექსტში ძირითადად გაშუქებულია გამსახურდიას ბრალდება აშშ-ის მიმართ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ კონსპირაციაში. 3. დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში „ბრძოლა ქართველებს შორის.“ ამ თემის ფარგლებში გაშუქებულია გამსახურდიას დაპირისპირება შიდაპოლიტიკურ ოპოზიციასთან.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მოცემული ანალიზი ეფუძნება შემდეგ საგაზეთო პუბლიკაციებს:  
 Eleven Republics Lay USSR to Rest, Wall Street Journal, December 23, 1991;  
 Georgia Leader Says Kremlin Stirring Unrest, The Atlanta Constitution, February 7, 1991;  
 Kremlin Role Questioned in Georgian Ethnic Strife, New York Times Current Events Edition, February 10, 1991;  
 Civil Strife: Soviet Georgia Is Torn By Groups Competing In Independence Drive, Wall Street Journal, February 21, 1991;  
 Georgian Nationalist Wins Election, May 28, 1991;  
 Georgians Blast Leader, Chicago Tribune, September 9, 1991;  
 Leaders Show their Old Habits, New York Times Current Events Edition, September 18, 1991;  
 Soviet Georgians Feud Fights, USA Today, September 20, 1991;  
 Soviet Georgian Police Beat Up Dissidents, USA Today, September 22, 1991;  
 Georgia Chief Alleges U.S.-Soviet Conspiracy, The Washington Post, September 11, 1991.

საქართველოსთან შედარებით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხი უფრო პოზიტიურად არის გაშუქებული აზერბაიჯანთან და, განსაკუთრებით, სომხეთთან მიმართებაში, სადაც წამოწეულია შემდეგი თემები: აზერბაიჯანის პრეზიდენტის მუტალიბოვის მზადყოფნა მონაწილეობა მიეღო დსთ-ს ჩამოყალიბების პროცესში; სომხეთის უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის დამტკიცება საერთო სახალხო რეფერენდუმის შემდეგ; სომხეთის პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის ტერ-პეტროსიანის მზადყოფნა რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად; ტერ-პეტროსიანის ვიზიტი ვაშინგტონში და საუბარი პრეზიდენტ ბუშთან აშშ-ის მიერ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე;<sup>1</sup>

ვთვლით, რომ მედიაში სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკის შესაბამისი პრობლემების გაშუქების შედარებით დადებითი კონტექსტი, უარყოფით კონტრასტში წარმოაჩენს საკუთრივ საქართველოს პრობლემატიკას.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის ამერიკულ მედიაში ასახულ სამ ძირითად ზემოაღნიშნულ თემას ჩვენ განვიხილავთ, როგორც მედიის „წყვეტილი გაშუქების“ პარამეტრის შემადგენელ სამ ცვლადს, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბებას.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დროის მოცემული პერიოდისათვის, არ არსებობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემები უშუალოდ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხთან მიმართებაში. თუმცა, ჩვენი მოდელით გათვალისწინებული კორელაცია მასმედიისა და საზოგადოებრივი აზრის შესაბამის პარამეტრებს შორის იძლევა ევრისტული დასკვნის გაკეთების საშუალებას – ანუ, მედიის მიერ „საქართველოს

<sup>1</sup> გამოყოფილი თემები ეფუძნება შემდეგ საგაზეთო პუბლიკაციებს: Moldova , Azerbaijan Bring 11 Republics Behind Commonwealth, Boston Globe, December 21, 1991; Azerbaijan Suspicious of Commonwealth Plan, The Washington Post, December 15, 1991; Armenia Declares Independence, The Los Angeles Times, September 24, 1991; Democratic Spirit Sweeps Armenia, Christian Science Monitor, October 17, 1991; Leader Vows Secession As Armenians Go to Polls, Boston Globe, October 17, 1991; Armenian Leader Seeks Recognition of Republic by Bush, Christian Science Monitor, November 14, 1991; Bush Tells Armenian Leader U.S. Seeks Relationship, The Washington Post, November 15, 1991.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ნეგატიური შინაარსის „წყვეტილი გაშუქების“ პარამეტრი, გარკვეულ წილად, ასევე გულისხმობს აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრის ამოქმედებასაც. ასევე ევრისტულ დონეზე მივიჩნევთ, რომ ამგვარი „გაფანტულობის“ პარამეტრიც თავისი შინაარსობრივი დატვირთვით ნეგატიურია. ანუ, ამერიკული საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც ეცნობა პრესის მიმოხილვებს, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა“ ძირითად მის შიდა და გარე კონფლიქტებთან არის ასოცირებული.

აშშ საზოგადოებრივი აზრის ამგვარი, თუნდაც ჰიპოტეტური პოზიცია, ჩვენს მიერ განიხილება, როგორც საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრის ცვლადი, რომელიც, გარკვეულ წილად, განსაზღვრავს „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბებას.

### 3.1.2.2 სპეციალური ინტერესები

როგორც ავღნიშნეთ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში, სპეციალური ინტერესების „ძლიერი“ ზემოქმედების პარამეტრი უმეტეს წილად კორელაციაშია მედიის „წყვეტილი გაშუქების“ და საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრებთან.

„საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი არ აისახება ინტერესთა ჯგუფების „ძლიერი“ ზემოქმედების პარამეტრზე, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს რომელიმე ორგანიზებული ჯგუფის ლობირების საგანს.<sup>1</sup> მეორე მხრივ, თუ სპეციალური ინტერესების კატეგორიიდან ცალკე გამოვყოფთ ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო

<sup>1</sup> თუმცა, ჯერ კიდევ 1921 წელს კანზასელი კონგრესმენი ედვარდ ლითელი აშშ-ის რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების წილ, მოითხოვდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან რუსეთის „ოკუპაციური ჯარების“ გაყვანას; 1926 და 1954 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს მიეძღვნა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ორი საკომიტეტო მოსმენა; და შემდგომ, 1969 წელს „ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ასოციაციამ“ გამართა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავისათვის მიძღვნილი კონფერენცია.

ორგანიზაციებს, ანალიტიკური ცენტრებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, უდაოდ გამოიკვეთება გარკვეული ზემოქმედება, განსაკუთრებით პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან მიმართებაში. თუმცა აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინტერესების ფოკუსში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხი არ წარმოადგენს გამოკვეთილად ცალკე მდგომ საკითხს, და წარმოჩენილია საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების უფრო ფართო კონტექსტში. მიგვაჩნია, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობებთან დაკავშირებით, არასამთვრობო ორგანიზაციების, ანალიტიკური ცენტრების და აკადემიური წრეების, ისევე როგორც მათ მიერ გაშუალებული პოლიტიკური ისტებლიშმენტის თვალთახედვას ორი მიმართულება ახასიათებს:

ა) პირველი მიმართულება დასაბამს იღებს 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან, როდესაც ვიეტნამის ომისა და „უოტერგეიტის“ ფონზე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წინა პლანზე გამოიკვეთება ე.წ. „მორალისტური“ ასპექტი და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.<sup>1</sup>

სწორედ ადამიანის უფლებების პრობლემის გაგრძელებად იყო აღქმული საბჭოთა რესპუბლიკების 1990-იანი წლების ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისთვის ამერიკელი ანალიტიკოსების და პოლიტიკოსების ერთი ნაწილის მიერ (Raanan, 1990, pp.45-47; Seitz, 1990, pp.73-75). უკვე 1989 წ. წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ორგანიზაციების ქვეკომიტეტის მოსმენაზე აღინიშნებოდა, რომ სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ე.წ. ეროვნული საკითხები არ უნდა ყოფილიყო აღქმული, როგორც „ეთნიკური პრობლემები“, ან „სოციალური უწესრიგობანი“, ვინაიდან სინამდვილეში ისინი წარმოადგენდნენ ბრძოლას ეროვნული თვითგამორკვევისათვის, რომელიც ისევე იმსახურებდა აშშ-ის მხარდაჭერას, როგორც ამას იმსახურებდა ადამიანის უფლებების დაცვის მოძრაობა „პერესტროიკის“ დაწყებამდე (Thorne, 1989, pp.164-165). ჰარვარდის

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, 1975 წ. პრეზიდენტი ფორდი, დასავლეთის მოკავშირეებთან ერთად, ხელს აწერს „ჰელსინკის დასკვნით აქტს“, რომლის დებულებების უდიდესი ნაწილი ადამიანის უფლებების დაცვას ეძღვნება. ამავე დროს, ამ დებულებებით განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტები დიდწილად მიმართული იყო საბჭოთა რეპრესიული პრაქტიკის შეზღუდვაზე.

უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიპსი ახსენებდა ამერიკელ კონგრესმენებს, რომ თუკი აშშ მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციას, მისი დაშლა დადებითი მოვლენა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დემოკრატიული ძალები მოქმედებდნენ არა საკავშირო, არამედ რესპუბლიკურ დონეზე და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა სწორედ ამ დემოკრატიულ ძალებს სურდათ (Pipes, 1991, p.42). „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ლიგის“ მიერ წარმომადგენელთა პალატის ადამიანის უფლებების დაცვის ქვეკომიტეტისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მართალია საბჭოთა კონსტიტუცია რესპუბლიკებს ანიჭებს გამოყოფის უფლებას, იგი რეალურად განუხორციელებადია (International League for Human Rights, 1989, pp.4-5). ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ური რაანანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული შესაძლო დესტაბილიზაციის ყველაზე ხმამაღალ არგუმენტებს, ამტკიცებს რა, რომ იმპერიულ საბჭოთა სახელმწიფოსთან შედარებით, დამოუკიდებელი საქართველო, ან დამოუკიდებელი ლიტვა არ შეუქმნის მუქარას საერთაშორისო საზოგადოებრიობას (Raanan, 1991, p.50).

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი თვალსაზრისის გამოკლებით, გამოყოფილი პოზიციის ფარგლებშიც კი, აშშ-ის ურთიერთობები რესპუბლიკებთან მოიაზრება, როგორც მოსკოვის ცენტრალურ მთავრობასთან დამყარებული ურთიერთობების შემავსებელი, და არა შემცველი მიმართულება (Carpenter, 1991, p.42; Simes, 1991, pp. 462-463).

კერძოდ, კონგრესის მოსმენებზე გამოთქმული რეკომენდაციები რესპუბლიკებთან მიმართებაში შემდეგნაერად შეიძლება დაგაჯგუფოთ:

- ცენტრთან კონსტრუქციული ურთიერთობების შენარჩუნების პარალელურად, აშშ-მა უნდა განახორციელოს პირდაპირი დახმარება იმ რესპუბლიკებისადმი, სადაც ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით არჩეული ხელმძღვანელობა მოვიდა.
- საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების მხარდაჭერის პარალელურად, აშშ-მა უნდა გაიზიაროს რესპუბლიკების სურვილი გაწევრიანდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და სხვა

საერთაშორისო ორგანიზაციებში. აშშ ექსპორტ-იმპორტ ბანკსა და „ოპიკს“ (საზღვარგარეთ კერძო ინვესტირების კორპორაციას) ასევე უნდა მიეცეს რეკომენდაციები მხარი დაუჭირონ ცალკეული პროექტების განხორციელებას რესპუბლიკებში.

- აშშ-ის პოზიცია თავისუფალი ვაჭრობის განვითარების შესახებ, უნდა ითვალისწინებდეს ცენტრალურ ევროპას, ბალტისპირეთს და კავკასიის რესპუბლიკებს.
- გორბაჩოვის „ხემოდან-ქვემოთ“ დემოკრატიზაციის კურსის მხარდაჭერის პარალელურად, აშშ-მა მხარი უნდა დაუჭიროს დემოკრატიზაციას „ქვემოდან-ზემოთ“ და ხელი შეუწეოს რესპუბლიკების დონეზე პლურალისტული საზოგადოების განვითარებას.

ამგვარად, ხაზი გვინდა გაუუსვათ, რომ რესპუბლიკების მხარდამჭერი ზემოაღნიშნული რეკომენდაციები ამავე დროს გაწეული იყო ცენტრალური მთავრობის მხარდაჭერის კონტექსტში.

ბ) მეორე მიმართულება ეფუძნება აშშ-ის მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას, ხოლო რესპუბლიკების სწრაფვას დამოუკიდებლობისადმი აფასებს როგორც ნაციონალისტურ, სეპარატისტულ მოძრაობას.

1990 წ. სენატის საკომიტეტო მოსმენაზე გამოსვლისას, ზ. ბუჟინსკი აცხადებს, რომ ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში სულ უფრო მძაფრი ხდება და აისახება არა მხოლოდ მოსკოვის პოლიტიკურ დებატებში, არამედ ფიზიკურ ძალადობაშიც (Bzezinski, 1990, p.6). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ეროვნული პრობლემა, როგორც აკადემიური, ასევე პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა უმრავლესობის მიერ გაიგივებულია დესტრუქციულ ნაციონალიზმთან, განსხვავებით ცივილური, აღმშენებლური ნაციონალიზმისაგან, რომელიც დასავლეთის დამახასიათებელ ნიშნად არის მიჩნეული. საბჭოთა ნაციონალიზმის აღზევების ძირითად მიზეზად მოიაზრება ის, რომ გორბაჩოვის მიერ გლობალური კლასობრივი ბრძოლის იდეის უარყოფის შედეგად, კომუნიზმის იდეა შეცვალა ნაციონალიზმის იდეამ, როგორც ხალხების თვითიდენტიფიკაციის ერთადერთმა საშუალებამ. ამავე დროს, განსხვავებით დასავლეთის ნაციონალიზმისაგან,

რომელიც გაწონასწორებულია საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით, ეკონომიკური სიდუხჭირე და ბრძოლა არასაკმარისი რესურსებისათვის ამძაფრებს საბჭოთა ნაციონალიზმს. საბჭოთა ნაციონალიზმის აღზევება ასევე პირდაპირ არის დაკავშირებული და ხშირად გაიგივებული ეთნიკური წინააღმდეგობების გამწვავებასთან, რის გამომწვევ ძირითად მიზეზებად მოიაზრება:

- ცენტრის მხრიდან დისიდენტური თვალსაზრისების დევნის შეწყვეტა;
- საბჭოთა კავშირის ეკონომიკური კრიზისი და მისი შემდგომი გამწვავება ეთნიკურ ნიადაგზე.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნულის ფონზე, პოლიტიკურ დებატებში ნაციონალიზმის საკითხი ძირითადად დახასიათებულია, როგორც მუქარა საბჭოთა კავშირის სტაბილურობისადმი.

1991 წ. წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთ მოსმენაზე გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მაშინ როდესაც გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული ახალი საკავშირო ხელშეკრულება იცავდა რესპუბლიკებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებებს, სრულებითაც არ იყო ცხადი, რომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში, აღნიშნული უფლებები ასევე დაცული იქნებოდა ცალკეული რესპუბლიკების მიერ. მოსაზრება ეფუძნებოდა არგუმენტს, რომ კერძოდ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში (საქართველოს კონკრეტული მითითებით), ნაციონალური განწყობების აღზევებას მოჰყვა რეპრესიები ეროვნული უმცირესობების მიმართ (Carpenter, 1991, pp. 32-33). 1991 წ. მაღლენ ოლბრაიტი (იმ პერიოდში „ეროვნული პოლიტიკისა და კვლევითი ცენტრის“ პრეზიდენტი) კონგრესის ერთ-ერთ მოსმენაზე აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირის რომელიმე ერთი ჯგუფის უფლებების ცნობას შეეძლო მუქარა შეექმნა სხვა ჯგუფების უფლებებისადმი, როგორც, კერძოდ, ეს ხდებოდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (Albright, 1991, p. 483).

ამგვარად, მოიაზრება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას თან ახლავს ცალკეული რესპუბლიკების ფარგლებში და, პირველ რიგში, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვის რეალური საშიშროება. აღინიშნება ისიც, რომ ეროვნული მოძრაობის ტალღაზე მოსული ზოგიერთი რესპუბლიკის ლიდერი უფრო მეტად დაინტერესებულია ძალაუფლების

მოპოვებით, ვიდრე პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოების განვითარებით. გამომდინარე აღნიშნული პოზიციიდან, ეროვნული მოძრაობისა და ეთნიკური კონფლიქტების პირისპირ, ცენტრალური ხელისუფლება აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური, რეგიონალური და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშემწყობი ძალა (Soviet Disunion: The American Response, 1991, p.40). ცენტრალური მთავრობის მხარდასაჭერად, აკადემიურ წრეებში გამოითქმებოდა მოსაზრებაც, რომ გორბაჩოვის ბოლოდროინდელი ქმედებები განპირობებული იყო არა იმდენად კომუნისტური მემარჯვენე ფლანგის ზეწოლით, რამდენადაც მისი საკუთარი მცდელობით მოქცეულიყო „სლავური ელექტორატის“ ძირითად ნაკადში. ხოლო სახელმწიფო მრჩევლის რ. ზოელიკის განცხადებით, გორბაჩოვმა აირჩია მემარჯვენე კურსი, რათა შეენარჩუნებინა საბჭოთა კავშირი და აღედგინა წესრიგი რეფორმების „გადასარჩენად.“ ზოელიკი ამ კურსს „ავტოკრატიული რეფორმების“ კურსს უწოდებს, ანუ კურსს, როდესაც სახელმწიფო მიმართავს მკაცრ ზომებს სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის მისაღწევად (Zoelic, 1991, pp.11-19).

როგორც ავლნიშნეთ, გამოყოფილი თვალსაზრისის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს აშშ-ის მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. როგორც დაადასტურა წარმომადგენელთა პალატის სგარეო საქმეთა კომიტეტის მოსმენაზე სახელმწიფო მდივნის მოადგილემ რ. სეიზმა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოკლებით, აშშ-ის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მიმართ ეფუძნება: 1. 1933 წ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის ცნობას და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას; <sup>2</sup> და 2. 1975 წ. ჰელსინკის შეთანხმებით, აშშ-ის მიერ არსებული საბჭოთა საზღვრების დადასტურებას (Seitz, 1990, p.73). შესაბამისად, გამომდინარე აღნიშნული პოზიციიდან, ურთიერთქმედება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ მთავრობასა და მის „ტერიტორიულ ერთეულებს“ შორის ხასიათდება, როგორც საბჭოთა კავშირის შიდასახელმწიფოებრივი საქმე, რომელიც „დემოკრატიული პროცესის საფუძველზე“ უნდა გადაწყდეს (Bzezinski, 1990, p.6).

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ეთნიკურ დაპირისპირებებზე მსჯელობისას, კონგრესის მოსმენებზე, პირველ რიგში, კავკასიის მაგალითი მოჰყავთ.

<sup>2</sup> როგორც ცნობილია, ამ პერიოდში არანაირად არ დასმულა საბჭოთა კავშირის შემადგენელი რესპუბლიკების სტატუსის საკითხი.



ამგვარად, ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობებისადმი არასამთავრობო ორგანიზაციების, ანალიტიკური ცენტრებისა და აკადემიური წრეების არნიშნულ ორ პოზიციას ჩვენ განვიხილავთ, როგორც მათი მხრიდან პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე საკმაოდ „ძლიერი“ ზემოქმედების პარამეტრის ცვლადებს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბებას.

### 3.1.2.3 პოლიტიკური ისტებლიშმენტი

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში, ვუჩვენეთ, რომ დროის იმ პერიოდისთვის, რომელიც ხასიათდება აშშ-ის შიდაპოლიტიკური სისტემის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით, მოქმედებს „თანამშრომლობის“ პარამეტრი ისტებლიშმენტის სამივე კომპონენტის ლიდერებს შორის, მაგრამ მოქმედებს „გამიჯნულობის“ პარამეტრი, ერთი მხრივ, თეთრი სახლის და კონგრესის ლიდერებს და, მეორე მხრივ, საგარეო პოლიტიკის აპარატის შედარებით უფრო დაბალი რგოლის ბიუროკრატიას შორის. ამგვარი ურთიერთმიმართებები, თავის მხრივ, კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის იმ პარამეტრებთან და ცვლადებთან, რომლებიც შეადგენენ „მოუწესრიგებლობის“ და „არასტაბილურობის“ მახასიათებლებს, კერძოთ კი, -- „კომუნიზმის დამარცხების“ და „არასტაბილურობის ახალი კერების წარმოქმნის“ პარამეტრებთან და მათ შესაბამის „რადიკალური“ მნიშვნელობის ცვლადებთან. ასევე ვუჩვენეთ, რომ ისტებლიშმენტის სამი „შტოს“ ლიდერებს შორის „თანამშრომლობის“ პარამეტრი კორელაციაშია პარტიების „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრთან; ხოლო განხილულ კონკრეტულ შემთხვევაში, სპეციალური ინტერესების (არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების) პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე „ძლიერი ზემოქმედების“ პარამეტრი ასევე კორელაციაშია ისტებლიშმენტის „თანამშრომლობის“ პარამეტრთან. ორივე შემთხვევაში, დადებითი კორელაცია განპირობებულია ზემოთ ხსენებულ საერთაშორისო სისტემის პარამეტრებით.

მიგვაჩნია, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი (და მისი შემადგენელი კონკრეტული ფაქტორები), სწორედ რომ წარმოადგენს ამგვარი „რადიკალური“ მნიშვნელობის მატარებელ ცვლადს, რომელიც აისახება პოლიტიკური ისტებლიშმენტის ლიდერების „თანამშრომლობის“ პარამეტრზე. თუმცა მსგავსად „სპეციალური ინტერესების“ შემთხვევისა, აქაც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დგება არა იმდენად, როგორც ერთი ცალკეული რესპუბლიკის საკითხი, რამდენადაც როგორც თავად საბჭოთა კავშირის დაშლის გაცილებით უფრო ფართო და მწვავე საკითხი (Henning, 2000; Enders, 2000, პირადი ინტერვიუ). განვიხილოთ, თუ როგორ აისახება საბჭოთა კავშირის დაშლის საკითხი, და მის კონტექსტში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის „თანამშრომლობის“ პარამეტრზე.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე, აშშ-ის ანალიტიკოსების და პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ აქტიურად იხილება საბჭოთა კავშირის განვითარების შესაძლო სცენარები. გამოვეყოფთ ოთხ მათგანს, რომელთაც მოცემულ პერიოდში ალბათობის საკმაო ხარისხი გააჩნდათ: 1. „პერესტროიკის“ ბოლო პერიოდის „ზიგზაგების“ პროექცირება რეფორმებისა და რეპრესიების კურსის მონაცვლეობაზე. მოსალოდნელია ძალის გამოყენება „სეპარატისტული“ რესპუბლიკების მიმართ. 2. საბჭოთა კავშირის ევოლუციური გზით განვითარება, რომელიც მოქნილი ფედერალური სტრუქტურების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. 3. ხელისუფლებაში ძლიერი შოვინისტური რუსეთის იდეით შეიარაღებული რეპრესიული ძალების მოსვლა. საერთაშორისო ასპარეზზე ეს ძალები ცდილობენ დაკარგული საბჭოთა პოზიციების დაბრუნებას. 4. საბჭოთა კავშირის დაშლა „ბალკანიზირებულ“ რესპუბლიკებად, ავტონომიურ ოლქებად და რეგიონებად, სადაც თითოეული მათგანი ამყარებს საკუთარ ხელისუფლებას და წყვეტს თანამშრომლობას ყოფილ პარტნიორებთან. მოსალოდნელია ლტოლვილთა მასობრივი მიგრაციები და არასტაბილურობის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთის მუსლიმანური სახელმწიფოების მიმართულებით (Allison, Blackwill, 1991, pp.77-97).

ეჭვგარეშეა, რომ აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის ყველაზე სასურველია მეორე სცენარი -- ტრანსფორმირებული საბჭოთა კავშირის, როგორც

ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემითა და საბაზრო ეკონომიკით. როგორც აღნიშნავს ზ. ბუჟინსკი, ტრანსფორმირებული საბჭოთა კავშირი დასავლეთის საგარეო პოლიტიკის „შუქურა“ უნდა იყოს (Bzezinski, 1991, p. 14). მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საბჭოთა კავშირის შიდა პოლიტიკური მოვლენები ევოლუციურად განვითარდება, მისი საგარეო პოლიტიკა კვლავაც პრობლემატური რჩება აშშ პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის. მართლაც, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ამ მიმართებით გამოიკვეთება ვაშინგტონის წინაშე შემდგენაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: იქნება თუ არა მოსკოვი დასავლეთის და აშშ-ის პარტნიორი აღმოსავლეთ ევროპის განვითარებაში? ითანამშრომლებს თუ არა მოსკოვი რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში? ითანამშრომლებს თუ არა მოსკოვი მასობრივი განადგურების იარაღის გადინების შეჩერებაში?

ვაშინგტონში აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებით მოსკოვის ორ პოზიციას აფიქსირებენ. პირველი პოზიციის თანახმად, მოსკოვის საგარეო პოლიტიკა „ახალი აზროვნების“ შესაბამისი უნდა ყოფილიყო და აღმოსავლეთ ევროპა განეხილა როგორც „დასავლეთის ზღურბლი,“ რომელთანაც კომპრომისზე დაფუძნებული დიალოგი უნდა წარემართა. მართლაც, ამ პოზიციას, ყოველ შემთხვევაში დეკლარაციულ დონეზე მაინც, მეტნაკლებად მისდევდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეორე პოზიციის თანახმად, რომელიც ეკავა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საბჭოთა კავშირის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკას არ გააჩნდა ნათელი სტრატეგიული კონცეფცია, რაც თითქოსდა ხელს უწყობდა დასავლეთის გავლენის გაგრძელებას და ზიანს აყენებდა ქვეყანას (ibid, pp. 11-12).

განვიხილოთ, თუ როგორი იყო საბჭოთა კავშირისადმი აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ძირითადი მიდგომები, საბჭოთა კავშირის როგორც შიდა პოლიტიკის, ასევე საგარეო პოლიტიკის და, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ამგვარი განუსაზღვრელობის ფონზე. გამოვეყოფთ რამდენიმე თვალსაზრისს, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული და გააჩნიათ შესაბამისი ფაქტობრივი დასაბუთება:

ა) პირველი თვალსაზრისის თანახმად, აშშ-ის მიერ ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა და თვითკმარი ევროპის განვითარება წარმოადგენდა მთავარ საშუალებას საბჭოთა კრიზისის დასავლეთით გავრცელების აღსაკვეთად (Bzezinski, 1991, p10; Nye,1992, p.95; Gaddis, 1991, pp. 116-117). ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არგუმენტი აღნიშნული თვალსაზრისის სასარგებლოდ, ალბათ არის აშშ-ის თაოსნობით „ნატოს“ ახალი პოლიტიკური მისიის განვითარება ევროპის ტრანსფორმაციისა და სტაბილიზაციის პროცესის ხელშეწყობად, რაზეც ზევით გვქონდა საუბარი. დავამატებთ მხოლოდ, რომ „ნატოს“ 1991 წ. ნოემბერის რომის სამიტზე, სადაც ხდება „ახალი სტრატეგიული კონცეფციის“ დეკლარირება, ბუში პირდაპირ აცხადებს, რომ რეაგირება საბჭოთა კავშირის არასტაბილურ განვითარებაზე უნდა განხორციელდეს აშშ-სა და ევროპის სტრატეგიების ჰარმონიზაციითა და შეთანხმებული მოქმედებით (President Bush, November 7, 1991, US Department of State Dispatch, November 11, 1991).

აღნიშნული თვალსაზრისის ფარგლებში შეიძლება ასევე დაუშვათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში აშშ კვლავაც აგრძელებს ე.წ. „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ კურსს, რომელიც ჯერ კიდევ ვილი ბრანდტის „ოსტპოლიტიკის“ მსგავსად, ვაშინგტონისათვის თანდათანობით სულ უფრო აუცილებელი ხდება (Kissinger, 1994, pp. 733-736). ეს მტკიცება ეფუძნება შემდეგ არგუმენტებს: 1. პირველ რიგში, აღნიშნული კურსი რეაგირებდა თვით საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის სახეცვლილებაზე: -- საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ნაკლებ იდეოლოგიზირებული გახდა; -- შეიცვალა საბჭოთა პოზიცია რეგიონალურ კონფლიქტებზე.<sup>1</sup> -- გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა აღმოსავლეთ ევროპაში ძირეულ პოლიტიკურ ცვლილებებს; 2. ვაშინგტონი არ ცდილობდა აშკარად ჩარეულიყო აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანი რევოლუციების პროცესში; თუმცა ცნობილია ისიც, რომ ბუშის ადმინისტრაციას შეეძლო საპირისპირო კურსის არჩევაც, რათა საბჭოთა კავშირთან ერთად

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, მესამე სამყაროში საბჭოთა კავშირის წინა წლების წიაღსვლებმა არ გაამართლა კრემლის მოლოდინები და ახალმა საბჭოთა პოლიტიკამ გეზი აიღო კონფლიქტების მოგვარებაზე კოალიციური მთავრობების ჩამოყალიბებისა და არჩევნების ხელშეწყობის გზით.

გაეკონტროლებინა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენები.<sup>1</sup> მეორე მხრივ, ვაშინგტონი არც მოსკოვის დამარცხებას ზეიმობდა აშკარად. არსებული შეფასებებით, ვაშინგტონის ამგვარი დაბალანსებული პოლიტიკა წარმოადგენდა მის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილს 1989-1991 წლების მოვლენებში (Mandelbaum, 1991, pp.6-22; Clad, Stone, 1992, pp.196-205). 3. აშშ-ის თაოსნობით განხორციელებული „ნატოს“ დეკლარაციები მისი ახალი პოლიტიკური მისიის თაობაზე, რეალურად მიმართული იყო არა იმდენად საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხის შეკავებაზე, რამდენადაც ევროპის დარწმუნებაზე, რათა მას არ ჰქონოდა „ძალის ვაკუუმის“ შიში (White House fact sheets, November 8, 1991; US State Department Dispatch, November 11, 1991).

ბ) მეორე თვალსაზრისის თანახმად, საბჭოთა კავშირის „ჩართვა“ საერთაშორისო პროცესებში წარმოადგენს აუცილებელ ზომას შესაძლო საერთაშორისო დესტაბილიზაციის ასაცილებლად.<sup>2</sup> ამ ფართო თვალსაზრისში, თავის მხრივ, შეიძლება ორი კონკრეტული პოზიციის გამოყოფა, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს. 1. პირველი პოზიცია ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირთან დიალოგის წარმართვაზე ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად (Allison, Blackwill, 1991, p. 91). ამ პოზიციის უდაო არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის არამშვიდობიანი გზით დაშლის შემთხვევაში, უზარმაზარი ბირთვული არსენალი შეიძლება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან გამოსულიყო.<sup>3</sup> თუმცა, აქვე გვინდა ავლნიშნოთ, რომ საბჭოთა

<sup>1</sup> 1989 წ. 28 მარტის New York Times-ის ინფორმაციით, ჯ. ბეიკერი მზად იყო ამ საკითხის მოსკოვთან განსახილველად.

<sup>2</sup> აღნიშნული თვალსაზრისი სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როდესაც პრეზიდენტი ბუში 1989 წ. მაისში ტეხასის უნივერსიტეტში გამოსვლისას, პირველად ახასიათებს აშშ-ის საბჭოთა პოლიტიკას, როგორც პოლიტიკას „შეკავების მიღმა“ და მოგვიანებით, 1989 წ. დეკემბრის მალტის სამიტზე პირველად წარსდგება, როგორც რეიგანის ადმინისტრაციის ბოლო პერიოდის „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ კურსის გამგრძელებელი.

<sup>3</sup> მართლაც, როგორც ცნობილია, 1991 წ. ივლისის მოსკოვის უკანასკნელ სამიტზე, გორბაჩოვი და ბუში საბოლოოდ ხელს აწერენ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას (START), რომელსაც ათწლიანი მოლაპარაკებები უძღოდა წინ. იგი 30-40%-ით ამცირებდა ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას, ითვალისწინებდა მოლაპარაკებების გაგრძელებას კვოტების შემდგომ შემცირებაზე და შეფასებული იყო, როგორც სტრატეგიული ბალანსის მიღწევის და ბირთვული კონფლიქტის გამორიცხვის უმნიშვნელოვანესი წანამძღვარი. ამავე დროს, 1991 წ. სექტემბერში ბუში აკეთებს განცხადებას ადმინისტრაციის გადაწყვეტილების შესახებ ცალმხრივად გაანადგუროს 3,000 ერთეული ახლო-რადიუსის რაკეტა და მოუწოდოს საბჭოთა კავშირს იგივე ნაბიჯის გადადგმისაკენ. ამ გადაწყვეტილებას ბუში ასაბუთებდა იმითაც, რომ რუსი

კავშირთან „ბირთვული თანამშრომლობის“ პოლიტიკას კონგრესსა და ამომრჩევლებზე ორიენტირებული, შიდაპოლიტიკური განზომილებაც ჰქონდა და არ იყო ცალსახად გამიზნული მოსკოვის „განეიტრალებაზე“. <sup>1</sup> 2. მეორე პოზიცია ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირთან დიალოგის წარმართვაზე ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში დაპირისპირების ასაცილებლად. აღნიშნული პოზიცია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მიუხედავად სწრაფი ეკონომიკური ვარდნისა, საბჭოთა კავშირის ჩვეულებრივი შეიარაღების სიდიდე და განლაგება კვლავაც უაღრესად შემაშფოთებელი იყო აშშ-სა და ევროპელი მოკავშირეებისათვის. <sup>2</sup> თუმცა ამ პოზიციასთან მიმართებაშიც ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ აშშ-ის აღნიშნული პოლიტიკა არ იყო ცალსახად მომართული საბჭოთა კავშირის „ჩართვაზე“ და ახლდა ბევრი გარეშე, თუ შიდაპოლიტიკური ასპექტი, რომელიც თავისთავშივე შეიცავდა წინააღმდეგობებს აღნიშნული პოლიტიკის გატარებისადმი. <sup>3</sup>

დემოკრატების მიერ „პუტინის“ დამარცხების შემდეგ, როგორც კრემლის, ასევე საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ უზარმაზარი ბირთვული იარაღის საჭიროებას.

<sup>1</sup> ბუშის ამ პოლიტიკას უაღრესად დადებითი რეზონანსი მოჰყვა დემოკრატიულ კონგრესში, რომელიც ბუშს აკრიტიკებდა „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ და B-2 ბომბათმშენის შექმნის პროგრამების გამო.

<sup>2</sup> მართლაც, აშშ დგამს ქმედით ნაბიჯებს ამ მიმართებით საბჭოთა კავშირის „ჩართვისათვის.“ 1989 წ. მაისისათვის, უკვე ძირითადად მოხაზული იყო „ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ“ (CFE). შეიარაღების კვლევებსა და კატეგორიებზე მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ, რაშიც უდაო წვლილი მიუძღვით იმჟამინდელ აშშ სახელმწიფო მდივანს ჯ. ბიკერს და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. შევარდნაძეს, 1990 წ. 19 ნოემბერს, პარიზში საბოლოოდ შესდგა CFE ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელშიც 21 სახელმწიფომ მიიღო მონაწილეობა.

<sup>3</sup> კერძოთ, აქ ვითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს: 1. CFE ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საბჭოთა კონსერვატორული ძალების მიერ წამოყენებული ახალი პრეტენზიების საპასუხოდ, ბუშმა გადაწყვიტა არ მოეთხოვა სენატის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაცია, რაც თავის მხრივ, საბჭოთა კავშირს წარმოაჩენდა, როგორც ხელშეკრულების მიღების ძირითად დაბრკოლებას. 2. მიუხედავად იმისა, რომ 1991 წ. 25 ნოემბერს სენატმა საბოლოოდ მოახდინა CFE ხელშეკრულების რატიფიკაცია, კონგრესმა დაიტოვა უკან დასახვევი გზა და მიიღო დამატება, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის ხელშეკრულებაში დასარჩენად, საჭირო იყო სენატის საგანგებო რეზოლუცია (იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკა უარს იტყოდა მისი პირობების დაკმაყოფილებაზე). 3. საბჭოთა კავშირთან დიალოგს ჩვეულებრივი შეიარაღების თაობაზე საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია ჰყვავდა თვით აშშ-ის პოლიტიკურ ისტებლიშმენტშიც. რესპუბლიკელი „ჰარდლიანერების“ მტკიცებით, პირველ რიგში, CFE ხელშეკრულება საბჭოთა კავშირს მისცემდა ლეგალურ საფუძველს განეღობებინა ჯარები აღმოსავლეთ ევროპაში და, ამავე დროს, გზას გაუხსნიდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაკენ, რითაც საბჭოთა კავშირს აგრეთვე მიეცემოდა შესაძლებლობა მიეღო სესხები სამხედრო პროგრამების დასაფინანსებლად. მეორე რიგშიც, აშშ-ის შიგნით ბუშის პოპულარულობის ზრდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების განვითარების საფუძველზე, ადვილად შეიძლება გამხდარიყო მოსკოვის მხრიდან მანიპულირების

გ) მესამე თვალსაზრისით, საერთაშორისო დესტაბილიზაციის გამორიცხვის ძირითად გზას წარმოადგენს თვით საბჭოთა კავშირში მიმდინარე რესტრუქტურისაციის პროცესების ხელშეწყობა (Congressional Quarterly, June 8, 1991; Allison, Blackwill, 1991, pp. 77-97). აღნიშნული თვალსაზრისი, პირველ რიგში, ეფუძნება დებულებას, რომლის თანახმად აშშ-სთვის აუცილებელია 1970-იანი წლების დაძაბულობის შენელების პერიოდის შეცდომების გათვალისწინება, როდესაც ორმხრივი ურთიერთობები მხოლოდ შეიარაღების კონტროლის მოწესრიგებაზე იყო მიმართული და დროებითი დათბობა მალევე შეცვალა კონფრონტაციის ახალმა საფეხურმა. აღნიშნული თვალსაზრისი ასევე ემყარება იმ ფართო გამოსმაურებას, რომელიც ჰპოვა გორბაჩოვის „გლასნოსტის“ და დემოკრატიზაციის პოლიტიკამ ამერიკულ საზოგადოებაში (Allison, Blackwill, 1991, pp.92-93). აღნიშნულ თვალსაზრისთან მიმართებაში შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემა „ოპერაციულ“ დონეზე მაინც ვერ ანხორციელებდა საბჭოთა კავშირის რესტრუქტურისაციის რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ უზრუნველყოფას. ჩვენი არგუმენტაცია ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

-- მიუხედავად გაკეთებული განცხადებებისა ორმხრივი ვაჭრობის გაფართოების შესახებ, ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების განვითარება საბჭოთა კავშირთან ამ პერიოდში რეალურად შეუძლებელი იყო, ვინაიდან კვლავაც მოქმედი 1974 წლის სავაჭრო აქტის „ჯექსონ-ვანიკის შესწორება“ კრძალავდა საბჭოთა კავშირისათვის „უპირატესი ხელეწყობის სავაჭრო რეჟიმის მონაწილე სახელმწიფოს“ (MFN) სტატუსის მინიჭებას (Congressional Quarterly, June 8, 1991). გარდა ამისა, არსებობდა რიგი ეკონომიკური ფაქტორებისა -- ცენტრალიზებული საბჭოთა ეკონომიკური სისტემა, ცენტრალიზებული საბჭოთა სავაჭრო სისტემა, არაკონვერტირებადი რუბლი, საბჭოთა პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა და სხვა -- რომლებიც ასევე გამორიცხავდნენ საბჭოთა კავშირთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას (US Department of State Dispatch, August 12, 1991).

საგანი. შესაბამისად, ამერიკული ოპოზიცია მიიჩნევდა, რომ „სამშვიდობო დივიდენდებით“ გატაცება ნაადრევი იყო და, რეალურად, აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირზე ზეწოლის კურსის შენარჩუნება.

-- სენატის წამყვანი დემოკრატები ითხოვდნენ, რომ აშშ-ს მიებადა თავისი საერთაშორისო კონკურენტებისათვის და საგარეო დახმარებისთვის უფრო მეტად კომერციული ხასიათი მიენიჭებინა (Congressional Quarterly, June 2, 1990). 1991 წ. მაისში სენატი იღებს დადგენილებას საბჭოთა კავშირისათვის 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გამოყოფის შესახებ. თუმცა, თავად რეზოლუციის ინიციატორის, სენატის უმცირესობის ლიდერის ბობ დოულის თქმით, კრედიტი რეალურად სცილდება დღის წესრიგში მყოფ საგარეო პოლიტიკის საკითხებს და კომერციულ ხასიათს ატარებს (Congressional Quarterly, June 22, 1991). 1992 წ. უკვე იწერება, რომ უდიდესი წილი დასავლეთის 24 მილიარდიანი ერთობლივი დახმარებისა, რომელიც ეგზომ ფართოდ იყო რეკლამირებული პირველ რიგში აშშ-ის მიერ, წარმოადგენდა ჩვეულებრივ სავაჭრო კრედიტებს, ხოლო რეალური დახმარება აქედან მხოლოდ 2 მილიარდს შეადგენდა (Dybvik, Wireless Files, March 18, 1992).

-- 1991 წ. ნოემბრისათვის, აგვისტოს პუტჩის შემდეგაც კი, გამოიკვეთა ორპარტიული ოპოზიცია 1992 წ. თავდაცვის ბიუჯეტის მუხლისადმი, რომელიც 292-მილიარდიანი თავდაცვის ბიუჯეტიდან ითვალისწინებდა 1 მილიარდის გამოყოფას საბჭოთა კავშირის ჰუმანიტარული დახმარებისა და სამხედრო ინდუსტრიის დემობილიზაციისათვის. ოპონენტები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული მუხლი დაარღვევდა მიღწეულ საბიუჯეტო შეთანხმებას, რომელიც აწესებდა რა თავდაცვის, საშინაო და საგარეო ხარჯების ლიმიტებს, კრძალავდა მათ შორის თანხების გადანაწილებას (Congressional Quarterly, November 9, 1991). თავდაცვის ბიუჯეტის ჰუმანიტარული მიზნებისათვის გამოყენებას უარყოფითად შეხვდა ადმინისტრაციაც, რომელიც ამგვარ ზომას ნაადრევად მიიჩნევდა (Congressional Quarterly, August 31, 1991; Congressional Quarterly, Septemebr 7, 1991). საბოლოოდ, კონგრესმა აღნიშნული მუხლი განახევრებული ოდენობით დაამტკიცა (Congressional Quarterly, November 30, 1991).

-- უფრო ზოგად დონეზე, აშშ-ის პოლიტიკურ დებატებში გამუდმებით ისმის კითხვა, თუ რამდენად მართებულია დახმარების გაწევა გორბაჩოვის მთავრობისადმი, რომელიც აშკარად სცდება დემოკრატიული რეფორმების



თავდაპირველ კურსს <sup>1</sup> და, ამავე დროს, არც გადახდისუნარიანია (Mandelbaum, 1991, pp 6-22).

ამგვარად, შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ შიდაპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტი არ არის მზად გაიღოს მნიშვნელოვანი რესურსები საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური რესტრუქტურისაციის ხელშესაწყობად, ხოლო მარშალის გეგმის ტიპის ე.წ. „დიდი გარიგების“ ვალდებულების აღება პოლიტიკურად გაუმართლებლად არის მიჩნეული.

ითვალისწინებთ რა საბჭოთა კავშირისადმი აშშ პოლიტიკური ისტებლიშმენტის ზოგად მიდგომებს და ამ მიდგომების მოტივაციის განხილულ თვალსაზრისებსა და თანმხლებ გარემოებებს, მართებულად მიგვაჩნია მტკიცება, რომ ისტებლიშმენტის „თანამაშრომლობის“ პარამეტრზე, საბჭოთა კავშირის დაშლის საკითხი საბოლოო ჯამში აისახება, როგორც ერთიანი პოზიცია, რომელიც ითვალისწინებს, მაქსიმუმ, სწრაფვას საბჭოთა კავშირის სტაბილური სტრუქტურის შესანარჩუნებლად, და მინიმუმ, საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი კრიზისის ლოკალიზებას მის საზღვრებს შიგნით.

ჩვენი თვალსაზრისის არგუმენტაციისას ასევე გამოვეყოფთ ორ ასპექტს:

1. ქრონოლოგიურად, ჩვენი თვალსაზრისი, ითვალისწინებს რა პოლიტიკური ისტებლიშმენტის პერსონალიების ინდივიდუალურ გამოცდილებას, ეყრდნობა ბუშის საარჩევნო კამპანიისა და მისი პრეზიდენტობის პირველი წელიწადის ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს მის მაქსიმალური უნდობლობას აშშ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობებისა და საბჭოთა რეფორმების მიმართ (Obertortter, 1998, pp. 330-332). აღსანიშნავია ისიც, რომ ბუშის ადმინისტრაციის წამყვანი ფიგურები, სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ბრენტ სკოუპროფტი და თავდაცვის მინისტრი დიკ ჩეინი, ისევე როგორც თვითონ ბუში, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პრეზიდენტ ფორდის ადმინისტრაციის პერიოდში, როდესაც „დეტანტის“ პოლიტიკა კვლავ დაძაბულობის ესკალაციამ შეცვალა.

<sup>1</sup> ამგავრი არგუმენტები ეფუძნება ისეთ ფაქტებს, როგორცაა საბჭოთა ჯარის გალაშქრება ლიტვაზე და ლატვიაზე, მხარდჭერის გაგრძელება ავღანეთის, კუბის, ჩრდილო კორეის დიქტატურებისადმი, სამხედრო პრიორიტეტების შენარჩუნება საბჭოთა მრეწველობის განვითარებაში და სხვა.

ბუშის გუნდი, რეიგანის ადმინისტრაციის ბოლო პერიოდთან შედარებით, ხასიათდებოდა გაცილებით უფრო პრაგმატული და ფრთხილი დამოკიდებულებით საბჭოთა კავშირის მიმართ. როგორც ცნობილია, ბუშს ერთი წელიწადი დასჭირდა, რათა მისულიყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის იმ ზღურბლთან, რომელიც რეიგანის მეორე ვადის ბოლოსთვის იყო მიღწეული. ბუშის შემდგომი ქმედებებიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ ბუშმა თავისი ადმინისტრაციის ბოლომდე შეიანარჩუნა ამგვარი ფრთხილი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და ნაკლებად ექვემდებარებოდა სწრაფვას „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ზოგადი იდეალებისაკენ.

2. მიუხედავად საბჭოთა რეფორმების აშკარა წარუმატებლობისა, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე ბუში აცხადებდა საბჭოთა ცენტრალური მთავრობის მხარდაჭერას, რაც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ნებაყოფილობით ფედერაციად თუ კონფედერაციად ტრანსფორმაციის შესაძლებლობას. აქაც ორ ასპექტზე შევჩერდებით:

ა) მიუხედავად ბუშის განცხადებებისა, რომ ვაშინგტონის პოლიტიკა ვერ დაეფუძნებოდა მხოლოდ ერთ ადამიანს, ანუ „პერესტროიკის არქიტექტორს“ გორბაჩოვს (Congressional Quarterly, May 5, 1990), მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციის პოლიტიკა ფაქტიურად მოსკოვის ცენტრალური მთავრობის, ანუ გორბაჩოვის მხარდაჭერას წარმოადგენდა. მოვიყვანოთ რამდენიმე საგულისხმო გარემოება:

-- ცნობილია, რომ 1989 წ. მაღტის სამიტის შემდეგ (პირველი საბჭოთა-ამერიკული სამიტისა, რომელიც არ ემყარებოდა ცივი ომის პერიოდის აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების მოდელს), „ნატოს“ შტაბბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე ბუშმა საჯაროდ დაუჭირა მხარი გორბაჩოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ გერმანიიდან ჯარების გაყვანის „ხელოვნური დაჩქარება“ ფაქტიურად ამ პროცესის შემაფერხებელი იქნებოდა (Oberdorter, 1998, p 458). მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განცხადების დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ როგორც უაღრესად ფრთხილი პოზიციის გამოხატულებისა, რომლის მიზანია

მაქსიმალურად არ გააღიზინოს მეორე მხარე და შეუქმნას მას, ისევე როგორც მთელ დანარჩენ მსოფლიოს, სრული ლოიალურობის შთაბეჭდილება.

-- 1990 წ. იენისის ვაშინგტონის სამიტისთვის, ადმინისტრაციისათვის უკვე ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ გორბაჩოვის ვარსკვლავი ჩაესვენა. უშუალოდ სამიტის წინ, გორბაჩოვმა უდიდესი პოლიტიკური დარტყმა განიცადა, როდესაც ბორის ელცინი რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს. ნათელი იყო, რომ ამგვარ კონტექსტში, გორბაჩოვს თავისი შერყეული მდგომარეობის გასაძლიერებლად, ჰაერივით ესაჭიროებოდა ვაშინგტონის მხრიდან ეკონომიკური დახმარების აღთქმა და სავაჭრო ხელშეკრულების მიღწევა. მიუხედავად კონგრესის კატეგორიული წინააღმდეგობისა, რომელსაც სავაჭრო ხელშეკრულების განხილვაც კი არ სურდა მანამ სანამ მოსკოვს ეკონომიკურ ბლოკადაში ჰყავდა მოქცეული ლიტვა, ბუშის ადმინისტრაციამ კვლავ გაიზიარა გორბაჩოვის პოზიცია და წავიდა სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, თუმცა იმ პირობით, რომ პრეზიდენტი არ გაუგზავნიდა ხელშეკრულებას კონგრესს, სანამ საბჭოთა კავშირი არ მიიღებდა კანონმდებლობას იმიგრაციის თაობაზე. ლიტვის საკითხი არც კი იყო წამოყენებული როგორც რატიფიკაციის პირობა, ისევე და ისევე გორბაჩოვის პოზიციის გათვალისწინებით.

-- საბჭოთა კავშირის ფართომასშტაბიანი დახმარებისადმი კონგრესის უადრესად წინააღმდეგობრივი პოზიციის ფონზე, ბუში კვლავ ნახულობს საშუალებას, რათა „დააჯილდოვოს“ გორბაჩოვი ერაყის წინააღმდეგ თანამშრომლობისათვის. ვაშინგტონის შუამავლობით, საუდის არაბეთი გამოყოფს 4 მილიარდიან კრედიტს ზამთრის პერიოდში საბჭოთა კავშირის დასახმარებლად.

-- საბჭოთა კავშირის მზარდი დეზინტეგრაციის ფონზე, ბუში ცდილობს კვლავ მოახდინოს გორბაჩოვის მხარდაჭერის დემონსტრირება. 1990 წ. 24 იანვარს ბუში აცხადებს, რომ იგი დარწმუნებულია იმაში, რომ გორბაჩოვი გაუძლებს ეთნიკურ კონფლიქტს აზერბაიჯანში და სეპარატისტულ მოძრაობას ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (Congressional Quarterly, January 27, 1990). 1991 წ. ივლისის ბოლო სამიტის შემდეგ, ბუში საბჭოთა ლიდერის მხარდამჭერი სიტყვით გამოდის კიევში, დამოუკიდებლობის მაძიებელი უკრაინული პარლამენტის წინაშე. იგი მოუწოდებს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს განასხვავონ თავისუფლებისა და

დამოუკიდებლობის ცნებები და აღნიშნავს, რომ „აშშ მხარს არ უჭერს იმათ, ვინც შეეცდება შორეული ტირანია ადგილობრივი დესპოტიზმით შეცვალოს.“ ამ სიტყვამ, რომელიც „წიწილა კიევის“ (ანუ „მფრთხალი კიევის“) სახელით არის ცნობილი, უაღრესად უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა უკრაინის განმანთავისუფლებელ მოძრაობა „რუხზე“ და ნიშანდობლივი იყო სხვა რესპუბლიკებისთვისაც (Oberdorter, 1998, p.458). ბუშის თქმით, მაშინ როდესაც ზოგიერთები მოუწოდებდნენ აშშ მთავრობას გაეკეთებინა არჩევანი გორბაჩოვსა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლიდერებს შორის, „რეალური არჩევანი“ ძალზედ შეზღუდული იყო, ვინაიდან აშშ შეინარჩუნებდა „მაქსიმალურად მტკიცე ურთიერთობებს პრეზიდენტ გორბაჩოვის საბჭოთა მთავრობასთან“ (Brown, 1994, p.521)

ამავე დროს, მოსკოვის ცენტრალური მთავრობისადმი დეკლარირებული მხარდაჭერის ფონზე, ადმინისტრაცია არ იყო მზად ეთხოვა კონგრესისათვის საბჭოთა კავშირის მაშტაბური დახმარების დამტკიცება, ითვალისწინებდა რა: -- ოპონენტების მზარდ კრიტიკას არარეფორმირებული საბჭოთა კავშირის მხარდაჭერისადმი; -- კონგრესის ოპოზიციას საბჭოთა კავშირისთვის მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფისადმი; -- და აშშ-ის საბიუჯეტო დეფიციტს, რაც მწვავე საკითხად დადგებოდა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციას ხელთ არ ეწიფებოდა მიეღო ოპერაციული დონის გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის რეალური, მშვიდობიანი, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ტრანსფორმაციის მისაღწევად.

ბ) აღნიშნულ ვითარებაში, აშშ-ის პოლტიკური ისებლიშმენტი მაქსიმალურად მხარს უჭერს საბჭოთა რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ახალი საკავშირო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც საბოლოოდ 1991 წ. 20 აგვისტოსთვის დაიგეგმა. ამ პერიოდის ანალიტიკურ ლიტერატურაში იწერებოდა, რომ დასავლეთის მთავრობები, აშშ-ის ჩათვლით, მართალია სცნობდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ფაქტიურად საბჭოთა რესპუბლიკების მიერ ამ უფლების გამოყენების წინააღმდეგი იყვნენ და მოუწოდებდნენ კიდევაც მოსკოვს, შეეკავებინა რესპუბლიკების მიწრაფვები სუვერენიტეტისადმი (რა თქმა უნდა, ძალის გამოყენების გარეშე) (Bialer, 1991, p. 173; Laqueur, 1992, p.108) აშშ-სთან

მიმართებით კი საზგასმით აღინიშნებოდა, რომ აბსოლუტამდე აყვანილი თვითგამორკვევის უფლება აშშ-ის კონსტიტუციურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა და მისი განურჩეველი განხორციელება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ასევე ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის ინტერესებს. ამდენად, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მისაღები იქნებოდა 12 საბჭოთა რესპუბლიკისა და ცენტრალური მთავრობისათვის, ასევე მისაღები იქნებოდა აშშ-ის ხელისუფლებისთვისაც (Congressional Quarterly, June 16, 1990; Bzezinski, 1991, pp.1-20).

საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ფორმით შენარჩუნების მისწრაფება არაპირდაპირი ფორმით გამოვლინდა 19 აგვისტოს პუტჩის დღეებშიც, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჩაშალა მომდევნო დღეს დაგეგმილი საკავშირო ხელშეკრულების დადება. მიუხედავად ვაშინგტონის მიერ საბჭოთა ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით უზურპაციის დაგმობისა, 1991 წ. 21 აგვისტოს, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრაზე ბრიუსელში, სახელმწიფო მდივანი ჯ. ბეიკერი აცხადებს, რომ აშშ არ აღიქვამს მოსკოვის პუტჩს, როგორც კონფლიქტს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და შესაბამისად, საბჭოთა ლიდერებს არ მისცემს საბაბს რაიმე გარეშე მუქარის დაშვებისა. ამავე დროს, აშშ კვლავაც გააგრძელებს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას შეიარაღების კონტროლზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება მოსკოვის ხელისუფლების სათავეში (Secretary Baker, August 21, 1991).

პუტჩის ჩავარდნის შემდეგ, როდესაც უკვე სრულიად ნათელი ხდება, რომ საბჭოთა კავშირის ფრაგმენტაცია შეუქცევადი პროცესია, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის მიზანი შეინარჩუნოს საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი ინტეგრირებული სტრუქტურა, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება. 1991 წ. 2 ოქტომბერს კონგრესში გამოსვლისას, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში რობერტ ზოელიკი აღნიშნავს, რომ ძირითადი საკითხი, რომელიც დღისწესრიგში დგება არის თუ რამდენად არის ჯერ კიდევ შესაძლებელი რესპუბლიკების შეკავშირება. ზოელიკის თქმით, თუ პუტჩამდე ცენტრალური მთავრობა მუშაობდა „ერთი-პლუს-ცხრა“ შეთანხმებაზე (ე.ი. გორბაჩოვი პლუს ცხრა რესპუბლიკის ლიდერი), ახლა შესაძლებელი იყო საუბარი „ცხრა-პლუს-ერთი“ შეთანხმებაზე, რაც გულისხმობდა იმას, რომ ახლა

თავად რესპუბლიკები გადაწყვეტდნენ თუ რა ზომით დაუთმობდნენ ისინი ხელისუფლებას ცენტრს. ზოელიკი ასევე აღნიშნავს, რომ არ შეიძლება რესპუბლიკების გაიგივება დემოკრატიულ რეფორმებთან, ვინაიდან ბევრი რესპუბლიკის პოლიტიკური კურსი არ არის გარკვეული, ხოლო ზოგიერთი ლიდერი ცენტრალური ხელისუფლების დაშლას ეროვნული უმცირესობების შესავიწროებლად იყენებს. ზოელიკი ასევე ხაზს უსვამს ახლად დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის ინტეგრაციული ან კოორდინაციული სტრუქტურების შექმნის პრიორიტეტულობას (Zoellick., October 2, 1991, US Department of State Dispatch, October 9, 1991).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ევოლუციის კონცეფციას ეფუძნება აგრეთვე ჯ. ბეიკერის მიერ ჩამოყალიბებული აშშ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობების 5 ძირითადი პრინციპი, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა ლიდერებს დემოკრატიული მმართველობის, კანონის უზენაესობის და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვისაკენ. ეს პრინციპები ასევე უნდა დაედოს საფუძვლად თვით რესპუბლიკებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს (Secretary Baker, September 4, 1991). აღნიშნულ აზრს ყველაზე მკაფიოდ აყალიბებს თავად ბუში, როდესაც ფაქტიურად საუბრობს რესპუბლიკების რეინტეგრაციის ეკონომიკურ ბერკეტებზე. ბუშის თქმით, იმისათვის რომ იმ რესპუბლიკებმა, რომელთაც ცენტრთან კავშირის შენარჩუნება სურთ, მიიღონ დასავლეთის დახმარება, მათ ერთმანეთთან უნდა გააფორმონ ურთიერთობის გარკვეული ხელშეკრულება, რათა დასავლეთისათვის ნათელი იყოს, თუ ვინ არის მისი პარტნიორი მხარე. ხოლო რესპუბლიკებმა, რომელთაც სრული დამოუკიდებლობა სურთ, უნდა გაარკვიონ, თუ როგორ აპირებენ ისინი თავიანთი ეკონომიკური ურთიერთობების წარმართვას რუსეთთან, საბჭოთა კავშირთან და დასავლეთთან (President Bush, August 26, 1991).

ამგვარად, შესაძლებლად მიგვაჩნია მტკიცება, რომ აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ძირითად პოზიციას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ერთიანი, თუმცა თეორიაში ტრანსფორმირებული, სტრუქტურის შენარჩუნება, რაც პირველ რიგში, განპირობებული იყო, ერთი მხრივ, რეგიონალური დესტაბილიზაციის თავიდან აცილების აუცილებლობით და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდ ერთან, რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობით.

ისტებლიშმენტის ამგვარი პოზიცია, ჩვენს მიერ ამავე დროს განიხილება, როგორც დროის მოცემული პერიოდისთვის ისტებლიშმენტის „თანამშრომლობის“ პარამეტრის ცვლადი, რომელიც განაპირობებს „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბებას.

### 3.1.2.4 პოლიტიკური პარტიები

როგორც ვუჩვენეთ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში, მოცემულ პერიოდში, რომელიც ხასიათდება ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით, გამოიკვეთება პარტიების „იდეოლოგიური დაპირისპირების“ პარამეტრი, რომელიც კორელაციაშია აღნიშნულ სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებთან. ამავე დროს, პარტიათა დაახლოების ტენდენცია უფრო მეტად ატარებს „სახელისუფლებო“ დაახლოების ხასიათს, გამომდინარე იმ საერთო ამოცანებიდან, რომლებიც დგება ხელისუფლების ორპარტიული შტოების, ან უფრო ვიწროდ, ორპარტიული კონგრესის წინაშე. პარტიათა „სახელისუფლებო“ დაახლოება დადებით კორელაციაშია აღწერილ საერთაშორისო გარემოს პარამეტრებთან, რომელთაგანაც, ამ შემთხვევაში, ძირითადია „კომუნიზმის დამარცხების“ და „არასტაბილურობის ახალი კერების“ პარამეტრები. მეთოდოლოგიურ ნაწილში ჩვენ ასევე ვუჩვენეთ, რომ პარტიათა ურთიერთქმედება „დაახლოების“ პარამეტრზე დიდად არის განპირობებული საერთაშორისო სისტემის პარამეტრების ცვლადების „რადიკალურობის“ ხარისხით. ჩვენი მოდელის თანახმად, საერთაშორისო სისტემის ცვლადების „რადიკალურობით“ განპირობებული „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრი ასევე დადებით კორელაციაშია პოლიტიკური ისტებლიშმენტის „თანამშრომლობის პარამეტრთან.“

მიგვაჩნია, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი თავისი ინტენსიობით უახლოვდება „რადიკალური“ ცვლადის მნიშვნელობას და შესაბამისად, აისახება პარტიათა „სახელისუფლებო“ დაახლოების პარამეტრზე. ამავე დროს, საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პარამეტრზე, უკვე შესაძლებელია უშუალოდ საქართველოს პრობლემატიკის ცალკე გამოკვეთა.

ამგვარი ასახვის კონკრეტულ შედეგებზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს კონგრესის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“/„ჰელსინკის“ კომისიის მოხსენებები და მოსმენები, რომლებშიც ასახულია კონგრესის ორივე პარტიისა და ორივე პალატის წარმომადგენლების დასკვნები და რომლებიც, პირველ რიგში, ნიშანდობლივია სწორედ რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრინციპების თვალსაზრისით (Hearing: U.S. policy Toward the OSCE, Commission on Security and Cooperation in Europe. October 10, 2002 ).

კონგრესის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“ კომისიის მოხსენებაში საქართველოს 1990 წლის ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ, წარმოჩენილია ის წინააღმდეგობრივი შიდაპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობდა საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.<sup>1</sup> მოხსენების ძირითად თემას წარმოადგენს საქართველოს მიერ გორბაჩოვის „საკავშირო ხელშეკრულების“ უკუგდება და სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება. „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“ კომისია იმედოვნებს, რომ აღნიშნულ გარდამავალ პერიოდში მოვლენათა შემდგომი განვითარება უკარნახებს ვაშინგტონს თუ რა პოზიცია უნდა დაიკავოს მან საქართველოს მიერ სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში. „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“ კომისიის მიდგომა აღნიშნული პრობლემისადმი უადრესად ფრთხილია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მის წევრებთან შეხვედრისას, პრეზიდენტი გამსახურდია განაცხადებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე საქართველოს მიერ

<sup>1</sup> ამ კონტექსტის ძირითადი ასპექტებია: მწვავე კონფლიქტი არჩევნებში გამარჯვებულ „მრგვალ მაგიდასა“ და ოპოზიციურ „ეროვნულ კონგრესს“ შორის, რომლის სისხლიან კონფლიქტში გადაზრდის პოტენციალი უკვე იმთავითვე გამოკვეთილი; მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოსკოვი არ დაუშვებს საქართველოს მიერ თავისი რესურსების სრულ გაკონტროლებას, ან უცხო ქვეყნებთან დამოუკიდებელი ეკონომიკური კავშირების დამყარებას; ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ზღუდავს ეროვნულ უმცირესობებს და სისხლიანი დაპირისპირებების პოტენციალის მატარებელია; შესაძლებლობა იმისა, რომ მოსკოვი გამოიყენებს აღნიშნულ ეთნიკურ დაპირისპირებებს საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად; ზვიად გამსახურდიას ფაქტორი, რომლის პიროვნებისა და პოლიტიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელი როლი დახასიათებულია, როგორც „პოლიტიკის პერსონალიზაცია“ საქართველოში.



სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად (Report on the October 28, 1990 Supreme Soviet Elections in Georgia, Commission on Security and Cooperation In Europe, December, 1990, pp. 163-187).

ვთვლით, რომ ზემოხსენებული დოკუმენტი ამავედროულად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის გამოსავალზე „დეკლარაციული“ დონის ერთ-ერთ შედეგადაც, ვინაიდან იგი, მიუხედავად თავისი აღწერითი ხასიათისა, ფაქტობრივად წარმოადგენს კომისიის პოზიციას და იძლევა პირდაპირ რეკომენდაციას საქართველოს მიმართ აშშ-ის პოლიტიკის თაობაზე.

თუკი ამ დოკუმენტს შევადარებთ ანალოგიურ დოკუმენტს აზერბაიჯანის მიმართ, სადაც 1990 წ. სექტემბერში ასევე ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოში, გამოიკვეთება ის გარემოება, რომ განსხვავებით საქართველოსაგან, აზერბაიჯანის საბოლოო პოზიცია გორბაჩოვის „საკავშირო ხელშეკრულების“ მიმართ საბოლოოდ არ არის დაფიქსირებული. ხაზგასმულია, რომ გამარჯვებული კომუნისტური პარტიის ლიდერის აიაზ მუტალიბოვის ხელისუფლება ქვეყნის პოზიციას „საკავშირო ხელშეკრულების“ მიმართ იყენებს როგორც მოსკოვთან ვაჭრობის ბერკეტს აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტთან მიმართებაში. თუმცა, მსგავსად საქართველოს კონტექსტისა, აშშ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ეძლევა რეკომენდაცია გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე აზერბაიჯანთან პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისას (Report on the September 30, 1990 Supreme Soviet Elections in Azerbaijan, Commission on Security and Cooperation in Europe, 1990, pp. 139-162).

შეშფოთება საქართველოს პოლიტიკური კურსის თაობაზე კიდევ უფრო იზრდება „საკავშირო ხელშეკრულების“ რეფერენდუმთან დაკავშირებით საქართველოს კონტრ-რეფერენდუმის და 1991 წ. აპრილში დამოუკიდებლობის გამოცხადების კვალდაკვალ. კონგრესის „ჰელსინკის“ კომისიის მოხსენებაში, რომელსაც ასევე მივიჩნევთ აღწერითი ტიპის „დეკლარაციული“ დონის შედეგად, ხაზგასმულია საქართველოს შიდა „პოლიტიკური ქაოსის“ მდგომარეობა. პარალელურად, წამოწეულია უაღრესად დაძაბული ეთნიკური ურთიერთობები, სადაც გამოიკვეთება ეთნიკურ უმცირესობათა შეშფოთება გამსახურდიას „საქართველო ქართველებისათვის“ პოლიტიკის თაობაზე. „ჰელსინკის“ კომისიის

დასკვნით, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, აღიარება საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ, დამოკიდებულია საქართველოს მიერ იმ „ფუნდამენტალური საკითხების“ გადაჭრაზე, რომლებიც შეეხება „ერთიერთმიმართებას დემოკრატიასა და წესრიგს შორის.“ საქართველოს უნარს დროულად გადაჭრას აღნიშნული საკითხები კომისია ეჭვით ეკიდება (Report of the Helsinki Commission on the U.S. Congressional Delegation Visit to Vienna, Latvia, Estonia, Lithuania, Georgia, Armenia and Moscow, September 3-10, pp. 21-31, 1991).

თუკი გავაუღებთ პარალელს ანალოგიურ მოხსენებებთან სომხეთის თაობაზე, ვნახავთ თუ რამდენად განსხვავებულია აქცენტები ამ ორი რესპუბლიკის მიმართ ((Report of the Helsinki Commission on the U.S. Congressional Delegation Visit to Vienna, Latvia, Estonia, Lithuania, Georgia, Armenia and Moscow, September 3-10, pp. 33-37, 1991; Report on the Armenian Referendum on Independence, September 21, 1991, October 1, 1991). კერძოდ, სომხეთის 1991 წ. 21 სექტემბრის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის თაობაზე „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“ კომისიის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ სომხეთი არის ერთადერთი რესპუბლიკა, რომელიც დამოუკიდებლობის დამკვიდრებას არსებული საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად ცდილობს.<sup>1</sup>

სომხეთთან შეპირისპირებით, გორბაჩოვის 17 მარტის „საკავშირო რეფერენდუმისადმი“ საქართველოს აგრესიული პოზიცია წამოწეულია ასევე კომისიის სპეციალურ მოხსენებაშიც. „პრავდისა“ და „ტასის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მუქარისა, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო რეფერენდუმში და დადებითად შეაფასა ახალი კავშირის ჩამოყალიბება, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა არაკანონიერად სცნო და გააუქმა 17 მარტის რეფერენდუმის შედეგები. მოხსენებაში ასევე შეფასებულია 1991 წ. 31 მარტის საქართველოს დამოუკიდებლობის „კონტრ-რეფერენდუმის“ შედეგები. აღინიშნება, რომ სამხრეთ

<sup>1</sup> მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მსგავსად, სომხეთმა ასევე უარი განაცხადა გორბაჩოვის რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ მათგან განსხვავებით, „სომხეთის ბოიკოტი ეფუძნება მის გაცხადებულ განზრახვას გამოვიდეს საბჭოთა კავშირიდან საბჭოთა კანონების შესაბამისად.“

ოსეთმა საქართველოს რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა. ასევე საეჭვოდ არის მიჩნეული რეფერენდუმის შედეგები აფხაზეთში, სადაც გამსახურდიას მთავრობის მონაცემების თანახმად, მოსახლეობის 60%-მა მიიღო მონაწილეობა და აქედან 97%-მა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. მოხსენებაში აღინიშნება, რომ ეს ციფრები არ ეთანხმება 17 მარტის რეფერენდუმის მონაცემებს, რომელთა თანახმად, მასში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის მოსახლეობის 52.4%-მა და კავშირის შენარჩუნებას მხარი დაუჭირა 98.4%-მა. მოხსენებაში უარყოფითად არის გაშუქებული 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარების მთელი კონტექსტი, რომელსაც არაქართული მოსახლეობისადმი უშუალოდ პრეზიდენტისაგან მომავალი მუქარა გასდევდა ხაზად (Compendium of reports on the March 17, 1991 Referendum on the Future of the USSR, April, 1991).

ამავე დროს, სომხეთის რეფერენდუმის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, „ჰელსინკის“ კომისიამ კონგრესში წარმოადგინა რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებდა აშშ-ის ხელისუფლებას მხარი დაეჭირა სომხეთის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას (Resolutions on Armenian Independence, October, 1991). კომისიის შესაბამის მოხსენებაში ხაზგასმულია სომხეთის ხელმძღვანელობის „მშვიდი მზადყოფნა“ და უნარი უზრუნველყოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არსებული საბჭოთა კანონმდებლობის სრული დაცვით (Report of the Helsinki Commission on the U.S. Congressional Delegation Visit to Vienna, Latvia, Estonia, Lithuania, Georgia, Armenia, and Moscow, September 3-10, 1991). 1991 წ. 16 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ტერ-პეტროსიანის გამარჯვება „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის“ კომისიის მიერ ასევე შეფასებულია როგორც დამოუკიდებლობის საკითხზე სომხეთის მოსახლეობის მხარდაჭერა ტერ-პეტროსიანის პრაგმატული პოლიტიკისადმი (Report on the Presidential Elections in Armenia, Presidential Elections and Independence Referendums in the Baltic States, the Soviet Union and Successive States, a Compendium of Reports 1991-1992, Commission on Security and Cooperation in Europe, August 1992, p.82) .

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შეფასებები, რომლებიც ფიქსირდება შესაბამის მოხსენებებსა და მოხსენებებში, ამავე დროს ერთიანდება საერთო შეფასებაში

„საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის მიართ. ეს შეფასებაა: სისხლიანი დაპირისპირებების პოტენციული გაჯერებული კონტექსტის არსებობა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესის დემოკრატიულ-სამართლებრივ საფუძვლებს. ამგვარი შეფასება თავის მხრივ განაპირობებს გარკვეულ ორპარტიულ პოზიციას, რომელიც გულისხმობს პოლიტიკოსთა მხრიდან რაიმე კონკრეტული ვალდებულებებისაგან თავის შეკავებას.

აღნიშნული საერთო პოზიცია ჩვენს მიერ განიხილება, როგორც პარტიათა „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრის ცვლადი, რომელიც განსაზღვრავს „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბებას.

3.1.3 აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების შედეგები „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ცვლადთან“ მიმართებაში

ამგვარად, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი, შედის რა ურთიერთქმედებაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის გარემოს ორი შრის -- საერთაშორისო გარემოსა და შიდაპოლიტიკური გარემოს -- პარამეტრებთან და ცვლადებთან, ვითარდება, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხი, რომელიც თავის მხრივ, გარდატყდება რა საგარეო პოლიტიკის სისტემის შესაბამის რეჟიმებში, საბოლოოდ ყალიბდება, როგორც სისტემის გამოსავალზე არსებული შედეგი. საკუთრივ როგორია ამგვარად ჩამოყალიბებული საკითხი?

ზემოთ განხილული ურთიერთქმედებების საფუძველზე მივიჩნევთ, რომ აღნიშნული საკითხი დგება ორი ასპექტით: პირველი, უფრო ვიწრო ასპექტით, რომელიც უკავშირდება უშუალოდ საქართველოს პრობლემატიკას, მიგვაჩნია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხი დგება, როგორც საკითხი ქვეყნისა, რომელიც რეალურად არ არის მზად ამგვარი ამოცანისთვის, არც პოლიტიკური ხელმძღვანელობის, არც სამოქალაქო საზოგადოების, არც ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. მეორე, უფრო ფართო ასპექტით, რომელიც უკავშირდება ზოგადად საბჭოთა კავშირის დაშლის პრობლემატიკას, მიგვაჩნია, რომ

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხი დგება, როგორც საკითხი წვერი რესპუბლიკისა, რომლის გამოყოფაც ზოგადად მიუღებელია თვით საბჭოთა კავშირის დაშლის თვალსაზრისით.

ჩვენი მოდელის თანახმად, ამგვარად ფორმირებული საკითხი უკვე გარდატეხება საგარეო პოლიტიკის სისტემის შესაბამის რეჟიმებში, რომლებიც განპირობებულნი არიან და რეაგირებას ახდენენ საერთაშორისო თუ შიდაპოლიტიკური შრეების იმ პარამეტრებზე და ცვლადებზე, რომლებთანაც ურთიერთქმედებს განხილული „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი. როგორც ვუჩვენეთ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში, ეს რეჟიმებია:

- 1) „ევროპის გაფართოებულ არეალზე სტაბილურობის და მოწესრიგებულობის შენარჩუნება.“ აღნიშნული რეჟიმი, როგორც ითქვა, რეაგირებს საერთაშორისო სისტემის შრის „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრზე და ჩვენს შემთხვევაში, უფრო ვიწროდ,- „ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის“, „საკავშირო ხელშეკრულების“, და „პუტჩის“ ცვლადებზე, რომლებიც როგორც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, აკნინებენ, საკუთრივ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის მნიშვნელობას და, მეორე მხრივ, ეჭვის ქვეშ აყენებენ მის თავისთავად დემოკრატიულ „ღირებულებას.“ როგორც ითქვა, სისტემის გამოსავალზე, მოცემული რეჟიმი განსაზღვრავს როგორც დეკლარაციული, ასევე ოპერაციული დონის შედეგებს, რომელთა შორისაც უმთავრესად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, „ნატოს“ და, მეორე მხრივ, „ეუთკ“-ს ახალი პოლიტიკური მისიების განვითარება.
- 2) „განრიდების“ რეჟიმი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული რეჟიმი რეაგირებს ნეგატიური შინაარსის მატარებელი მედიის „წყვეტილი გაშუქების“ და საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრებზე. სისტემის გამოსავალზე ამგავრი რეჟიმი განსაზღვრავს დეკლარაციული და ოპერაციული დონის „ჩაურევლობის“ პოლიტიკის შედეგებს.
- 3) სპეციალური ინტერესების შესაბამისი „ვიწრო ოპერირების რეჟიმი.“ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული რეჟიმი, რეაგირებს რა არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების მხრიდან პოლიტიკურ

ისტებლიშმენტიზე „კლიერი ზემოქმედების“ პარამეტრზე, სისტემის გამოსავალზე ხელს უწყობს საკმაოდ ხისტი „მორალისტური“ პოლიტიკის განვითარებას.

4) „ქმედითი დახმარების აღმოჩენის შეზღუდული უნარი.“ აღნიშნული რეჟიმი რეაგირებს პოლიტიკური პარტიების „სახელისუფლებო დაახლოების“ და „იდეოლოგიური დაპირისპირების“ პარამეტრებზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული რეჟიმი, პირველ რიგში, რეაგირებს ნეგატიური შინაარსის მატარებელ „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრზე და სისტემის გამოსავალზე ხელს უწყობს დეკლარაციული და ოპერაციული დონის „დისტანცირების,“ ან განდგომისა და ჩაურევლობის პოლიტიკის შედეგებს.

5) „ინდივიდუალურ მოვლენებზე ინდივიდუალურ რეჟიმში რეაგირება.“ აღნიშნული „რეაქტიული“ ხასიათის რეჟიმი რეაგირებს საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტის „თანამშრომლობისა“ და „გამიჯნულობის“ პარამეტრების მონაცვლეობაზე. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი ძირითადად აისახება ისტებლიშმენტის სამივე „შტოს“ ლიდერების ნეგატიური შინაარსობრივი დატვირთვის მქონე „თანამშრომლობის“ პარამეტრზე. აღნიშნული რეჟიმი სისტემის გამოსავალზე განაპირობებს ე.წ. „სტატუს ქვოს“ პოლიტიკის დეკლარაციულ და ოპერაციულ შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ სისტემის ოპერირების ბოლო ოთხი რეჟიმი, რომელიც უკავშირდება შიდაპოლიტიკური შრის იდეოლოგიური სტრუქტურის პარამეტრებს, ამავე დროს, რეაგირებს შიდაპოლიტიკური შრის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის „ნეგატიურ“ პარამეტრებზეც, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ „ნაკლებად ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის“ რეჟიმს.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ზემოხსენებულ რეჟიმებში გარდატეხის და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გავლის შედეგად, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხი სისტემის გამოსავალ ეტაპზე იღებს, როგორც დეკლარაციული, ასევე ოპერაციული დონის, ნეგატიური შინაარსობრივი დატვირთვის მქონე შედეგის სახეს (იხ. დანართი 3).

კერძოდ, აღნიშნული შედეგი ეწინააღმდეგება საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ დეკლარირებულ ე.წ. „ორი-მიმართულების“ პოლიტიკას (two-track policy), რომელიც სენატორ ჯ. ბიდენის თქმით, ერთი მხრივ, გულისხმობს

თანამშრომლობას მოსკოვთან შეიარაღების კონტროლისა და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის საკისებზე, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს პირდაპირ ურთიერთქმედებას რესპუბლიკებთან დემოკრატიული განვითარების ხელშესაწყობად (Biden, J. Hearing before the U.S. Senate Subcommittee on European Affairs of the Committee on Foreign Relations, February 28, 1991, p.19).

აღნიშნული შედეგი არ ითვალისწინებს არსებულ რეკომენდაციებს აშშ-ის ხელისუფლებისადმი დაამყაროს პირდაპირი ურთიერთობები და გაუწიოს პირდაპირი დახმარება რესპუბლიკებს მოსკოვის ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმების გარეშე (Hearing before the Subcommittees on Europe and the Middle East on Human Rights and international Organizations of the Committee on Foreign Affairs House of Representatives, March 13, 1991, p.23) .

აღნიშნული შედეგი უზულებელყოფს კონგრესში წარმოქმულ მოწოდებებს განხორციელდეს დიპლომატიური და ეკონომიკური ზეწოლა მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებაზე, რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების აღსაკვეთად.

1990 წ. სენატის საკომიტეტო მოსმენაზე ზ. ბუეზინსკი სვამდა კითხვას, თუ რა უნდა მოემოქმედებინა აშშ-ს, თუკი დამოუკიდებლობის მოძრაობები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, ან უკრაინა წინააღმდეგობაში მოვიდოდა გორბაჩოვის პოლიტიკასთან (Bzezinski, July 24, 1990, p.3). როგორც სჩანს პასუხი ამ შეკითხვაზე ითვალისწინებდა უმოქმედებას, რაც მიუხედავად დეკლარირებული მხარდაჭერისა დემოკრატიული პროცესებისადმი, პრაქტიკულად ცენტრალური მთავრობის მხარდაჭერას გულისხმობდა.

ამავე დროს, აშშ-ის ამგვარი პოლიტიკის შედეგები საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. ერთი მხრივ, მისი შიდა და გარე უსაფრთხოების უადრესად მყიფე ბალანსის მდგომარეობაში, საქართველო აღმოჩნდა კლასიკური „უსაფრთხოების დილემის“ წინაშე, როდესაც ქვეყანა, ცდილობს რა საკუთარი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების დამკვიდრებას, საფრთხეს უქმნის სხვათა (ამ შემთხვევაში საქართველოს ავტონომიური ერთეულების) დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას, რომლებიც შემგომ უკვე თავის მხრივ, ემუქრებიან მის სუვერენიტეტს. თუმცა მეორე მხრივ, არსებული

შიდა და გარე უსაფრთხოების კრიტიკულ პირობებში, საქართველო არ მისდევს ძლიერ სახელმწიფოსთან ე.წ. „მიტმასნების“ (bandwagoning) ასევე ცნობილ პოლიტიკას, რომელსაც ხშირად ახორციელებენ სუსტი სახელმწიფოები მათი უსაფრთხოების პრობლემების პირისპირ.<sup>1</sup> ლიბერალიზმის თეორიის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო იბრძვის იმ „აბსოლუტური“ ძალაუფლებისათვის, რომელიც მდგომარეობს მისთვის სასურველი შედეგის (ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობის დამკვიდრების) მიღწევაში, და არა იმ „რელატიური“ ძალაუფლებისათვის, რომელიც მდგომარეობს მისი ოპონენტების დაძლევაში. აღნიშნულის ფონზე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მაგალითი მისი სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ პერიოდში, ე.წ. „ჰეგემონის სტაბილურობის“ თეორიის საწინააღმდეგოდ, არღვევს საერთო სტაბილურობის იმ რეჟიმს, რომლის შენარჩუნებასაც ცდილობდა აშშ ევრაზიის კონტინენტზე.

### 3.2 პროგნოზის ფუნქცია

აღწერილი მრავალფაქტორიანი ანალიზის მოდელი, გარკვეული ექსტრაპოლაციის საფუძველზე, ამავე დროს იძლევა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემაში საქართველოს შიდაპოლიტიკური სისტემისა და საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის განსაზღვრული ცვლადების ასახვის შესაძლო მიმართულებების პროგნოზირების საშუალებას. ჩვენს მიერ გაანალიზებულ შემთხვევაში, მოდელის პროგნოზის ფუნქცია უკვე ბუნებრივია შეეხება არა იმდენად „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ კონკრეტულ საკითხს, რამდენადაც მის დროში ადაპტირებულ ვარიაციას -- „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრებას,“ რომელსაც ასევე განვიხილავთ, როგორც „საქართველოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფის“ ფართო პარამეტრის ცვლადს.

ამ ნაშრომის ფარგლებში, ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამგვარი ასახვის ზედმიწევნითი პროგნოზი, თუმცა მოდელის მუშაობის ილუსტრაციის მიზნით,

<sup>1</sup> „მიტმასნების“ პოლიტიკის თაობაზე იხ: დარჩიაშვილი, დ., პატარაია, თ. „დაბრუნება ევროპაში? საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტი,“ ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ნომერი 44, სექტემბერი, 2000, გვ. 38-51; რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996, გვ. 122-124.



შევეცდებით ვუჩვენოთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ის ზოგადი ტენდენციები, რომლებიც მოსალოდნელი უნდა იყოს საერთაშორისო გარემოს, აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის „ობიექტი“ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში საქართველოს, საგარეო პოლიტიკის ორიენტაციისა და შიდაპოლიტიკური გარემოს განვითარების შესაძარ პირობებში.

კერძოდ, მიგვაჩნია, რომ შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც:

1. საერთაშორისო გარემოსათვის კვლავაც დამახასიათებელი იქნება „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრის გაგრძელებული მოქმედება, ისევე როგორც „არასტაბილურობის ახალი კერების“ და „ახალი საფრთხეების განვითარების“ პარამეტრების მოქმედება (რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული და შეადგენენ საერთაშორისო გარემოს „მოუწესროგებლობის“, „არასტაბილურობის“ და „იზოლაციონიზმის“ მახასიათებლებს);

2. აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისთვის კვლავაც დამახასიათებელი იქნება ეკონომიკური ზრდის შედარებით ნელი ტემპის, ბიუჯეტის დეფიციტის განვითარების, და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის განვითარების პარამეტრები;

3. აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს იდეოლოგიური სტრუქტურისთვის დამახასიათებელი პარამეტრებიდან, მოცემულ ცვლადთან მიმართებაში, კვლავაც გამოიკვეთება პოლიტიკური პარტიების „სახელისუფლებო დაახლოების“, საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“, მასმედიის „წყვეტილი გაშუქების“, სპეციალური ინტერესების „ძლიერი ზემოქმედების“ და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ლიდერების „თანამშრომლობის“ და ლიდერებსა და ბიუროკრატიულ აპარატს შორის „გამიჯნულობის“ პარამეტრები;

4. „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების“ ცვლადი, საერთაშორისო გარემოს შრეზე ურთიერთქმედების შედეგად, თავისი ინტენსივობის ხარისხით კვლავაც მიუახლოვდება „რადიკალურ“ მნიშვნელობას; და ბოლოს,

5. საქართველოს, როგორც „ობიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკურ და საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის სისტემაში არ იქნება მიღწეული მნიშვნელოვანი ძვრები სამოქალაქო საზოგადოების, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის და რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებაში;

„საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების“ საკითხი შესაძლოა ჩამოყალიბდეს, როგორც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხი, რომელშიც კვლავაც შემდეგი ძირითადი ასპექტები იქნება გამოკვეთილი:

- „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების“ საკითხის შედარებითი დაკნინება ევრაზიის კონტინენტზე დსთ-ს მყარი სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირისპირ;
- „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების“ საკითხის ასოცირება მის შიდაპოლიტიკურ და საგარეო ურთიერთობათა დაპირისპირებებთან;
- „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების“ საკითხის ასოცირება პოლიტიკური ელიტის ნაციონალისტურ-შოვინისტურ განწყობებთან და ქმედებებთან;
- „საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების“ საკითხის დემოკრატიულ ღირებულებათა ეჭვქვეშ დაყენება.

ამგვარი „პესიმისტური სცენარით“ ფორმირებული საკითხი, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ზემოთ აღწერილ რეჟიმებში გარდატეხის შედეგად, სისტემის გამოსავალზე, საგარაუდოდ მიიღებს ოპერაციული და დეკლარაციული დონის შედეგის სახეს, სადაც შემდეგი ორი მიმართულება იქნება გამოკვეთილი: 1. საქართველოს მრავალმხრივ საერთაშორისო ფორუმებში მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა (არსებული საკითხების გადაჭრის „კოლექტიური“ გზების ძიების მიზნით); 2. აშშ-ის მხრიდან საქართველოს პოლიტიკური პროცესებში ქმედითი ცალმხრივი მონაწილეობის გამორიცხვა. მეორე მიმართულება, რომელიც სრულებითაც არ გამორიცხავს პირველს, თავის მხრივ, შეიძლება მოიცავდეს: -- საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის ტექნიკური დახმარების შეკვეცას; -- საქართველოს პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტების მოგვარებაში საშუაშაველო როლის მინიმიზაციას; -- საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერის მინიმიზაციას.

ბუნებრივია, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის გარემოს ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების განსხვავებული კომბინაციების შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი სხვა სახით დადგება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემაში და მის შესაბამის რეჟიმებში გარდატეხის შემდგომ სხვა შედეგის სახეს მიიღებს, რომელიც, საგარაუდოდ, გაცილებით უფრო ოპტიმისტური იქნება. თუმცა,

მიგვაჩნია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ყველაზე „პესიმისტური“ სცენარის განვითარების შემთხვევაშიც, ქვეყნის როლი მსოფლიო წესრიგის ე.წ. „ჰეგემონური“ უზრუნველყოფის პროცესში არ დაკნინდება, თუკი მისი დამოუკიდებელი პოლიტიკა კვლავაც იქნება მიმართული ლიბერალური გაგებით „აბსოლუტური“ ძალაუფლების მიღწევაზე.

ბუნებრივია, ყველა შესაძლო კომბინაციების გათვლა, არ შედის მოცემული ნაშრომის მიზნებში, თუმცა ვთვლით, რომ შემოთავაზებული მოდელი იძლევა ამგვარი ანალიზის შესაძლებლობას.

## დასკვნა

ჩვენი კვლევის მიზნების თანახმად, ნაშრომში წარმოდგენილია საგარეო პოლიტიკის ანალიზის ზოგადი მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება რა საერთაშორისო ურთიერთობათა და სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური პროცესების კვლევათა ურთიერთმიმართებას, განსაზღვრავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის, როგორც ღია, დინამური სისტემის კონცეპტუალურ და ოპერაციულ მხარეებს. კონცეპტუალურ დონეზე, საგარეო პოლიტიკის სისტემა წარმოდგენილია, როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური ურთიერთქმედებების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხდება საგარეო პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური ღირებულებების პროექცირება იმ სახელმწიფოს საზოგადოებაზე, რომლის მიმართაც ხორციელდება საგარეო პოლიტიკა. თუმცა ძლიერი ჰეგემონისა და სუსტი სახელმწიფოს ურთიერთქმედების შემთხვევაშიც კი (მოცემულ ნაშრომში, აშშ-სა და საქართველოს მაგალითზე), ამგვარ პროექცირებას არა აქვს აუცილებელი ხასიათი. ოპერაციულ დონეზე, საგარეო პოლიტიკის სისტემა წარმოდგენილია, როგორც დროითი და სივრცითი ურთიერთქმედებების ერთობლიობა, რომელიც ფუნქციონირებს შესაბამის გარემოში და რეაგირებს ამ გარემოსათვის დამახასიათებელ შესაბამის პარამეტრებზე და მათ შემადგენელ ცვლადებზე.

შემუშავებული მეთოდოლოგია გვთავაზობს სისტემის ოპერირების გარემოს ე.წ. „კონცენტრულ“ მოდელს, რომლის ქვესისტემები -- საერთაშორისო სისტემა, საგარეო პოლიტიკის „სუბიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა და

საგარეო პოლიტიკის „ობიექტი“ სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური სისტემა და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია -- შეადგენენ ერთმანეთის მიმართ ურთიერთშედწევად შრეებს. თითოეული შრის პარამეტრები და ცვლადები, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დატვირთვის შესაბამისად, კორელაციაში არიან ერთმანეთთან და განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმებს. მოცემული მოდელი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საგარეო პოლიტიკის კონკრეტული საკითხების წარმოქმნისა და შემდგომი განვითარების პროცესი.

სისტემის შესავალ ეტაპზე გამოყოფილია ორი ტიპის ცვლადები: მაღალი ინტენსივობის მქონე ე.წ. „რადიკალური“ ცვლადები, რომლებიც გარკვეული ხარისხით ორიენტაციას უცვლიან სისტემას და უბიძგებენ მას თვისობრივად ახალი შედეგების მიღებისაკენ; და შედარებით დაბალი ინტენსივობის მქონე „ლიბერალური“ ცვლადები, რომლებიც არ უბიძგებენ სისტემას ახალი შედეგებისაკენ და მას საშუალებას აძლევენ მეტ-ნაკლებად იგივე „რეჟიმში“ გააგრძელოს ფუნქციონირება. სისტემის გამოსავალ ეტაპზე გამოყოფილია „დეკლარაციულ“ და „ოპერაციულ“ შედეგთა ორი ფართო კატეგორია, რომელთა ურთიერთმიმართებათა ვარიაციები, თავისი თანმიმდევრულობის ხასიათის მიხედვით, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის შეიძლება განსხვავებული იყოს. სისტემის შესავალსა და გამოსავალს შორის არსებული გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე გამოკვეთილია საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ უწყებათა ურთიერთქმედების არაფორმალურ-ფუნქციონალური და საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პერსონალიების ინდივიდუალ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთქმედებენ სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სისტემის ცვლადებთან.

შემუშავებული ზოგადი მეთოდოლოგია და მის საფუძველზე განხორციელებული ანალიზი, ამავე დროს, საშუალებას იძლევა გაეცეს დადებითი პასუხი საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის სამ, ჩვენი აზრით, კარდინალურ კითხვას: -- წარმოადგენს თუ არა საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ერთიანი სოციალური, პოლიტიკური, ეთიკური და ეკონომიკური თეორიის ნაწილს და ამავედროულად მოიცავს სოციალური სინამდვილის შემეცნების ყველა ამ აღნიშნულ ასპექტს; -- იძლევა თუ არა საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

„ნორმატიული“ თვალსაზრისის განვითარების შესაძლებლობას, სადაც პოლიტიკის ეთიკისა და მორალის საკითხები იძენს ისეთივე მნიშვნელობას, როგორც წმინდა რაციონალური საკითხები; -- ცნობს თუ არა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ ძალებსა და გარეშე მოვლენებს, როგორც სახელმწიფოს განვითარების თანაბარუფლებიან ფაქტორებს.

საგარეო პოლიტიკის ანალიზის ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე, ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონკრეტული სახელმწიფოს, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ანალიზის მოდელი, რომელიც სისტემის ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს წარმოაჩენს კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ფონზე. მოცემულ ფონზე, რომელიც მოიცავს ცივი ომის დასრულებისა და უშუალოდ მის შემდგომ პერიოდს, როდესაც მეტ-ნაკლები სიმკვეთრით ჩამოყალიბდა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ განვითარების კონტურები, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების გარემოს ქვესისტემებში გამოყოფილია კონკრეტული პარამეტრები, რომლებიც, განსაზღვრავენ რა სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმებს, შეადგენენ ნებისმიერი ცალკე აღებული სახელმწიფოს მიმართ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემუშავების კონტექსტს.

ა) საერთაშორისო გარემოს ქვესისტემაში, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია „მოწესრიგებულობა-მოუწესრიგებლობის“, „სტაბილურობა-არასტაბილურობის“ და „ინტეგრაცია-იზოლაციის“ მახასიათებლებით, გამოყოფილია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრები და მათ მიერ განსაზღვრული რეჟიმები: 1. „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრი, საერთაშორისო სისტემას ახასიათებს „მოუწესრიგებლობის“ და „არასტაბილურობის“ მახასიათებლების მიხედვით და განსაზღვრავს სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმს, რომელიც მიმართულია ევროპის გაფართოებულ არეალზე სტაბილურობის და მოწესრიგებულობის შენარჩუნებისაკენ საგარეო პოლიტიკის შედარებით დანაწევრებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გზით. 2. „არასტაბილურობის ახალი კერების აღმოცენების“ პარამეტრი საერთაშორისო სისტემას ასევე ახასიათებს „მოუწესრიგებლობის“ და „არასტაბილურობის“ მახასიათებლების მიხედვით და განსაზღვრავს სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმს, რომელიც მიმართულია მოკავშირეთა ძიებასა და ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირებაზე უსაფრთხოების საერთო პრობლემების

გადასაჭრელად. 3. „ახალი საფრთხეების განვითარების“ პარამეტრი საერთაშორისო სისტემას ახასიათებს არა მხოლოდ და არა იმდენად „მოწვესრიგებლობისა“ და „არასტაბილურობის“ მიმართულებით, რამდენადაც „ინტეგრაცია-იზოლაციის“ წყვილი მახასიათებლის ღერძზე, ინტეგრაციის მიმართულებით და განსაზღვრავს სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმს, რომელიც ოთხ მიმართულებას მოიცავს: -- შეიარაღების გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ხელშეწყობას; -- რეგიონალური უსაფრთხოების გაძლიერებას; -- მარგინალურ სახელმწიფოთა მიმართ სანქციების განხორციელებას; -- აშშ-ის საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. აღნიშნული სამი პარამეტრი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემას ანიჭებს ოპერირების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს რეჟიმს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აშშ-ის საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას -- გლობალური მასშტაბით დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას. 4. „ახალი ეკონომიკური ცენტრების შექმნის“ პარამეტრი საერთაშორისო სისტემას ახასიათებს „ინტეგრაციისა“ და „არასტაბილურობის“ საკმაოდ მყიფე ბალანსის მდგომარეობით და განსაზღვრავს ზოგად რეჟიმს, რომელიც საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებზეა ფოკუსირებული. 5. „სახელმწიფოებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების“ პარამეტრი საერთაშორისო სისტემას ახასიათებს „მოწვესრიგებულობის“, „სტაბილურობის“, და „ინტეგრაციის“ მახასიათებლებით და განსაზღვრავს სისტემის ოპერირების რეჟიმს, რომელიც მიმართულია როგორც გლობალური მასშტაბის უსაფრთხოების და ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად, ასევე საკუთრივ, აშშ-ის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის შესავალზე გამოყოფილი საერთაშორისო სისტემის პარამეტრები (და კონკრეტული ცვლადები) განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ერთიან ზოგად რეჟიმს, რომელშიც გამოვეყოფით ორ ურთიერთშედწევად დონეს: გლობალურ დონეს და ეროვნულ დონეს. გლობალურ დონეზე, სისტემის მიზანია საერთაშორისო გარემოს უსაფრთხოების, პოლიტიკური სტაბილურობის და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა; ეროვნულ დონეზე, სისტემის მიზანია საკუთრივ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების, პოლიტიკური სტაბილურობის და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მოცემული დონეები ურთიერთშედწევადია და

სისტემის ოპერირების წარმატება ერთ დონეზე განაპირობებს მის წარმატებას მეორე დონეზე.

ბ) აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს ქვესისტემაში, რომელშიც ცალ-ცალკე განხილულია სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური სტრუქტურები, გამოყოფილი პარამეტრები და მათ მიერ განსაზღვრული რეჟიმები ხასიათდება მეტი ცვალებადობით, რომლის ამპლიტუდაც, აღებულ დროის პერიოდში, მოიცავს ორ ფაზას.

პირველი ფაზა (1989-1995 წ.), რომელსაც ვუწოდებთ „ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების“ ფაზას, ხასიათდება შემდეგი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით: 1. „ეკონომიკური ზრდის შედარებით ნელი ტემპი“; 2. „საბიუჯეტო დეფიციტი“; და 3. „სავაჭრო ბალანსის დეფიციტი“. აღნიშნული პარამეტრები მოითხოვს რა ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას და მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარებას, განაპირობებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმს, რომელიც გულისხმობს: -- ნაკლებად ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას; და -- საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტების წამოწევას.

მეორე ფაზა (1995-2000 წ.), რომელსაც ვუწოდებთ „პოზიტიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზას, ხასიათდება შემდეგი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით: 1. „ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი“; 2. „სავაჭრო ბალანსის დეფიციტი“; და 3. „ბიუჯეტის პროფიციტი“. პირველი ორი პარამეტრი, მოითხოვს რა აღმავალი ეკონომიკური ციკლის „შერბილებას“ და შიდა რესურსების მობილიზაციას, ასევე განაპირობებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმს, რომელიც ძირითადად გულისხმობს: -- ნაკლებად ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას; და -- საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტების წამოწევას; ხოლო „ბიუჯეტის პროფიციტის“ პარამეტრის საპასუხოდ, რომელიც შიდა პოლიტიკურ დონეზე უშვებს ნაკლებად შეზღუდული სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის გატარებას, სისტემის ოპერირების რეჟიმი გულისხმობს უფრო ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.

შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შედარებით მუდმივი პარამეტრები და მათი შემადგენელი ცვლადები, განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების ზოგად რეჟიმს, რომელშიც ასევე გამიყვოფთ ორ ურთიერთშედეგწევად გლობალურ და ეროვნულ

დონეს. გლობალურ დონეზე სისტემის მიზანია გლობალური ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა; ხოლო ეროვნულ დონეზე -- საკუთრივ აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების ლობირება. აღნიშნულ დონეებზე სისტემის ოპერირების ბალანსი (ანუ ოპერირების რომელი დონე არის წამყვანი დროის გარკვეულ მონაკვეთზე) განაპირობებს სისტემის ოპერირების მეტად თუ ნაკლებად ექსპანსიურ ხასიათს, ანუ იმ ხარისხს, რომლითაც სრულდება ე.წ. „ამერიკული მისია“ მსოფლიო მასშტაბით.

ამავე დროს, გამოკვეთილია გარკვეული კორელაცია საერთაშორისო გარემოს პარამეტრებსა და შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებს შორის. კერძოდ, დადებითი შინაარსობრივი დატვირთვის კორელაციად არის წარმოდგენილი კორელაცია, ერთი მხრივ, „კომუნიზმის დამარცხების“, „ახალი ეკონომიკური ცენტრების წარმოქმნის“ და „სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების“ პარამეტრებსა და, მეორე მხრივ, აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობის „პოზიტიურ“ სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს შორის. უარყოფითი დატვირთვის კორელაციად არის წარმოდგენილი კორელაცია, ერთი მხრივ, „არასტაბილურობის ახალი კერების წარმოქმნის“ და „ახალი საფრთხეების განვითარების“ პარამეტრებსა და, მეორე მხრივ, აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობის „ნეგატიურ“ სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს შორის. არსებული კორელაცია საერთაშორისო გარემოს და შიდაპოლიტიკური გარემოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის პარამეტრებს შორის აისახება შესაბამის კორელაციაში აღნიშნული პარამეტრებით განპირობებული საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმებს შორის.

შიდაპოლიტიკური გარემოს იდეოლოგიურ სტრუქტურაში გამოყოფილია შემდეგი წყვილი პარამეტრები: 1. „ნეგატიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზა ხასიათდება პოლიტიკური პარტიების „იდეოლოგიური დაპირისპირების“ - „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრით. „პოზიტიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზა ხასიათდება პოლიტიკური პარტიების „სახელისუფლებო დაპირისპირების“ - „იდეოლოგიური დაახლოების“ პარამეტრით. აღნიშნული პარამეტრები, კორელაციაშია მოცემული პერიოდის აღწერილ სოციალურ-ეკონომიკურ და საერთაშორისო გარემოს პარამეტრებთან და მათი შემადგენელი ცვალებების ინტენსიობის ხარისხთან და გაპირობებენ აშშ საგარეო



პოლიტიკის სისტემის ოპერირების რეჟიმს, რომელიც ზოგადად ზღუდავს აშშ-ის უნარს აღმოუჩინოს ქმედითი მხარდაჭერა, როგორც დაშლის პირას მდგარი, ასევე უკვე ცალკეულ რესპუბლიკებად დაშლილ საბჭოთა კავშირს. სისტემის გამოსავალზე მიღებული „დეკლარაციული“ თუ „ოპერაციული“ დონის შედეგები არ გამოირჩევა კომპლემენტარულობით და ასუსტებს ერთმანეთის ეფექტურობას. 2. „ნეგატიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზა ხასიათდება ერთმანეთთან კორელაციაში მყოფ მედიის საერთაშორისო მოვლენების „წყვეტილი გაშუქების“ და იგივე საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრებით. მოსახლეობაში ე.წ. „გულ შემატკივრობისაგან დაქანცულობის“ სინდრომის განვითარების ფონზე, საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ პარამეტრი უარყოფით კორელაციაშია პოლიტიკური პარტიების „სახელისუფლებო დაახლოების“ პარამეტრთან, რომელიც მეტ-ნაკლებად ინტერნაციონალისტური ხასიათისაა. ორივე პარამეტრი ამავე დროს კორელაციაშია საერთაშორისო გარემოს პარამეტრებთან, რომლებიც საერთაშორისო გარემოს წარმოადგენენ „მოუწესრიგებლობის“, „არასტაბილურობის“ და „დეზინტეგრაციის“ მახასიათებლებით. „პოზიტიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზა ხასიათდება ასევე ერთმანეთთან კორელაციაში მყოფი მედიის საერთაშორისო მოვლენების „ინტენსიური გაშუქების“ და საზოგადოებრივი აზრის „კონსოლიდაციის“ პარამეტრებით, რომლებიც, თავის მხრივ, კორელაციაშია საერთაშორისო გარემოს „ახალი ეკონომიკური ცენტრების შექმნისა“ და „სახელმწიფოთა შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების“ პარამეტრებთან. საზოგადოებრივი აზრისა და მედიის აქცენტების ცვალებადობა, ერთი მხრივ, „კონსოლიდირებისა“ და „ინტენსიური გაშუქების“ პარამეტრების, და მეორე მხრივ, „გაფანტულობისა“ და „წყვეტილი გაშუქების“ პარამეტრების მიხედვით, -- რაც დიდწილად განსაზღვრულია საერთაშორისო სისტემისა და შიდა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლადების „რადიკალიზმის“ ხარისხით -- განაპირობებს აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირებას რეჟიმში, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან ე.წ. „ინტერნაციონალისტური“ და „განრიდების“ დონეები, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან „ურთიერთშევესების“ დამოკიდებულებაში. 3. როგორც „ნეგატიური“, ასევე „პოზიტიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზაში, სპეციალური ინტერესების (ინტერესთა ჯგუფების, არასამთავრობო

ორგანიზაციების, ანალიტიკური ცენტრების) პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მოქმედებს „ძლიერი/სუსტი ზემოქმედების“ წყვილი პარამეტრი, სადაც „ძლიერი ზემოქმედების“ პარამეტრი დადებით კორელაციაშია საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“ და მედიის „წყვეტილი გაშუქების“ პარამეტრებთან. ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების აქტიურობის ხარისხი ძირითადად კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის პარამეტრების შემადგენელი ცვლადების „რადიკალიზმის“ ხარისხთან. სპეციალური ინტერესების ცვალებადობა აღნიშნული წყვილი პარამეტრის მიხედვით, საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირებას განსაზღვრავს საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად, კონკრეტული სპეციალური ინტერესის ორიენტაციის შესაბამისად.

4. „ნეგატიური“ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზა ხასიათდება პოლიტიკური ისტებლიშმენტის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირველი პირების „თანამშრომლობის“ პარამეტრით, რომელიც, პირველ რიგში, კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის ცვლადების „რადიკალიზმის“ ხარისხთან. ამავე პერიოდში მოქმედებს პირველ პირებსა და ქვედა რგოლის ბიუროკრატიას შორის „გამიჯნულობის“ პარამეტრი, რომელიც ნაწილობრივ კორელაციაშია პარტიების „იდეოლოგიური“ დაპირისპირების პარამეტრთან. პოლიტიკური ისტებლიშმენტის ოპერირება აღნიშნული წყვილი პარამეტრის მიხედვით განაპირობებს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირებას ყოველ ცალკეული მოვლენაზე ინდივიდუალური რეაგირების რეჟიმში, რომელიც მოკლებულია სისტემურობას. „პოზიტიური“ საციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ფაზა ხასიათდება საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირველ პირებსა და ქვედა რგოლის ბიუროკრატიას შორის „თანამშრომლობის“ პარამეტრისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ლიდერებს შორის „გამიჯნულობის“ პარამეტრის მოქმედებით. აღნიშნული წყვილი პარამეტრის მოქმედება, თავის მხრივ, კორელაციაშია საერთაშორისო სისტემის შესაბამისი პარამეტრების ცვლადების „რადიკალიზმის“ ხარისხის შემცირებასთან და პოლიტიკური პარტიების „იდეოლოგიური“ დაახლოების პარამეტრებთან. აღნიშნული წყვილი პარამეტრი განაპირობებს სისტემის ოპერირებას რეჟიმში, რომელიც ხასიათდება მეტი ოპერაციულობის, თუმცა ამავე დროს მერყეობის მეტი ხარისხით.

განხილული პარამეტრებით განპირობებული საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების განსხვავებული რეჟიმები, რომლებიც სისტემის მუშაობის დინამიკაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან, ან პირუკუ ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს, სისტემის გამოსავალზე, ყოველი კონკრეტული „ობიექტი“ სახელმწიფოს მიმართ, განსაზღვრავენ როგორც პოლიტიკის ზოგად ფართო კურსს, ასევე კონკრეტულ ოპერაციულ თუ დეკლარაციულ შედეგებს.

ვთვლით, რომ შემუშავებული ზოგადმეთოდოლოგიური აპარატი სცდება რა ე.წ. case study-ის აღწერილობით ტექნოლოგიებს (Stake, 1995), ფოკუსირებას ახდენს იმ პოლიტიკურ პროცესებზე, მათ ტიპებსა და მათ შორის არსებულ სისტემურ კავშირებზე, რომლებიც საფუძვლად ედება და განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის სფეროს და, შესაბამისად, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ თეორიული განზოგადოებები საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების თაობაზე.

ნაშრომში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ანალიზის მოდელი გამოყენებულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წარმოსაჩენად საქართველოს მიმართ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ - საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის - პერიოდში. ამავე დროს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების კონკრეტული გამოვლინების ანალიზის საფუძველზე ნახვენებია შემუშავებული მოდელის ქმედითობა.

„საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა“ განხილულია, როგორც აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის გარემოს „ობიექტი სახელმწიფოს“ შრის ცვლადი. საერთაშორისო გარემოს შრეზე აღნიშნული ცვლადი, პირველ რიგში, ურთიერთქმედებაში შედის „კომუნიზმის დამარცხების“ პარამეტრთან და ამ პარამეტრის ფარგლებში მოქმედ „ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების“, „ცენტრალური მთავრობის მიერ ახალი საკავშირო ხელშეკრულების გაფორმების მცდელობის“ და „პუტჩის ჩავარდნის“ ცვლადებთან.

აღნიშნული ურთიერთქმედების შედეგები, ერთი მხრივ, აკნინებს საკუთრივ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ერთიანი სტრუქტურის შენარჩუნების საკითხთან მიმართებაში

და, მეორე მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს მის თავისთავად „ღირებულებას“ ჭეშმარიტი დემოკრატიულობის შუქში. შესაბამისად, ამგვარი ურთიერთქმედების როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური შედეგები ხელს უწყობს „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადის უარყოფით ასახვას საგარეო პოლიტიკის ანალიზის მოდელის მეორე – აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს შრეზე.

აშშ-ის შიდაპოლიტიკური გარემოს შრეზე, აღნიშნული ცვლადი პირველ რიგში ურთიერთქმედებაში შედის იდეოლოგიური სტრუქტურის აღწერილ პარამეტრებთან, კერძოდ: მედიის „წყვეტილი გაშუქების“, საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის“, არასამთავრობო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების „ძლიერი ზემოქმედების“, პოლიტიკური პარტიების „სახელისუფლებო დაახლოების“ და პოლიტიკური ისტებლიშმენტის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ლიდერების „თანამშრომლობის“ პარამეტრებთან. აღნიშნული ურთიერთქმედებების შედეგად, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ საკითხი ყალიბდება, როგორც აშშ საგარეო პოლიტიკის სისტემის საკითხი, რომელიც, როგორც უშუალოდ საქართველოს, ასევე საბჭოთა კავშირის პორბლემეტიკის კონტექსტში, ერთი მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს თვით საქართველოს მზაობას დამოუკიდებლობისათვის, ხოლო მეორე მხრივ, არ ცნობს საბჭოთა კავშირის დაშლის მიზანშეწონილობას.

შემუშავებული მოდელის შესაბამისად, ამგვარად ჩამოყალიბებული საკითხი უკვე გარდატყდება საგარეო პოლიტიკის სისტემის შესაბამის რეჟიმებში, რომლებიც, თავის მხრივ, რეაგირებენ საერთაშორისო და შიდაპოლიტიკური შრეების იმ პარამეტრებზე და ცვლადებზე, რომლებთანაც ურთიერთქმედებს განხილული „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ცვლადი. ეს რეჟიმებია:

1. „ევროპის გაფართოებულ არეალზე სტაბილურობის და მოწესრიგებულობის შენარჩუნება;“ სისტემის გამოსავალზე, მოცემული რეჟიმი განსაზღვრავს როგორც „დეკლარაციული“, ასევე „ოპერაციული“ დონის შედეგებს, რომელთა შორისაც უმთავრესად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, „ნატოს“ და, მეორე მხრივ, „ეუთკ“-ს ახალი პოლიტიკური მისიების განვითარება.

2. „განრიდების“ რეჟიმი; სისტემის გამოსავალზე აღნიშნული რეჟიმი განსაზღვრავს „დეკლარაციული“ და „ოპერაციული“ დონის „ჩაურევლობის“ პოლიტიკის შედეგებს.
3. სპეციალური ინტერესების შესაბამისი „ვიწრო ოპერირების რეჟიმი“; სისტემის გამოსავალზე აღნიშნული რეჟიმი ხელს უწყობს სისტი „მორალისტური“ პოლიტიკის განვითარებას.
